ერთა ლიგის ქართული ასოციაცია

საქართველო

ტერიტორია და მოსახლეობა -
ისტორია - ლიტერატურა და
ხელოვნება -
პოლიტიკური მდგომარეობა

პარიზი

1937 წელი

FS

ერთა ლიგის ქართული ასოციაცია

საქართველო

ტერიტორია და მოსახლეობა -
ისტორია - ლიტერატურა და
ხელოვნება -
პოლიტიკური მდგომარეობა

პარიზი

1937 წელი

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

ASSOCIATION GÉORGIENNE
POUR LA SOCIÉTÉ DES NATIONS

LA GÉORGIE

TERRITOIRE ET POPULATION
HISTOIRE
LITTÉRATURE ET ARTS.
SITUATION POLITIQUE

avec 16 Planches hors texte
et une Carte géographique

PARIS

ერთა ლიგის ქართული ასოციაცია

საქართველო

ტერიტორია და მოსახლეობა -
ისტორია - ლიტერატურა და
ხელოვნება -
პოლიტიკური მდგომარეობა

ტექსტს ახლავს 10 დამატებითი დოკუმენტი
და გეოგრაფიული რუკა

პარიზი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014

საქართველო

თარგმნა **თინა ბელიაშვილმა**

სარჩევი

	შესავალი	11
თავი პირველი		13
	ტერიტორია და მოსახლეობა	13
1.	ფიზიკური გეოგრაფია	15
2.	ეკონომიკური გეოგრაფია	22
3.	მოსახლეობა.	36
თავი მეორე		39
	ისტორია	39
1.	ძველი დროება	41
2.	ეროვნული ერთიანობისაკენ	45
3.	პოლიტიკური სიდიადე და კულტურის აყვავება	48
4.	მონღოლების შემოსევა და საქართველოს დანაწევრება	51
5.	თურქეთსა და სპარსეთს შორის	54
6.	რუსეთთან დაახლოება და რუსების ბატონობა	59
თავი მესამე		63
	ლიტერატურა და ხელოვნება	63
1.	ლიტერატურა	65
2.	ხელოვნება	78
თავი მეოთხე		85
	დამოუკიდებელი (საქართველოს) რესპუბლიკა	85
	დამოუკიდებლობის აღდგენა	86
	დამოუკიდებელი საქართველო (რესპუბლიკა) და მისი საწყისები	93
	დამოუკიდებელი საქართველო შრომას შეუდგა	98
	ეკონომიკური პოლიტიკა	104
	საგარეო პოლიტიკა	112
	საქართველოს ოკუპაცია	116
	საძიებელი	124

შესავალი

ამ წიგნის მიზანია, გაგაცნოთ საქართველო, მისი ისტორია და ტერიტორია, კულტურა და პოლიტიკური სიტუაცია.

არაერთი წიგნი დაიწერა და დაიბეჭდა საქართველოს შესახებ ევროპულ ენებზე, მაგრამ ისინი, განსხვავებით ამ ნაშრომისგან, მეტწილად განკუთვნილი იყო ერუდიტებისა და მეცნიერებისთვის და არა ფართო მასებისთვის.

ევროპულ პრესაში დროდადრო ქვეყნდება სტატიები და ინფორმაცია საქართველოს შესახებ, მაგრამ ისინი უმეტესად აღწერენ საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას სსრკ-ის ჯარების მიერ მისი ტერიტორიის ოკუპაციიდან დღემდე.

ევროპული საზოგადოების ფართო მასებისათვის საქართველო, როგორც ეროვნული სუბიექტი, ნაკლებადაა ცნობილი.

ამ ნაკლოვანების შესავსებად გვსურს, გავუადვილოთ მკითხველს შრომა და გთავაზობთ მარტივად და მოკლედ შედგენილ ტექსტს, სადაც აღწერილია ჩვენი ქვეყნის განვითარების ეტაპები ისტორიულ ჭრილში ძველი წელთაღრიცხვიდან დღემდე. ჩვენ გვსურს, გაგაცნოთ ნამდვილი საქართველო, დავხატოთ მისი ობიექტური და სრულყოფილი სახე.

თავი პირველი

ტერიტორია და მოსახლეობა

1. ფიზიკური გეოგრაფია

ფართობი

საქართველო მდებარეობს შავი ზღვის პირას, ჩრდილოეთის განედის 41^0-სა და 44^0-ს შორის და აღმოსავლეთის გრძედის 41^0-სა და 47^0-ს შორის. მას უკავია კავკასიონის ყელის დასავლეთ ნაწილი და გადაჭიმულია შავ ზღვასა და კასპიის ზღვას (აზერბაიჯანი) შორის.

თანამედროვე საქართველოს ფართობია 70 100 $კმ^2$.

აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით საქართველოს ესაზღვრება აზერბაიჯანი (290 კმ სიგრძეზე), დასავლეთით – შავი ზღვა (270 კმ სიგრძეზე), სამხრეთით – სომხეთი (130 კმ) და თურქეთი (210 კმ), ჩრდილოეთით კი – კავკასიონის ქედი (700 კმ). მისი საზღვრების მთლიანი სიგრძეა 1 600 კმ.

რელიეფი

საქართველოს ლანდშაფტი მთიანია და დაგრეხილი. არის რაიონები, რომლებიც მდებარეობენ ოდნავ მაღლა ზღვის დონიდან, არის უმაღლესი მწვერვალებიც (5 000 მ). ამ ორ უკიდურესობას შორისაა ბარი ხმელთაშუა ზღვის კლიმატით, ბორცვები და პლატოები კონტინენტალური კლიმატით, მთები ალპური საძოვრებით და მარადიული თოვლით დაფარული მწვერვალები.

ზღვის დონესთან შეფარდებით საქართველო შემდეგნაირადაა დაყოფილი: 36,1% – 600 მეტრამდე, 43,4% – 600-დან 1 800 მეტრამდე და 20,5% – 1 800 მეტრის ზევით. აღმოსავლეთ საქართველო უფრო მთიანია (76,7% – 600 მეტრის ზევით), ვიდრე დასავლეთ საქართველო (51%).

მთები

მიმოვიხილავთ მხოლოდ კავკასიონის მთებს – კავკასიონის დიდ და პატარა ქედებს. კავკასიონის დიდი ქედი გადაჭიმულია საქართველოს ჩრდილოეთით და ქმნის ბუნებრივ საზღვარს. ეს საზღვარი მიუყვება ჩრდილოეთ საზღვარს შავი ზღვიდან აღმოსავლეთით 700 კილომეტრის სიგრძეზე და გრძელდება კასპიის ზღვამდე. ამ ქედის მთლიანი სიგრძე აღწევს 1 500 კმ-ს, მისი სიგანეა 110-160 კმ. ის ყოფს კავკასიას ორ ნაწილად – ჩრდილოეთ კავკასიად და სამხრეთით ტრანსკავკასიად (ამიერკავკასიად – საქართველოდ, აზერბაიჯანად და სომხეთად). დიდი კავკასიონის ქედის მრავალრიცხოვან მწვერვალთა შორის, რომელთა სიმაღლე 4 000 მეტრს აღემატება, აღსანიშნავია **ყაზბეგი** (ყველაზე მაღალი ქართულ მხარეს).

თოვლით დაფარული და მზით განათებული, ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებული მწვერვალები ყაზბეგი (5 043 მ), გიცლა (4 852 მ), უშბა (4 700 მ), ნამყვამი (4 260 მ), ლაილა (3 985 მ) და სხვანი, გიგანტ იალბუზთან ერთად, დიდებულად აღმართულან ცისკენ და დაუმარცხებელი გოლიათებივით გადმოჰყურებენ მთელ საქართველოს. ლეგენდის მიხედვით, სწორედ ამ მედიდური პეიზაჟის მიუწვდომელ კლდეებშია მიჯაჭვული პრომეთე (ქართველების ამირანი)...

გაგრის, ბზიფის, კოდორის (აფხაზეთში), სვანეთის, ლეჩხუმისა და რაჭის პატარა ქედები ერთმანეთს მიუყვებიან და უერთდებიან კავკასიონის დიდ ქედს. ბზიფისა და რაჭის მთების სიმაღლე არ აღემატება 3 000 მეტრს ზღვის დონიდან მაშინ, როცა სვანეთის მთების მწვერვალთა უმეტესობა 4 000 მეტრზე მაღალია, კოდორის მთები (მოგაშირხა) აღწევს 3 870 მეტრს, ლეჩხუმისა კი – 3 875 მეტრს (ფაზის მთა).

კავკასიონის დიდი ქედის პერპენდიკულარულადაა აღმართული ქართლისა და კახეთის მთები. ქართლის მთების სიმაღლეა 3 276 მ (მთაწმინდის მწვერვალი) და კახეთისა – 3 027 მ (მასარის მთა).

კავკასიონის დიდ ქედს კვეთს ორი მნიშვნელოვანი გზა: ოსეთის სამხედრო გზა, რომელიც გადის მამისონის უღელტეხილზე (სიმაღლე 2 825 მ) და საქართველოს სამხედრო გზა. აქ მდებარეობს მწვერვალი ჯვარი (2 379 მ).

პირველი მათგანი ქუთაისს აკავშირებს ჩრდილო კავკასიასთან, მეორე კი თბილისს – ჩრდილო კავკასიასთან.

სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით საქართველოს მიუყვება კავკასიონის პატარა ქედი. ისიც შავი ზღვიდან მოყოლებული გასდევს საქართველოს და გადაჭიმულია მდინარე არაქსამდე (ირანის საზღვარი). პატარა კავკასიონის მთათა ჯგუფს განეკუთვნება ქართლ-იმერეთის ანუ მესხეთის მთები, მისი განშტოება კი, ლიხის მთები, საქართველოს ჰყოფს ორ ნაწილად – აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ. აჭარა-ახალციხის ქედი იწყება შავი ზღვის პირას, კვეთს საქართველოს და გადაჭიმულია ბორჯომის ხეობამდე. აქ მდებარეობს თრიალეთის ქედი, რომელიც აღწევს თბილისამდე. პატარა კავკასიონის მთათა ჯგუფზე გადის ორი გზა: ქუთაისი-ახალციხის გზა ზეკარის თხემით (ზღვის დონიდან 2 450 მ) და ბორჯომი-ახალციხის გზა (ცხრაწყაროსთან – 2 450 მ). დაბოლოს – ფონტის მთები. ზოგიერთი მათგანი, ქობულეთისა და ჩაქვის მთები, შავ ზღამდე ჩადის და ა. შ.

ამ მთების უმრავლესობა დაფარულია გაუვალი ტყეებით და მდიდარი ალპური საძოვრებით.

ბარი

დასავლეთ საქართველოს დაბლობთა შორის ყველაზე ვრცელია კოლხეთის დაბლობი. ის იწყება შავი ზღვის პირას და აღმოსავლეთით გრძელდება ლიხის მთამდე (აქ ჩაედინება ორი მდინარე – რიონი და ყვირილა), ჩრდილოეთით კი – სოხუმამდე. ამ დაბლობის სიგრძე აღწევს 160 კმ-ს და სიგანე – 90 მ-ს. მისი სიმაღლე არსად აღემატება 250 მ-ს ზღვის დონიდან. კოლხეთის დაბლობის ერთი ნაწილი, ანუ დაახლოებით 180 000 ჰა, მდებარეობს ზღვის პირას და ჭაობიანი ადგილია, დანარჩენი ნაწილი კი ვარგისია მარცვლეული კულტურებისა და ბოსტნეულისთვის.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობთა შორისაა ალაზნის ველი, ყველაზე ნაყოფიერი საქართველოში. მისი სიგრძეა 160 კმ, სიგანე კი – დაახლოებით, 15-40 კმ. შირაქის ველი ცნობილია ზამთრის საძოვრებით, აქვეა ქართლის, მუხრანის, საგურამოს დაბლობები.

მიუხედავად მთიანი და გრეხილი რელიეფისა, საქართველოს დაბლობები იმდენად ვრცელია და ნაყოფიერი, რომ შეუძლია, დააკმაყოფილოს მის ახლანდელ მოსახლეობაზე უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობის საჭიროებანი.

ჰიდროგრაფია

ზღვა

საქართველოს დასავლეთ სანაპიროს 270 კილომეტრის გაყოლებაზე ესაზღვრება შავი ზღვა, რომლის სიღრმე საშუალოდ 1200 მეტრია (გარკვეულ ადგილებში 2 400 მეტრსაც აღწევს). საქართველოს სანაპირო ზოლზე შავი ზღვის სიღრმე აღემატება 550 მეტრს. იანვარში წყლის ტემპერატურაა 3^{0}C და აგვისტოში – 22-24^{0}C. მისი წყალი, სხვა ზღვებისა და ოკეანეების წყლებთან შედარებით, ნაკლებმარილიანია (1,8 %-22%), ვინაიდან შავ ზღვაში ყოველი მხრიდან ჩაედინება მრავალი პატარა თუ დიდი მდინარე. მათი მტკნარი წყლები ანეიტრალებენ ზღვის მარილიანობას.

შავი ზღვის სანაპიროზე წარმოქმნილია ბევრი ყურე, რაც აადვილებს ახალი ნავსადგურების მშენებლობას, რომ არაფერი ვთქვათ უკვე არსებულ ნავსადგურებზე – ბათუმზე, ფოთზე, სოხუმზე.

დიდი და პატარა მდინარეები. საქართველოში უხვადაა დიდი თუ პატარა მდინარეები, რომელთაგან უმრავლესობა სათავეს იღებს მთებსა და მყინვარებზე. მათი დინება ძალიან სწრაფია, კალაპოტი კი – დაგრეხილი.

საქართველოს ყველაზე დიდი მდინარეა კურა (ქართულად – მტკვარი, ანტიკურ ხანაში მას სიროსს ეძახდნენ), რომელიც სათავეს იღებს თურქეთში, კვეთს აღმოსავლეთ საქართველოს, აზერბაიჯანს და ჩაედინება კასპიის ზღვაში. მისი სიგრძეა 1 113 კმ, ხოლო აუზი განფენილია 91 000 კმ^2-ზე. ამ მდინარის ერთი ნაწილი (აზერბაიჯანის ტერიტორიაზე) გამოიყენება სანაოსნოდ და მდიდარია თევზეულით, კერძოდ, ზუთხით (ზღვისა და მდინარის გაგანიერებულ ნაწილში). აქ იღებენ ევროპაში რუსულ ხიზილალად ცნობილი ხიზილალის დიდ ნაწილს.

მტკვრის შენაკადებია ლიახვი, ქსანი, არაგვი, ალაზანი (315 კმ), ხრამი (159 კმ) და ა.შ. ალაზნის შენაკადი კი იორია (265 კმ).

აქვე უნდა ვახსენოთ მდინარე რიონი (ყოფილი ფაზისი) დასავლეთ საქართველოში. რიონის სიგრძეა 297 კმ და მისი აუზი გადაჭიმულია 13 000 კმ^2-ზე. ის სათავეს იღებს დიდი კავკასიონის ქედზე (ფაზის მთა, ზღვის დონიდან 3 780 მ) და ჩაედინება შავ ზღვაში ფოთთან. რიონის აუზის ნიადაგი ძალიან ნაყოფიერია და ეს მდინარე ძალიან მდიდარია თევზითაც. რიონის შენაკადებია ცხენისწყალი (205 კმ), ყვირილა (125 კმ), ენგური (198 კმ), კოდორი (98 კმ), მზიმთა, ბზიფი და სუფსა.

მხოლოდ დასავლეთ საქართველოში 54 პატარა მდინარეა. თითოეული მათგანის აუზი აღემატება 250 კმ-ს, ხოლო საერთო სიგრძეა 3 433 კმ.

ტბები

საქართველო შვეიცარიასავით ტბებით მდიდარი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ მასავით მთიანი ქვეყანაა. საქართველოს ტბებია: პალისატომის ტბა ფოთთან ახლოს კოლხეთის დაბლობზე, ფარავანი 2 100 მეტრის სიმაღლეზე და ტაბისყურა, ყელის ტბა 2 875 მეტრის სიმაღლის პლატოზე (ეს ტბები აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს), დიდი და პატარა კისტა აფხაზეთში, ერწოს ტბა რაჭაში და ა.შ.

კლიმატი

საქართველოსავით პატარა ტერიტორიაზე კლიმატის ამგვარი მრავალფეროვნება იშვიათია. დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის პირას, ის ფრანგულ-იტალიური რივიერას კლიმატს მიაგავს. აქ ზამთარში (იანვარში) საშუალო ტემპერატურაა 5,1^{0}C, ხოლო სულ რაღაც ათიოდე კილომეტრში მარადიული თოვლით დაფარული მთები აღმართულა. მაღლობში პლატოები მშრალია, დაბლობში კი – ტენიანი და ჭაობიანი . ქარები ხანდახან ტენიანია, ხან – მშრალი და ცხელი, ხანაც კი – გამყინავი. ასეთი მრავალფეროვნება ახასიათებს მთელი საქართველოს კლიმატს, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველო, საზოგადოდ, უფრო მშრალია, დასავლეთ საქართველო კი – ტენიანი.

წვიმიანობა სხვადასხვა რაიონში ყოველწლიურად ამგვარია: ბათუმში – 2 529, ქუთაისში – 1 374, ჭიათურაში – 992, აბასთუმანში – 630, ტიფლისში[1] – 497, გორში – 495 (მმ/წ).

საშუალო ტემპერატურაა (°C):

	მინიმალური	მაქსიმალური	საშუალო წლიური
ბათუმი	6,4	23,5	14,5
ტიფლისი	0,1	24,2	12,6
ახალქალაქი	7,8	17,2	5,7

ფლორა და ფაუნა

საქართველოს ფლორა რაიონების მიხედვით ძალიან მრავალფეროვანია. აქ მოჰყავთ სიმინდი, ხორბალი, ქერი, შვრია, ჭვავი, ბრინჯი, ბამბა, სელი, თამბაქო, ვაზი, ჩაი და სხვა.

სამხრეთულ მზეზე დამწიფებული ნაყოფი უნაკლოა, იქნება ეს ვაშლი, ატამი, ნუში, ლეღვი, კომში, ბროწეული, გარგარი, ალუბალი, ბალი, კაკალი, თხილი, ზეთისხილი, ფორთოხალი, მანდარინი, ლიმონი თუ სხვა.

ბოსტნეულიდან ძირითადად გავრცელებულია კარტოფილი, პომიდორი, ბადრიჯანი, ნიახური, სატაცური, კომბოსტო და ა.შ.

ბაღებსა და მინდვრებში გვხვდება სხვადასხვა ჯიშისა და ფერის ყვავილები, თუმცა მეყვავილეობა განვითარებული არ არის.

საქართველო მესაქონლეობის ქვეყანაა. აშენებენ შინაურ ცხოველებს – ცხენს, ხარს, ძროხას, კამეჩს, ჯორს, სახედარს, ცხვარს, თხას, ღორს და ა.შ. 50 წლის წინ აქ აქლემიც იყო, ახლა კი, გადაადგილების სხვა საშუალებების განვითარების გამო, ის გადაშენდა.

[1] ვინაიდან ავტორი შეგნებულად იყენებს ზოგან თბილისს, ზოგან – ტიფლისს, ზოგან კი – ტფილისს, თარგმანში შევინარჩუნეთ სამივე ფორმა. ასევე შეგნებულად ვტოვებთ "კურას" – მთარგმნ.

ფრინველებიდან ვხვდებით ქათამს, იხვს, ბატს, ინდაურს და ა.შ.

გარეული ცხოველებიდან საქართველოს ტერიტორიაზე ბინადრობს ირემი, ციყვი, ტახი, ბოცვერი, არჩვი, დათვი, მელა, ტურა და სხვ. კლდოვან მთებში წავაწყდებით გიგანტურ არწივსა და სხვადასხვა ჯიშის ლომ-არწივს, დაბლობებში კი – წვრილი ფრინველის არაერთ სახეობას. აქ შეიძლება ხოხბისა და მწყრის მონადირება. ხოხობსა და მწყერზე უკანასკნელ ხანებამდე მიმინოს საშუალებით ნადირობდნენ.

საქართველოს მდინარეებში მოიპოვება ლოქო, კალმახი, კობრი, მერლანი, თართი, თაღლითა და სხვა.

საქართველო თავისი ბუნების სილამაზით, პეიზაჟების ბრწყინვალებით, ნაყოფიერი ნიადაგით მთელი მისი მრავალათასწლიანი ისტორიის მანძილზე იზიდავდა შორეული ქვეყნებიდან ტურისტებს, მეცნიერებსა და უცხოელ გეოგრაფოსებს, მათთან ერთად კი – სხვადასხვა ჯურისა და წარმოშობის დამპყრობლებსაც.

2. ეკონომიკური გეოგრაფია

საქართველო ცნობილია როგორც მდიდარი ქვეყანა და თუ მის ბუნებრივ სიმდიდრეებს გადავხედავთ, ის ამგვარ რეპუტაციას კიდეც იმსახურებს.

თუმცა, ვინაიდან საქართველო ყველა დიდი სავაჭრო და ინდუსტრიული ცენტრიდან მოშორებით, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით, ჩამორჩენილ ხალხთა შორის მდებარეობს, საუკუნეების მანძილზე ის არაერთხელ დაიპყრეს და გაანადგურეს. არც რუსეთის ბატონობას მოუტანია საქართველოსთვის ეკონომიკური წინსვლა. რუსეთი ხომ უზარმაზარი იმპერია იყო, რომელსაც საკუთარი საწარმოო ძალების განვითარება მხოლოდ უცხოური კაპიტალის დაბანდების წყალობით შეეძლო. არც მაშინდელ სანკტ-პეტერბურგს და არც ახლანდელ მოსკოვს არ გაუთვალისწინებია ამ შორეული ქვეყნის საჭიროებანი და არც მისი ეკონომიკური ინტერესები დაუცავს. საქართველოსთან მიმართებაში ის მხოლოდ თავისი ინტერესებიდან ამოდიოდა: რუსეთში ხორციელდებოდა იმპორტი ყოველივე იმისა, რაც აკლდა ამ ქვეყანას, ხოლო საქართველოში ექსპორტით შემოდიოდა ცენტრალური რუსეთის ღარიბ და ახალდაარსებულ საწარმოებში დამზადებული პროდუქცია. გზებისა და რკინიგზების განვითარება, პორტებისა და ქალაქების მოწყობა – ყოველივე ეს ემსახურებოდა ერთადერთ სამხედრო-სტრატეგიული მიზანს, მოემზადებინათ მყარი ბაზა რუსული ექსპანსიისთვის აზიასა და ახლო აღმოსავლეთში. დამონებული ხალხების საწარმოო ძალების განვითარება შეზღუდული იყო და ახლაც ასეა, ვინაიდან მათ ყველა პირობას უქმნიან, რომ სამუდამოდ დარჩნენ რუსეთის ეკონომიკურ დაქვემდებარებაში.

ამგვარად, საქართველო, მიუხედავად მისი მატერიალური შესაძლებლობებისა, ეკონომიკური თვალსაზრისით, ვერ განვითარდა და ვერც განვითარდებოდა. თუმცა, ამ მხრივ, ის გამონაკლისს არ წარმოადგენდა.

საქართველო – მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობა მისი გეოგრაფიული მდებარეობაა.

ამ ქვეყანას უკავია ამიერკავკასიის ყელის დიდი ნაწილი. ეს არის მნიშვნელოვანი გადასასვლელი გზა აზიასა და ევროპას შორის. საქართველო მდებარეობს ამიერკავკასიის ყელის უკიდურეს ნაწილში და გადის შავ ზღვაზე, ეს კი აღმოსავლეთიდან დასავლეთზე გასასვლელი კარია. ერთი მხრივ, შავი ზღვიდან ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით ხმელთაშუა ზღვაზე, ე.ი. ყველაზე იაფი გზით, საქართველო ევროპის ქვეყნებს უკავშირდება. მეორე მხრივ, კასპიის ზღვითა და აზერბაიჯანის გავლით, საქართველო უკავშირდება ირანს, ბუქარას, თურქისტანს, ავღანისტანს და ინდოეთსაც კი.

ანტიკურ სამყაროში ეს გზა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში. ფაზისის (დღევანდელი რიონის) და სიროსის (დღევანდელი კურას) ხეობებით ხმელთაშუა ზღვის აუზის ხალხები წინა და ცენტრალურ აზიაში შეიჭრნენ. ანტიკურ ხანაში დიოსკურიისა (სოხუმის) და ფოთის (ფაზისის) ქართული ნავსადგურები შავი ზღვის ყველაზე მნიშვნელოვან პორტებად იყო მიჩნეული. ამავე დროს, აღმოსავლეთთან ვაჭრობისას ისინი წარმოადგენდნენ საქონლის დიდი საწყობს. ბიზანტიის დაცემის შემდეგ (1453) ამ გზამ დაკარგა პირვანდელი ფუნქცია, მაგრამ მნიშვნელობა შეინარჩუნა.

ჩვენს დროში ამიერკავკასიის რკინიგზამ შეცვალა ძველი საქარავნო გზა. ეს რკინიგზა გამოდის შავი ზღვის პირას აშენებული ორი კარგად მოწყობილი პორტიდან (ბათუმი და ფოთი) და ბოლოვდება კასპიის ზღვასთან (ბაქო).

საქართველოს კვეთს ნავთობსადენი, ნავთობის ერთადერთი გასასვლელი ბაქოდან დასავლეთისაკენ (შავი ზღვით).

ამიერკავკასიის მეორე რკინიგზა გამოდის ტიფლისიდან, კვეთს სომხეთს და აკავშირებს საქართველოს, ერთი მხრივ, თავრიზთან (ირანი), ხოლო მეორე მხრივ – ერზრუმთან (თურქეთი). დაბოლოს, ამიერკავკა-

სიის რკინიგზა უკავშირდება (ბაქოსთან) ჩრდილო კავკასიის რკინიგზას, რომელიც მიუყვება კასპიის ზღვის სანაპირო ზოლს და მიემართება რუსეთისკენ (დონის როსტოვი).

ამგვარად, საქართველო მდებარეობს უმნიშვნელოვანესი გზების გასაყარზე. სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო კარგად გამართული, ამიერკავკასიური რკინიგზა ომამდე უმნიშვნელოვანესი იყო მთელი რუსეთის იმპერიის რკინიგზათა შორის, თუმცა ხშირად პარალიზებული იყო მაღალი ფასებისა და საბაჟო ფორმალობების გამო.

მიწათმოქმედება

საქართველო, უპირველეს ყოვლისა, მიწათმოქმედების ქვეყანაა – მოსახლეობის 83,1 % სოფლის მეურნეობას მისდევს.

მთელი ტერიტორიის ფართობი მოიცავს არა უმეტეს 6 935 700 ჰექტარისა, საიდანაც 5 634 900 (81,3%) ვარგისი მიწებია, ხოლო 1 300 800 (18,7%) კი – უსარგებლო.

სასარგებლო მიწების 2,7 ჰექტარზე ცხოვრობს ერთი სული მოსახლე. აქედან 0,5 ჰექტარი სახნავად ვარგისია, 0,8 ჰექტარს საძოვრებად იყენებენ, დანარჩენი 1,1 ჰექტარი კი ტყეებია. ამგვარად, სოფლის მოსახლეობა საქართველოში გაცილებით ნაკლებ მიწებს ფლობს, ვიდრე დასავლეთ ევროპის უფრო მჭიდროდ დასახლებულ ზოგიერთ ქვეყანაში. ცხადია, მიწის სრულ ნაციონალიზაციამდე (ე.ი. მოსკოვის მთავრობის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე) აქ ჭარბობდა პატარა ფერმები და ნაკლებად მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები.

სახნავი მიწა

სახნავი მიწის დიდი ნაწილი გამოიყენება მარცვლეულისთვის (1930). ხორბალი გაშენებულია 291 600 ჰექტარზე, სიმინდი – 432 500 ჰექტარზე (დასავლეთ საქართველოში მოსახლეობა უმეტესად სიმინდს მოიხმარს), შვრია – 82 000 ჰექტარზე და ა.შ. მარცვლეულის წლიური წარმოება 950 000 ტონას არ აღემატება.

ტექნიკურ მცენარეებს, როგორიცაა თამბაქო, ბამბა, სელი და ა.შ., უჭირავს დაახლოებით 48 000 ჰექტარი.

თამბაქოს კულტურა

თამბაქოს კულტურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს სოფლის მეურნეობაში. ის მოჰყავთ თითქმის ყველგან, მაგრამ პლანტაციების სიუხვითა და თამბაქოს ხარისხით განსაკუთრებით გამოირჩევა აფხაზეთი. უმაღლესი ხარისხის ქართული თამბაქო დიდად ფასობს ევროპაში, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზარი მაინც რუსეთია (მასზე მოდის ექსპორტის 90%). ამგვარად, საქართველოში თამბაქოს კულტურის განვითარებამ ყველაზე მეტად რუსეთის ხელისუფლების ყურადღება მიიქცია.

თამბაქოს კულტურა მიწების ნაციონალიზაციამდე კერძო პირებისა და წვრილი ფერმერების ხელში იყო. 1916 წელს აფხაზეთში თამბაქოს ნათესებიანი 11 574 ჰექტარი დაიყო 11 770 განცალკევებულ პლანტაციად, რომელთაგან 7 351 პლანტაციას (თითოეულს ცალ-ცალკე) ეკავა 1 ჰექტარზე ნაკლები, ხოლო 3 261 პლანტაციას კი – 1 ან 2 ჰექტარი.

ამჟამად მოჰყავთ 14 000 ტონა თამბაქო და ამ კულტურას უჭირავს 20 000 ჰექტარი (1930).

ბამბის კულტურა

ბამბის კულტურა საქართველოში უძველესი დროიდანვეა ცნობილი, მაგრამ ის არ იყო იმდენად გავრცელებული, როგორც მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში. რუსეთის ხელისუფლებამ იმისათვის, რომ უზრუნველეყო ტექსტილის ინდუსტრია იაფი ნედლეულით, ამიერკავკასიაში მაღალი საბაჟო ტარიფები დააწესა და ამით რუსული ბამბა ამერიკული იმპორტისაგან დაიცვა.

ბამბა ისევე, როგორც თამბაქო, წვრილი მეწარმეების ხელში იყო. ბამბის ნათესების საშუალო ფართი არ აჭარბებდა 0,5-1 ჰექტარს. ომამდე ბამბის მინდვრებს საქართველოში 12 000 ჰექტარი ეჭირა, მისი ყოველწლიური წარმოება კი 2 500 ტონას შეადგენდა (1914). ომის დროს ბამბის წარმოება შემცირდა – ბამბის პლანტაციებზე ხორბალი დაითესა. 1929 წელს ბამბის ნათესები განფენილი იყო 9 200 ჰექტარზე, ხოლო მისი წარმოება აღწევდა 3 310 ტონას. 1930 წელს წარმოებამ ომამდელ დონეს მიაღწია და მოიცვა 12 140 ჰექტარი. საქართველოს ბამბის ყველაზე მნიშვნელოვანი საგარეო ბაზარი რუსეთია.

მევენახეობა

მევენახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანი დარგია. მას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ამიტომაც ამბობენ, რომ ამიერკავკასია ვაზისა და ღვინის აკვანია. ნებისმიერი ქართველისთვის ვაზის მოვლა შრომა კი არა, რიტუალია. თუკი კლიმატი ამის საშუალებას იძლევა, ვერსად ნახავთ მეტ-ნაკლებად თამოყვარე მიწათმოქმედს, რომელსაც ვენახი არ ჰქონდეს. ღვინო ისევე, როგორც ყურძენი, სხვადასხვა ჯიშისაა. ღვინით ყველაზე მეტად კახეთია განთქმული. კახური ღვინო ხარისხით ძალიან ჰგავს ცნობილ ბურგუნდიულს. ვაზის ზოგიერთი სახეობა, მაგალითად, საფერავი და რქაწითელი, საზღვარგარეთ გადის. გულმოდგინედ მოვლილი ქართული ღვინოები კარგად ინახება და ტრასპორტირებასაც იტანს.

საქართველოში მევენახეობაც წვრილმეწარმეთა საქმიანობაა. 1909-1913 წლებში ვენახს ეჭირა 1 250 000 ჰექტარი. ღვინის ძირითად ბაზარს წარმოადგენს ამიერკავკასია, რუსეთი და მისი მიმდებარე ქვეყნები.

მიწაზე საკუთრების უფლების გაუქმებამ ცუდი შედეგი გამოიღო საქართველოსთვის – 1930 წელს ვენახით დაფარული ფართობის რაოდენობა 35 100 ჰექტარამდე შემცირდა.

მეაბრეშუმეობა

ისტორიკოსების ცნობით, აბრეშუმის ჭიის მოშენება საქართველოში ინდოეთიდან მე-5 საუკუნეში შემოვიდა. იმ ეპოქაში მოსახლეობას სოფლის მეურნეობის ამ დარგში დიდი გამოცდილება ჰქონდა, თუმცა მეაბრეშუმეობა ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის დარგად არ ჩამოყალიბებულა, ის დამატებით საქმიანობას უფრო წარმოადგენდა.

ყოველწლიურად აგროვებენ 3 200 ტონა აბრეშუმის ჭიის პარკს (1930). აბრეშუმს ართავენ და ქსოვენ არა მარტო სახლის პირობებში, არამედ ფაბრიკებშიც. არსებობს ექვსი სართავი და საქსოვი ფაბრიკა. აბრეშუმის ჭიის პარკების გარკვეული ნაწილი იგზავნება ევროპაში, უმეტესად – იტალიასა და საფრანგეთში.

ჩაი

ჩაი საქართველოში 1848 წლიდან მოჰყავთ. ჩაის პლანტაციების საერთო ფართია 14 540 ჰექტარი, ხოლო მისი წარმოება 1 450 ტონას აღწევს (1930).

მესაქონლეობა

ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების არსებობა, ცხადია, ძალიან უწყობს ხელს მესაქონლეობის განვითარებას. მიწათმოქმედების შემდეგ, ეს საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგია. მთის მოსახლეობის ნაწილი მხოლოდ მესაქონლეობით ცხოვრობს.

ომამდე, 1913 წლისთვის, მაჩვენებელი ამგვარი იყო:

მთლიანად ერთ სულ მოსახლეზე:

მსხვილფეხა საქონელი – 1 333 000 0,6

წვრილფეხა საქონელი – 2 139 000 0,9

ცხენი – 128 000 0,06

გასაბჭოებამ და კოლექტივიზაციამ ძალიან ცუდი გავლენა იქონია მესაქონლეობის განვითარებაზე. 1935 წლის მაჩვენებელი ამგვარია:

მთლიანად ერთ სულ მოსახლეზე:

მსხვილფეხა საქონელი – 157 000 0,5

წვრილფეხა საქონელი – 861 000 0,6

ცხენი – 51 000 0,05

ფრინველის რაოდენობაა 4 274 000, ხოლო ფუტკრის სკებისა – 80 000.

ტყე

ტყეებს საქართველოში 2 468 000 ჰექტარი ანუ ვარგისი მიწის 35,6% უჭირავს. ასეთი პროპორციის გამო, საქართველო ერთ-ერთ ყველაზე ტყიანი ქვეყანაა ევროპაში. ტყე საქართველოს უმნიშვნელოვანესი სიმდიდრეა. საქართველოს ტყეები ყურადღებას იქცევს არა მარტო განფენილობით, არამედ ხარისხით, მრავალფეროვნებითა და თვისობრიობით. მართლაც, კომპეტენტური სპეციალისტების აზრით, საქართველოში 335 ჯიშის ხე მოიპოვება. მათგან დაახლოებით 150 ჯიში გამოსადეგია წარმოებისთვის. ამ ჯიშების ხარისხი, უმეტეს შემთხვევში, საშუალებას იძლევა, დამზადდეს ფუფუნების საგნები და მრავალი მათგანი გამოიყენება ნატიფ სადურგლო საქმეში. საქართველოში მოიპოვება ხის ჯიშები, რომლებსაც ევროპაში ვერსად შეხვდებით (მაგალითად, ძელქვა – Zelkwa, Zelkw-crenata). ხარობს ისეთებიც, რომლებიც დიდ იშვიათობას წარმოადგენს (მაგალითად, ბზა, კავკასიური პალმა – Buxus sempervivens, ურთხმელა – Taxus baccata და სხვა). საქართველოს ტყეების უმრავლესობა გაუვალი და საუკუნოვანია. მათი ასაკია 300, 500 და 700 წელი. მართალია, დაბლობში ხეები გაიჩეხა, მაგრამ მთებში არ ხდება ტყის ექსპლუატაცია. ტყეების უმრავლესობა მდინარის პირასაა, რაც აადვილებს ხე-ტყის ზღვამდე ან რკინიგზამდე გადატანას.

წყლები

სწრაფი და მძლავრი მდინარეების სიუხვე საქართველოში წარმოადგენს ამოუწურავ ჰიდროენერგო რესურსს (თეთრი ქვანახშირი). შედარებისთვის უნდა ითქვას, რომ საქართველოს ჰიდრორესურსები აღემატება საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების რესურსებს. მთლიანობაში ის შეფასებულია 6 მილიონზე მეტ HP-დ. ბოლო ხანებში წარმოებაში გამოიყენებოდა ამ სიმდიდრის მხოლოდ მცირე ნაწილი. თუმცა საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც ენერგიულად ცდილობს ქვეყნის ელექტრიფიკაციას, რადგანაც ის სსრკ-ში "სოციალიზმის ბაზას" წარმოადგენს, ააშენა მრავალი ჰიდროელექტრო სადგური კურაზე (მისი სიმძლავრეა 37 000 კვტ), რიონზე (სიმძლავრე – 48 000 კვტ), აბაშაზე, ალაზანსა და სხვა მდინარეებზე. ასევე შენდება სადგურები ხრამზე (სიმძლავრე – 90 000 კვტ), გუმისტაზე, აჭარისწყალზე და ა.შ.

წიაღისეული

საქართველო ძალიან მდიდარია ათასგვარი წიაღისეულით, თუმცა დღესდღეობით მხოლოდ მისი მცირე ნაწილია ექსპლუატაციაში. ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ოფიციალურად აღნუსხულ წიაღისეულზე, რომელიც ექსპლუატაციაშია. ხოლო ვისაც საქართველოს წიაღისეულის სრული სია და დეტალური აღწერა დაინტერესებს, ვურჩევთ, სპეციალურ გეოგრაფიულ ნაშრომებს გაეცნოს.

მარგანეცი. საქართველოს წიაღისეულ სიმდიდრეთა შორის მარგანეცი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და მისი წარმოება კავკასიაში ნავთობის შემდეგ მეორე ადგილზე.

მარგანეცს მოიპოვებენ ჭიათურის რეგიონში მდინარე ყვირილას აუზში. საბადოს უჭირავს 130 კმ² და მისი მარაგი აღწევს 160 მილიონ ტონას. ამ საბადოს სიდიდითა და ხარისხით საქართველოს მსოფლიოში პირველობა ეკუთვნის. მარგანეცის საბადო მთელ მსოფლიოში შემდეგნაირადაა გადანაწილებული: საქართველო – 160, ინგლისის ინდოეთი – 144, უკრაინა (სსრკ) – 100, ბრაზილია – 33, დასავლეთ აფრიკა – 13 და ა.შ. (დათვლა ხდება მილიონი ტონით).

ჭიათურის საბადო, ხარისხის გამო, ბაზარზე დიდად ფასობს. ჩატარებული ანალიზის მიხედვით ირკვევა, რომ მისი შემადგენლობაა: Mn 50,0-59,05; Fe 1-1,50; O 31,8-34,3, სხვა ელემენტები 5,7-14,7. ე.წ. ქიმიური წიაღისეული, მარგანეცის პეროქსიდი ანუ პიროლუზიტი (MnO^2) შეიცავს 85%-დან 95%-მდე სუფთა პეროქსიდს.

მარგანეცის მოპოვება ადვილია (თითქმის ყველა ფენა განლაგებულია ჰორიზონტალურად), ამასთანავე, ზღვა ახლოსაა, ხარისხი მაღალია. ყოველივე ამის გამო, კონკურენციას ქართულ მარგანეცს მსოფლიოში ვერც ერთი სხვა საბადო ვერ უწევს. 1892 წლიდან 1913 წლამდე, ე.ი. მთელი ოცი წლის მანძილზე, ჭიათურის რეგიონში ამოღებულ იქნა 7 913 0 ტონა მარგანეცი. საქართველოს წილი მარგანეცის მოპოვებაში არის 25-42%.

საქართველოს ოკუპაციამდე და წარმოების ნაციონალიზაციამდე აქ 22 მნიშვნელოვანი საწარმო იყო: 6 – ადგილობრივი, 2 – გერმანული, 2 – ინგლისური, 1 – ბელგიური, 1 – ფრანგული, 10 კიდევ – სხვა ქვეყნებისა (აღსანიშნავია, რომ არ არსებობდა რუსული საწარმო). ამ საწარმოთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო "ჭიათურის მარგანეცის საზოგადოება". მისი წევრები ქართველი მეწარმეები იყვნენ. ეს საზოგადოება ფლობდა მთელი წარმოების 37,8%-ს და ექსპლუატირებული საბადოების 6 000 აკრ ფართს. წიაღისეული სახელმწიფოს ეკუთვნოდა, ხოლო ექსპლუატაცია კერძო მეწარმეების ხელში იყო. ამჟამად მთელი წარმოება ნაციონალიზებულია.

1913 წელს წარმოება შეადგენდა 986 400 ტონას, 1933 წელს კი – 480 700 ტონას.

საქართველოში, ჭიათურის გარდა, არსებობს მარგანეცის სხვა საბადოებიც გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში და ა.შ. სულ 49 საბადოა, მაგრამ გარდა ჭიათურის საბადოსი, არც ერთის ექპლუატაცია არ ხდება.

ქვანახშირი. საქართველოში 50-მდე ქვანახშირის საბადო მოიპოვება, თუმცა ექსპლუატაციაში მხოლოდ ჭიათურისა და გელათის რაიონის (ქუთაისთან ახლოს) საბადოებია.

ტყიბულში ქვანახშირს 1847 წლიდან მოიპოვებენ, მაგრამ აქ ხანგრძლივი დროის მანძილზე არ არსებობდა დიდი წარმოება. 1847 წლიდან 1927 წლამდე, 30 წლის განმავლობაში, ქვანახშირის წარმოება 1 600 000 ტონას არ აღემატებოდა. ტყიბულის ქვანახშირი უმაღლესი ხარისხისაა და საბადოს მარაგი დაახლოებით 80 მილიონ ტონას აღწევს. დღესდღეობით ყოველწლიურად 206 000 ტონა ქვანახშირს მოიპოვებენ (1932).

ქვანახშირის კიდევ ერთი საბადო მდებარეობს გელათში, არცთუ შორს ტყიბულიდან. ამ საბადოს XIX საუკუნის ბოლოდან ამუშავებენ და მისი მარაგი 2 მილიონ ტონას უნდა შეადგენდეს.

მსოფლიოში ყველაზე მდიდარ ქვანახშირის საბადოდ ითვლება ტყვარჩელის საბადო აფხაზეთში, შავი ზღვიდან 30 კმ-ის დაშორებით. მაღალხარისხოვანია ჯანსულისა და ქვარცხანას საბადოები თურქეთის ტერიტორიაზეა.

სპილენძი. საქართველოს ტერიტორიაზე ართანის რაიონში (თელავის რაიონი), სპილენძის საბადოებიც უნდა არსებობდეს, მაგრამ ჯერჯერობით მათი დამუშავება არ ხდება. საბადოს მარაგი აქ ერთ მილიონი ტონაა, ხოლო ყაზბეგისა და დევდორაკის შემოგარენში –100 000 ტონა. აქედან რამდენიმე ათასი ტონა ამოღებულია და გადამუშავებული მეტალად. სპილენძი მოიპოვება აგრეთვე რაჭაში, ლეჩხუმში, სვანეთში. სულ სპილენძის 150 საბადოა.

ნავთობი. საქართველოში აღნუსხულია 50 ნავთობმომპოვებელი პუნქტი.

ნავთობის შესახებ იცოდნენ ჯერ კიდევ საქართველოს სამეფოს არსებობის ხანაში და მის მოსაპოვებლად ჭებსაც თხრიდნენ. მე-18 საუკუნეში ნავთლუღში, თბილისის გარეუბანში, გაითხარა რამდენიმე ჭაბურღილი, მაგრამ ისინი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე დაკონსერვდა. ვინაიდან იქვე, ბაქოში, ნავთობის მნიშვნელოვანი ფენები არსებობს და, ამავე დროს, ბაქოს ნავთობის გავლენიანმა მომპოვებლებმა რუსეთის მთავრობის დაინტერესება მოახერხეს, საქართველოს საბადო უყურადღებოდ დარჩა. თუმცა მისით კერძო მეწარმეები დაინტერესდნენ. ცნობილმა გეოლოგებმა ამ ადგილებში სეროზული კვლევები ჩაატარეს და აღმოაჩინეს ნავთობის მნიშვნელოვანი წყაროები კახეთსა და გურიაში. მხოლოდ კახეთის რაიონში ნავთობით მდიდარ რეგიონებს 1 2000 $კმ^2$ უკავია და მისი მარაგია 350 მილიონი ტონა (პროფ. დ. გოლუბიატნიკოვის ცნობით). ცხადია, ამგვარი ვარაუდი,

თუნდაც კომპეტენტური პირის მიერ გამოთქმული და მეცნიერულად გამოკვლეული, მხოლოდ წარმოების განვითარებით დასტურდება. აქ წარმოება ჯერ კიდევ არ არის კარგად გამართული. ჩვენს ხელთაა მხოლოდ ის თეორიული მონაცემები, რომლებიც მხოლოდ სამომავლო იმედს გვიტოვებს.

ნავთობიანი რეგიონების უდიდესი ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, მდებარეობს კახეთში:

1) მირზაანის რაიონში (თბილისიდან 120 კმ-ის მოშორებით) უმაღლესი ხარისხის ნავთობს მოიპოვებენ. 1927 წელს აქ მუშობდა იტალიურ-ბელგიური საზოგადოება, რომელმაც შეძლო კიდევაც, მიეღო 17 მეტრის სიმაღლის ამოფრქვევა. საბჭოთა მთავრობის მიერ თავს მოხვეული პირობების გამო, ეს საზოგადოება იძულებული შეიქნა, მიეტოვებინა სამუშაოები;

2) შირაქის დაბლობზე სამუშაოებს ატარებდნენ ძმები სიმენსები. 1872-1877 წლებში მოხერხდა 18 935 ტონა ნავთობის ამოღება, ხოლო 1888-დან 1896 წლამდე – 3 901 ტონისა;

3) ილდოყანის რაიონში 1914-დან 1920-წლამდე პრიმიტიული მეთოდებით მოპოვებულ იქნა 150 ტონა ნავთობი;

4) მსგავსი იყო ფხოველსა და ჭათმაში მიღებული მაჩვენებლები, მიუხედავად იმისა, რომ ჭაბურღილის სიღრმე 30-50 მეტრს არ აღემატებოდა.

კახეთის გარდა, ყურადღებას იქცევს გურიის რაიონები: ორფარეთი, გულიენი და სხვ. ნავთობის კვალი ნაპოვნია სხვა ადგილებშიც: იმერეთში (ბაღდათი), ქართლში (კავთისხევი), აფხაზეთში და ა.შ. თუმცა ეს რაიონები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი.

ტორფი. ტორფის მარაგი საქართველოში 700 მილიონი კუბური მეტრია. აქედან შესწავლილია მხოლოდ 340 მილიონი. ტორფი ბევრ ადგილას მოიპოვება, კერძოდ, შავი ზღვის მახლობლად (პალიასტომის ტბის მახლობლად ტორფის მარაგია 160 მლნ $მ^3$, რედუტ-ყალეში – 200 მლნ $მ^3$ და ა.შ.). ტორფი მოიპოვება მთაშიც (გორის რაიონში, საკოჭავოში, 500 მეტრის სიმაღლეზე; ყაზბეგში 2 000 მეტრის სიმაღლეზე და ა.შ.).

ქვა – მაგარი და ლამაზი სამშენებლო ქვები უხვადაა საქართველოს არაერთ რაიონში, მაგალითად, ეკლარში, მოწამეთაში, ბაღდათში, თეკლათში, კასპში და ა.შ.

მარმარილო – მაღალი ხარისხის, შავი და ფერადი (სალიეთი, მარელისი და სხვა).

გრანიტი – კურსებში, დარიალის ხეობაში და ა.შ. **ლითოგრაფიული ქვა** – ალგეთში, აგრეთვე – წისქვილის ქვა, სალესი ქვა და სხვა.

გლაუბერის მარილი. გლაუბერის მარილის ყველაზე მნიშვნელოვანი საბადო საქართველოში მოიპოვება ტიფლისთან ახლოს მუხროვანის რაიონში. მისი ექსპლუატაცია დაიწყო 1860 წელს, მარაგი კი აღწევს 175 000 ტონას და უმაღლესი ხარისხისაა. გლაუბერის მარილი გამოიყენება ქვეყნის შიგნით და გადის რუსეთში. 1929-1932 წლებში მისი ექსპლუატაცია აღწევდა 11 000 ტონას.

ბარიტი საქართველოში ექსპლუატაციაშია 1906 წლიდან. ის მოიპოვება ციკლარში (ქუთაისის რაიონი), ხვამლში, საჩხერეში, სადაც მისი მარაგია 3 500 000 ტონა. ბარიტის წარმოება საქართველოში მთელი სსრკ-ის ბარიტის წარმოების 60-80 %-ს შეადგენს.

ვერცხლშემცველი ტყვიით მდიდარია აფხაზეთი. ბიჩხა-აბახუს რაიონში 1906 წელს ამოღებულ იქნა 48 ტონა, 1912 წელს – 96 ტონა, 1915 წელს – 65 ტონა და ა.შ. მოკვლეულია ამ საბადოს დიდი მარაგი, მაგრამ წარმოება არ არის განვითარებული. მსგავსი საბადოებია სვანეთში, რაჭაში, კახეთში.

ოქრო. საქართველოში ოქროს არსებობას ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ადასტურებენ როგორც ლეგენდები (მაგალითად, ლეგენდა "ოქროს ვერძის" მოსაპოვებლად არგონავტების კოლხეთში მოგზაურობაზე), ასევე ისტორიული დოკუმენტები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ძვირფასი მეტალის კვალი აღმოჩენილია ბორჩალოში, დაგლუდის აუზში, ერწოს ხეობაში, დუშეთის რაიონსა და თიანეთში, ენგურის აუზსა და სვანეთში, რაიმე სერიოზული კვლევა არ ჩატარებულა.

სხვა მინერალები. საქართველოში აღნუსხულია არაერთი მინერალი, რომელთა ექსპლუატაციაც მეტ-ნაკლებად ხდება: ცინკი (16 საბადო), და-

რიშხანი (2 საბადო), გოგირდი (5 საბადო), შავი ფიქალი (2 საბადო), ოქსოკერიტი (4 საბადო), ბიტუმი (ფისი, 14 საბადო), ალებასტრი და თიხა, ცეცხგამძლე თიხა, გოგირდის ალმადანი, ოხრა და სურინჯი.

მინერალური წყლები. საქართველოში მრავლადაა სხვადასხვა სახეობის მინერალური წყლები. ანალიზი ჩაუტარდა ასობით უმაღლესი დონის სამკურნალო წყალს. ისინი გაჯერებულია ალკალინებით, ალკალინ-ნახშირორჟანგით, კირით, გლაუბერით, გოგირდით, რკინით, გოგირდოვანი რკინით, დარიშხანით. აქ მოპოვებული მინერალური წყლები რადიოაქტიურია და შეიცავს ამერსა და სოდის ჰიდროქლორატს.

თვისებებით გამორჩეული წყაროების სიახლოვეს აშენდა ბალნეოლოგიური კურორტები:

ბორჯომი – ბორჯომის წყალი თავისი ქიმიური შემადგენლობით ძალიან ჰგავს ვიშის წყალს. ბორჯომში ორი წყაროა: 1) ე.წ. "კატერინას" წყარო, რომლის დებიტია დღეში 46 900 ლიტრი, ხოლო ტემპერატურა – 29 C^0; 2) ე.წ. "ევგენიას" წყარო. მისი დებიტია 13 890 ლიტრი, ტემპერატურა – 23,2 C^0;

წყალტუბო – უძველესი დროიდან ცნობილი კურორტი. წყალტუბოს 32-35 C^0-მდე რადიაქტიული წყალი შეიცავს რადიუმის ორთქლს (მოშის შკალით 5-დან 97-მდე ერთეულს);

აბასთუმანი – აბასთუმნის გოგირდოვანი წყლების დებიტია 1 მილიონი ლიტრი, ტემპერატურა კი – 40-48 C^0;

ტიფლისი – აქ გოგირდოვანი წყლის 30 წყაროა და მისი დებიტია 1 500 000 ლიტრი, ტემპერატურა კი – 31,8-47 C^0;

ნაქალაქევი – რადიაქტიური წყლით;

წაღვერი – რკინის შემცველი წყლით, ასევე – უწერა და ზეკარი.

საქართველოში უხვადაა სამკურნალო ტალახებიც: ახტალა, ნადარბაზევი, ძიმტა და ა.შ.

საქართველოს ეკონომიკურ გეოგრაფიაზე სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმენლად უნდა მიმოვიხილოთ საკომუნიკაციო გზებიც.

საქართველო გზებით მდიდარი ქვეყანა არ არის, რაც ძალიან უშლის ხელს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას. რკინიგზის საერთო სიგრძე არ აღემატება 1065 კმ-ს. ძირითადი სარკინიგზო მაგისტრალი (ამიერკავკასიის რკინიგზა) ერთმანეთთან აკავშირებს შავ და კასპიის ზღვებს.

რაც შეეხება საავტომობილო გზებს, მათი სიგრძეა 3 300 კმ.

საქართველოს ძირითად ნავსადგურებს – ბათუმსა და ფოთს – შეუძლია, მიიღოს დიდი გემები. სოხუმის, გუდაუთის, ოჩამჩირეს, გაგრისა და ანაკლიის ნავსადგურები კი, რომელთა შორის უდიდესია სოხუმის პორტი, არ არის სათანადოდ აღჭურვილი. ისინი ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტსა და სანაპირო ნაოსნობას ემსახურებიან.

3. მოსახლეობა.

1926 წლის 17 დეკემბერს ჩატარებული აღწერის მიხედვით, საქართველო 2 666 494 მოსახლეს ითვლიდა, მათ შორის, 1 347 513 მამაკაცსა და 1 317 918 ქალს.[1]

უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ მის ახლანდელ ტერიტორიაზე იმატა და ამგვარად გამოიყურება:

1897 წლის აღწერის მიხედვით – 1 913 938 ადამიანი;

1917 წლის აღწერის მიხედვით – 2 238 874 ადამიანი;

1926 წლის აღწერის მიხედვით – 2 666 494 ადამიანი;

1930 (თეორიულად) – 2 832 911 ადამიანი;

1936 წელს – 3 200 000 ადამიანი.

მოსახლეობის საშუალო წლიური მატება შეადგენს 1,3%-ს. 1926 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობა, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ამგვარია:

ქართველები – 1 865 930 ანუ 70,4%;

სომხები – 307 018 ანუ 11,5%;

თურქები – 137 922 ანუ 5,2%;

ოსები – 113 298 ანუ 4,2%;

რუსები – 96 085 ანუ 3,6%;

სხვა – 146 241 ანუ 5,1%

სულ – 2 666 494 100.

[1] საქართველოს მოსახლეობა სჭარბობს ევროპაში ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მოსახლეობას, ამერიკაში კი – სალვადორის, ეკვატორის, პარაგვაის, ურუგვაისა და გვატემალას მოსახლეობას.

ქართველების 99% საქართველოში ცხოვრობს. თეორიული შეფასებით, ქართველთა რაოდენობამ 1936 წელს 2 მილიონით მოიმატა.

მოსახლეობის სიმჭიდროვე

საქართველო, მეზობლებთან შედარებით, მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა.1926 წლის აღწერის მიხედვით, კვადრატულ კილომეტრზე ბინადრობდა საშუალოდ 38,7 მოსახლე, თუმცა ზოგიერთ რაიონში სიმჭიდროვე აღემატებოდა 80 მოსახლეს 1 კმ^2-ზე.

საქართველოს მოსახლეობის სიმჭიდროვით სსრკ-ში მესამე ადგილი უჭირავს (უკრაინის მაჩვენებელია – 64,2; რუსეთისა – 39,3), ხოლო ამიერკავკასაში – პირველი ადგილი (სომხეთის მაჩვენებელია – 28,4, აზერბაიჯანისა – 27,3). მთელ სსრკ-ში 1 კმ^2-ზე მოსახლეობის სიმჭიდროვეა 6,9 მოსახლე, ხოლო მის ევროპულ ნაწილში – 24,0 მოსახლე. მიუხედავად არსებული სიტუაციისა, რუსეთის მთავრობამ კოლონიზაციის მიზნით საქართველოში (და არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში) რუსები დაასახლა.

ქალაქის მოსახლეობა

საქართველოში დაახლოებით ორმოცი ქალაქია. აქედან თბილისში 100 000 სული ცხოვრობს. 1926 წლის აღწერით, ქალაქის მოსახლეობის რიცხვობრივი მაჩვნებელია 594 221 ანუ 22,3%.

ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქებია: ტიფლისი (ქართულად თბილისი) – საქართველოს დედაქალაქი, რომელიც V საუკუნეში დაარსდა და საუკუნის ბოლოს სამეფო რეზიდენციად იქცა (მანამდე საქართველოს დედაქალაქი და მეფეთა რეზიდენცია იყო მცხეთა), მისი მოსახლეობაა 400 000 (1926 წლის აღწერის მიხედვით – 294 000-ზე მეტი); ქუთაისი – ადრეანტიკური ხანის ქალაქი 48 195-იანი მოსახლეობით; ბათუმი – უმნიშვნელოვანესი პორტი 48 474 მაცხოვრებლით; სოხუმი (ყოფილი დიოსკურია) – საპორტო ქალაქი 21 568 მოსახლით; ფოთი (ყოფილი ფაზისი) – მნიშვნელოვანი პორტი; თელავი; სიღნაღი; გორი; ახალციხე; ბორჯომი; ოზურგეთი; ხონი; ჭიათურა; სამტრედია და ა.შ.

პოლიტიკური წყობის ცვლასთან ერთად იცვლებოდა საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობაც. საქართველოს სამეფო დაყოფილი იყო სამთავროებად (საერისთავოებად). ცარისტული რუსეთის ბატონობის ხანაში საერისთავოები გადაიქცა უბრალო პროვინციებად, მაგალითად, ტიფლისის ან ქუთაისის პროვინციად, რომელთა სათავეშიც მთვარმართებლები იყვნენ ან ოლქებად (ასეთი იყო, მაგალითად, ბათუმისა და სოხუმის ოლქი).

ისტორიულად საქართველოს შემადგენლობაში იყო სხვადასხვა პროვინცია: ქართლი, კახეთი, ფშავ-ხევსურეთი (მთიანი რეგიონი), ჯავახეთი, მესხეთი – აღმოსავლეთ საქართველოში; იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი და აჭარა – დასავლეთ საქართველოში. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი 16 ოლქი დაახლოებით შეესაბამებოდა ძველ ისტორიულ პროვინციებს, თუმცა მათ ემატებოდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რეგიონები.

საბჭოთა საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობა შემდეგნაირია: 3 საბჭოთა ქალაქი (ტიფლისი, ქუთაისი, ფოთი) და 48 საბჭოთა რეგიონი რეგიონალური ცენტრებით; აფხაზეთის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკა, თავის მხრივ, დაყოფილი 5 ქვერეგიონად; აჭარის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკა, თავის მხრივ, დაყოფილი 4 ქვერეგიონად და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონი, დაყოფილი სამ ქვერეგიონად.

საქართველოში 4,918 დასახლებული პუნქტია და თითოეულის ფართია საშუალოდ 14 კმ^2.

ისტორია

1. ძველი დროება

დღეს ყველამ იცის საქართველოს სახელი. საქართველო, მსხვერპლი რუსი ბოლშევიკებისა, რომელიც გმირულად იბრძვის თავისი დამოუკიდებლობის აღსადგენად, საყოველთაო ყურადღებას იზიდავს.

თუმცა მცირედნი თუ იცნობენ ამ ხალხის წარსულსა და კულტურას. და მაინც, პატარა ქართველი ხალხის ისტორია იმსახურებს იმას, რომ მას იცნობდნენ და მასზე ფიქრობდნენ.

2 500 წლიანი ისტორიის მანძილზე საქართველოს მრავალი დიდი იმპერია დაესხა თავს. ზოგიერთმა მათგანმა ის გაძარცვა, ზოგმა დაიმორჩილა. ქართველმა ხალხმა დიდი წინააღმდეგობა გასწია ამ პატარა თუ დიდი უბედურებებისაგან თავის დასახსნელად და შეძლო, დღემდე მოეტანა თავისი ეროვნული სახე და კულტურა.

ასეთი სიცოცხლისუნარიანობა უცხოელთათვის დიდი ინტერესის საგანია.

საქართველო ორი სამყაროს – დასავლეთისა და აღმოსავლეთის – გასაყარზე მდებარეობს. მისი გენია ამ ორი ელემენტის გავლენით ჩამოყალიბდა. ვისაც ამ შერეული ზეგავლენის მნიშვნელობა ესმის, შეამჩნევს, რომ არის რაღაც მინიშნება ქართველური ტომის წარმომადგენლის თუბალ-კაენის სახელში, რომელიც "მეტალურგიის მამას" ნიშნავს.

ბერძნულ ლიტერატურაში აგრეთვე მოიპოვება მინიშნებები, რომელთა მიხედვითაც ქართველი მეტალურგები შესანიშნავად ამუშავებდნენ წიაღისეულს, საბერძნეთის საბრძოლო იარაღი და სპილენძისა თუ ფოლადის სხვადასხვა ნივთი კი საქართველოდან იყო შეტანილი.

ამ ზეგავლენის ნაშთები ბერძნულ და არამარტო ბერძნულენოვან ტერმინოლოგიაშიც უნდა ვეძებოთ.

ქრისტეშობამდე მე-7 საუკუნეში კიმერიელების შემოსევამ ქართველები აიძულა, მცირე აზიიდან უკან დაეხიათ და ახალი მიწები ეძებნათ. ისინი

მოვიდნენ კავკასიაში და დაფუძნდნენ იმ ტერიტორიაზე, რომელზეც დღეს სახლობენ. ბერძნული წყაროებიდან ვიცით, რომ საქართველო, ქ.შ. მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული, შედგებოდა ორი სახელმწიფოსაგან: დასავლეთ სახელმწიფოსაგან ანუ კოლხეთისაგან და აღმოსავლეთ სახელმწიფოსაგან ანუ იბერიისგან. სამხრეთ-დასავლეთით ის შემოსაზღვრული იყო ლაზიკით ანუ ჭანეთით, რომელიც აღწევდა ტრაპიზონამდე. იბერია და კოლხეთი ძალიან განვითარებული მხარეები იყო. მათ ჰქონდათ კარგად მოვლილი გზები, ბაზრები, სხვადასხვა ტიპის მრავალრიცხოვანი საჯარო დაწესებულებები. ქალაქებიც მრავლად იყო, ხოლო მდინარეებზე გაცხოველებული ნაოსნობა მიმდინარეობდა. უკვე ამ ეპოქაში საქართველოზე გადიოდა დიდი სავაჭრო გზა, რომელიც ინდოეთს არა მარტო საბერძნეთთან, არამედ სხვა ევროპულ ქვეყნებთანაც აკავშირებდა. იბერიაში ისევე, როგორც კოლხეთში ხელისუფლება მეფეებს ეპყრათ, მაგრამ მეფობა მამიდან შვილზე კი არ გადადიოდა, არამედ სამეფო ოჯახიდან მეფის უახლოესი ნათესავის ყველაზე მხცოვან წარმომადგენელზე.

ადმინისტრაციულ ინსტიტუციებში (ისინი რომაულ ყაიდაზე იყო მოწყობილი) უფლებები ჰქონდა უბრალო ხალხს და არა ოჯახებს ან წარჩინებულებს. შესაბამისად, კერძო მფლობელობა არ არსებობდა და მთელი უძრავი ქონება ეკუთვნოდა ხალხს.

ამ ეპოქის ქართველები ეთაყვანებოდნენ მნათობებს, პირველ რიგში კი – მთვარეს, რომელიც მამაკაცურ ღვთაებად (საწყისად) ითვლებოდა.

მეფე მითრიდატესთან ომმა რომაელები სამხრეთ კავკასიაში – არმენიაში, იბერიასა და კოლხეთში – ჩამოიყვანა.

ჩვ.წ.-ით 65 წელს პომპეუსმა დაამარცხა იბერთა მეფე არტაგი დ აიძულა, მშვიდობაზე დათანხმებულიყო. ამის შემდეგ, თავის მხრივ, კოლხეთიც დამორჩილდა და ამგვარად ორივე ქართული სახელმწიფო რომაელთა ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა. იბერია მრავალჯერ აღუდგა ამ ბატონობას, მაგრამ წარუმატებლად. თუმცა რომაელთა ბატონობა მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ იბერიისა და კოლხეთის მეფეები მათ უნდა ეღიარებინათ. სხვა მხრივ, ისინი სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ, იმდენად, რომ აქ რომაელთა გარნიზონიც კი არ იდგა.

ჩვ.წ.-ით მე-3 საუკუნეში რომს სასტიკი მეტოქე გამოუჩნდა. სპარსეთმა წამოიწყო ხანგრძლივი ომები ჯერ რომის, ხოლო შემდეგ მისი მემკვიდრე ბიზანტიის წინააღმდეგ. ვინაიდან საქართველოს ამ ომში სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, სპარსეთი შეეცადა, ჯერ საქართველო დაეპყრო, ხოლო შემდეგ კი – თავისი მეტოქე.

მეორე საუკუნიდან საქართველოში ნელ-ნელა შემოვიდა ქრისტიანობა. მოგვიანებით ქალმა, სახელად ნინომ, იქადაგა სახარება ქართველებისთვის. ქრისტიანული ეკლესიის მხრიდან მისი კანონიზაციის შემდეგ იგი მოციქულთა სწორ წმინდანად შერაცხეს. მეოთხე საუკუნის დასაწყისში, მეფე მირიანის დროს, ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა. ეჭვს არ იჭვევს, რომ საქართველოსა და ბიზანტიის დაახლოება სწორედ ამ მოვლენის შედეგი იყო.

თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, სპარსელებმა შეძლეს, საქართველო თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ, ნელ-ნელა მისი თავისუფლება შეეზღუდათ და 523 წელს სამეფო ხელისუფლება საბოლოოდ გაეუქმებინათ. ამავე დროს ისინი ძალას არ იშურებდნენ, რომ ქრისტიანობა მაზდეანობით (ცეცხლთაყვანისმცემლობით) ჩაენაცვლებინათ.

დასავლეთ საქართველო, რომელსაც იმ ეპოქაში ლაზიკა ეწოდებოდა, ბიზანტიის მფარველობის ქვეშ დარჩა. მისი მეფე, სრულიად დამოუკიდებელი, არ უხდიდა გადასახადებს ბიზანტიას. ამ უკანასკნელმა დროებით დაიკავა ლაზიკის გამაგრებული ადგილები სწორედ მაშინ, როდესაც მეექვსე საუკუნეში სპარსეთმა იბერიაში სამეფო ხელისუფლება გააუქმა. სპარსეთმა, რომელიც ლაზიკისთვის სერიოზულ საფრთხედ გადაიქცა, მოინდომა კიდეც თავის ბატონობის ქვეშ მისი შეყვანა.

არაბთა მომძლავრებამ საბოლოოდ დასცა სპარსეთი და ამით აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთის უღლისგან გაათავისუფლა. თუმცა ამის შემდეგ არაბებმა საქართველო დაიპყრეს (643-645) და მისი აღმოსავლეთ ნაწილი დაიკავეს. ახალი დამპყრობლები კიდევ უფრო სასტიკნი აღმოჩნდნენ, ვიდრე მათი წინამორბედნი. მათ საქართველოს გამაჰმადიანება მოინდომეს, თუმცა ვერ შეძლეს, დასავლეთ საქართველოსთვის იგივე მოეწიათ, რაც აღმოსავლეთ საქართველოს დამართეს.

მერვე საუკუნეში ხალიფას ძალაუფლებამ დასუსტება იწყო, ამით ისარგებლეს ქართველებმა აღმოსავლეთ ნაწილში და არაბთა ბატონობისგან გათავისუფლდნენ. მათ თავიანთი დამოუკიდებლობა აღადგინეს და არაერთი სამთავრო და სამეფო შექმნეს.

ამ პერიოდისათვის როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში კეთილშობილი გვარები დაწინაურდნენ. წინათ სოციალური უთანასწორობა თითქმის არ არსებობდა, ახლა კი, V საუკუნიდან, თავს იჩენს სოციალური განსხვავებულობები. II-IV საუკუნეებიდან ჩნდება კერძო საკუთრება. იყვნენ "აზნაურები" [aznav uri] (თავისუფალი დიდგვაროვნები) და "უაზნონი" [uaznoni]. ეს უკანასკნელნი იყოფოდნენ მფლობელებად და მონებად. VII საუკუნეში მონობა აღარ არსებობდა, ის ყმობამ შეცვალა.

აზნაურთა შორის იყვნენ დიდაზნაურები, რომლებმაც მას შემდეგ, რაც სამეფო ძალაუფლება შესუსტდა, აღმოსავლეთ საქართველოში კი სრულიად გაუქმდა, ქვეყნის მართვის სადავეები ხელთ ჩაიგდეს.

2. ეროვნული ერთიანობისაკენ

უცხოელთა ხანგრძლივმა ბატონობამ გამოიწვია სწრაფვა ეროვნული ერთიანობისაკენ მთელ საქართველოში. ამ პოლიტიკურ სიახლეს წინ უძღოდა დიდი კულტურულ-აღმშენებლობითი ძალისხმევა ეკლესიის მეთაურობით.

თავდაპირველად ქართული ეკლესია ცნობდა ანტიოქიის პატრიარქის უზენაესობას, თუმცა V საუკუნის II ნახევრიდან უკვე ავტოკეფალია მოიპოვა და საკუთარი კათალიკოს-პატრიარქიც ჰყავდა. ქრისტიანობა მთელ საქართველოში გავრცელდა. ეკლესიის საქმიანობა ნაყოფიერი და შემოქმედებითი იყო. V საუკუნეში საქართველოს ჰქონდა ორი მონასტერი იერუსალიმში. სწორედ ამ ეპოქაში იშვა საქართველოში ქრისტიანული სამყაროსთვის კარგად ცნობილი მაიუმის (სირია) ეპისკოპოსი პეტრე იბერი. სხვათა შორის, ქართველები მონაწილეობდნენ ქრისტიანული ეკლესიის ყველა მოვლენაში და 607 წელს ქალკედონიის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე აღმოსავლეთის ზოგიერთი ეკლესიის წინააღმდეგ გამოკვეთილი პოზიციაც დაიჭირეს. ამ დროს ქართულმა ეკლესიამ მკვეთრად ეროვნული იერი შეიძინა. მნიშვნელოვანია ქართული ეკლესიის ძალისხმევა კულტურის განვითარების, მეცნიერებისა და ხელოვნების გავრცელების საქმეში. ამ თვალსაზრისით, შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ მესხეთის (საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი) როლი. ტაო-კლარჯეთის პროვინციაში VIII-IX საუკუნეებში აშენდა ხანძთის, შატბერდის, ოპიზის, ტბეთის, ოშკისა და სხვა მონასტრები. ამ მონასტრებთან არსებულ სასულიერო სემინარიებში აღიზარდა საქართველოს მრავალი გამოჩენილი სასულიერო თუ საერო პირი. აქ არსებობდა მეცნიერების ნამდვილი კერები, საიდანაც განათლება ვრცელდებოდა. ამავე დროს, მონასტერთა დიდი რაოდენობა აშენდა უცხოეთშიც – ბიზანტიაში, პალესტინასა და სირიაში. ამის წყალობით, უცხო ენების შესწავლამ სხვა მასშტაბი შეიძინა, ხოლო მსოფლიოს სასულიერო თუ ფილოსოფიურ სკოლებთან კავშირები გაფართოვდა.

ამგვარი კულტურული პროცესები დიდად უწყობდა ხელს ეროვნული თვითშეგნებისა და თავმოყვარეობის გაძლიერებას. ერი წარმოადგენდა ერთ ორგანულ მთლიანობას. ყველანი ერთი ეკლესიის შვილები იყვნენ, მის

სათავეში კი ერთი სულიერი მოძღვარი – კათალიკოსი იდგა. არსებობდა საერთო კულტურა, საერთო ენა, საერთო ლიტერატურა. ამ კულტურულმა ერთობამ წარმოშვა სურვილი პოლიტიკური ერთიანობისა, რომელსაც ქადაგებდნენ პოლიტიკური მოღვაწეები და ეკლესიის წარმომადგენლები. IX საუკუნეში ეროვნული ერთიანობის იდეამ სრულად შეისხა ხორცი. ის ორი მიმართულებით განვითარდა: ჩრდილო-დასავლეთში (აფხაზეთში) და სამხრეთ-დასავლეთში (ტაო-კლარჯეთში). ეს ორი მიმართულება 977-978 წლებში ტაო-კლარჯეთის ბაგრატოვანთა დინასტიის ხანაში გადაიკვეთა. მეფეებმა ბაგრატ მესამემ (+1014), გიორგი პირველმა (+1027) და ბაგრატ მეოთხემ (+1072) განაგრძეს საქართველოს ნაწილების გაერთიანება, რაც დაავგირგვინა მეფე დავით აღმაშენებელმა (1089-1125), საქართველოს უდიდესმა მონარქმა. მან არა მხოლოდ გააერთიანა საქართველოს სხვადასხვა მხარეები, არამედ გაათავისუფლა ისინი თურქ-სელჯუკებისა და სხვა აგრესორებისგან, წაართვა დამპყრობლებს სხვა მიწებიც და იმდენად გააფართოვა თავისი სამეფო, რომ მთელი სამხრეთ კავკასია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე მის მფლობელობაში აღმოჩნდა. მეფე დავითმა დაიმორჩილა ფეოდალები, დაამყარა საყოველთაო წესრიგი, გააუმჯობესა იურისპრუდენცია (სამართალი), შექმნა მუდმივი ჯარი, საეკლესიო საბჭოს დახმარებით სამღვდელოებაში გაატარა რეფორმა, ააშენა გზები და ხიდები, დააარსა საავადმყოფოები და თავშესაფრები, სკოლები, გელათის აკადემია (ქუთაისთან ახლოს). დიდი გულმოდგინებით შეაკეთა მტრების მიერ დანგრეული ქალაქები თუ სოფლები და ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის განსაკუთრებული მონდომება გამოიჩინა. გამორჩეული ერუდიციის მეფე დავითი მუდმივად საკუთარი თავის სრულყოფასა და ცოდნის გაფართოებას ცდილობდა, იმდენად, რომ ომშიც კი საკუთარი ბიბლიოთეკით მიდიოდა.

გაერთიანების პროცესს დასაწყისიდანვე თან სდევდა თავგამოდებული ბრძოლა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის სამეფო ხელისუფლება უკვე მემკვიდრეობით გადადიოდა და მამიდან უფროს ვაჟს გადაეცემოდა. მეფე სარგებლობდა ყველანაირი პატივით, ის მეფობდა ღვთის ნებით, მისი ავტორიტეტი იყო აბსოლუტური, მაგრამ რეალურად სამეფო ავტოკრატიას, ფეოდალთა არსებობის გამო, ჰქონდა გარკვეული შეზღუდვები. მოხდა მოსახლეობის ფართო დიფერენციაცია. პირველ ადგილზე იყვნენ აზნაურები (დიდგვაროვნები), მათ შორის – ტახტის აზნაურები და მიწათმფლობელი ფეოდალები, შემდეგ მოდიოდნენ სპეციალურ კლასად გაერთიანებულნი ვაჭრები, ხელოსნები, ყმები და

გლეხები. თავდაპირველად თავისუფალი გლეხები ყმებად მხოლოდ XI საუკუნეში იქცნენ. ყმები ჰყავდათ როგორც მეფეებსა და დიდგვაროვნებს, ასევე ეკლესია-მონასტრებს. გარდა ამისა, არსებობდა კორპორაციული წესით შედგენილი ელიტარული სამხედრო წრე. განსხვავებული სოციალური კლასები ერთმანეთს მკვეთრად ემიჯნებოდა, თუმცა ერთი კლასიდან მეორეში გადასვლა შესაძლებელი იყო. დაწინაურება ხდებოდა დამსახურების მიხედვით. საქართველოში ფეოდალთა კლასის შექმნის პროცესი და მისთვის დამახასიათებელი ნიშნები იგივე იყო, რაც შუა საუკუნეების ევროპაში. შეიძლება ვივარაუდოთ ისიც, რომ ტერმინების გაცლა-გამოცვლასაც კი ჰქონდა ადგილი (beneficium, puer). საქართველოში, ისევე, როგორც ევროპაში, ფეოდალიზმი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ბაზისს წარმოადგენდა. და მაინც, არსებობდა მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ორ ფეოდალიზმს შორის. ევროპაში ფეოდალები ყველა საფეოდალოში პოლიტიკური უფლებებით სარგებლობდნენ: მათ შეეძლოთ ეწარმოებინათ ომი, აეკრიფათ ხარკი, დაემყარებინათ სამართალი. საქართველოში ხარკის აკრეფა მხოლოდ რამდენიმე საფეოდალოს შეეძლო. რაც შეეხება სამართალს, არავის ჰქონდა მისი დამყარების უფლება, ეს მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივა იყო.

ფეოდალიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო ის, რომ ვასალები და ყმები ფეოდალის შეიარაღებულ ძალას წარმოადგენდნენ. ვინაიდან დიდძალი ქონება ჰქონდათ, დიდი აზნაურები ხშირად უპირისპირდებოდნენ მეფეს და იბრძოდნენ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. აზნაურთა ოჯახებში მათი მთავარი ფუნქციები მემკვიდრეობით გადადიოდა. ეს აზნაურები ეკლესიის საქმეებშიც ერეოდნენ. მეფეები თავგანწირვით იბრძოდნენ დიდგვაროვანთა წინააღმდეგ და ცდილობდნენ მათ დამორჩილებას, უხმობდნენ დასახმარებლად სხვა კლასთა წარმომადგენლებს და, არცთუ იშვიათად, თუკი თავს გამოიჩენდნენ, კიდეც აწინაურებდნენ ისე, რომ ყურადღებას არ აქცევდნენ არც მათ წარმომავლობას და არც წოდებას. იყო შემთხვევები, როდესაც გლეხები მინისტრები ხდებოდნენ. თანდათანობით ეკლესია გათავისუფლდა დიდგვაროვანთა უზურპაციისგან. უშუალოდ მეფის ბრძანებებს დაქვემდებარებული რეგულარული ჯარის შექმნამ დიდი დარტყმა მიაყენა ამ კასტას. ამგვარმა ბრძოლამ თავისი ნაყოფი გამოიღო – XII საუკუნეში დიდ თავადებს არანაირი გავლენა აღარ ჰქონდათ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე.

3. პოლიტიკური სიდიადე და კულტურის აყვავება

X და XI საუკუნეები საქართველოს გაერთიანების პერიოდია, ხოლო XII საუკუნე კი, თამარ დედოფლის მეფობის ხანა (1184-1212) – საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული სიდიადისა.

ამგვარი წინსვლა, ბუნებრივია, შიშს უჩენდა მეზობელ მუსულმანურ ქვეყნებს. ამიტომ ისინი საქართველოს ყოველი მხრიდან უტევდნენ და მის დასუსტებას ცდილობდნენ. სპარსთა, სელჯუკთა და არაბთა გაერთიანებულმა ჯარებმა 1195 და 1206 წელს ორგზის მოინდომეს საქართველოს დაპყრობა, მაგრამ ორივეჯერ უკუიქცნენ. ამ ორმა დიდმა გამარჯვებამ და სპარსეთის ომმა საქართველოს აზიასა და ევროპაში მძლავრი სახელმწიფოს სახელი მოუპოვა. ვერც სპარსეთი და ვერც რომელიმე სხვა სახელმწიფო მცირე აზიაში ვერ გაუტოლებოდა საქართველოს სიძლიერით.

უცხოელები ცდილობდნენ მასთან დამეგობრებას. მუსულმანური ქვეყნების ქრისტიანებს საქართველო თავიანთ ქომაგად ეგულებოდათ. თვით მუსლიმანები არცერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენელს არ ექცეოდნენ ისეთი პატივით, როგორც ქართველს. განსხვავებით სხვა ქრისტიანებისაგან, მხოლოდ ქართველები იყვნენ გათავისუფლებული ხარკისგან და მხოლოდ ისინი შედიოდნენ იერუსალიმში გაშლილი დროშებით.

ამგვარ პოლიტიკურ სიძლიერეს განაპირობებდა ის, რომ საქართველო კარგად ორგანიზებული სახელმწიფო იყო. ქვეყანას სათავეში ედგა დედოფალი თამარი, სათნოებით აღსავსე, მაგრამ მამაკაცივით გამბედავი, დიდი პოლიტიკური ალღოთი და ტალანტით დაჯილდოებული ქალი. მის გარშემო იყო შემოკრებილი ვეზირების (ანუ მინისტრების) საბჭო. დედოფალი ვერანაირ გადაწყვეტილებას მიიღებდა ამ საბჭოს სათავეში მყოფი ჭყონდიდელი ეპისკოპოსის (დღევანდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე) დაუკითხავად, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი, მაგალითად, ომის დროს, სხვა ადმინისტრაციული კორპუსის – "დარბაზის" (სახელმწიფო საბჭო) ჩარევის გარეშე. დარბაზი შედგებოდა მინისტრებისაგან, მაღალი რანგის მოხელეებისაგან, სამღვდელო პირებისგან, თავადაზნაურთაგან და ვაჭრებისგან. ამ პერიოდში საქართველომ განსაკუთრებულ ეროვნულ აღმავლობას მიაღწია. თანამედროვე მატიანეებში კარგად არის ასახული საქართველოს სიდიადე. მემატიანეები აღნიშნავენ, რომ გლეხები თავად-აზნაურები ხდებოდნენ, აზნაურები კი – სამღვდელო პირები. სპეციალური გადასახადი (მეათედი) იყო დაწესებული ქვრივებისა და ობლების, ხეიბართა და უპოვართა დასახმარებლად, ამ ყოველივეს კი დიდი ვეზირი (ჩვენი გაგებით, კანცლერი) განაგებდა.

აღმავლობას განიცდიდა ლიტერატურაც, რის შესახებაც ვრცლად იქნება საუბარი მომდევნო თავში. არქიტექტურასა და მხატვრობაში შეიქმნა ქართული ხელოვნების მნიშვნელოვანი ტიპური ნიმუშები. საზოგადოებრივი თუ კულტურული ცხოვრება განმსჭვალული იყო ჰუმანური სულისკვეთებით და არა რელიგიური ტენდენციებით. მეფის კარი და ნაღები საზოგადოება ხელს უწყობდა აზროვნების თავისუფლებას, მეცნიერები და პოეტები კი დაცულად გრძნობდნენ თავს.

გარდა გელათისა, დაარსდა აკადემია იყალთოში და ასევე საზღვარგარეთ – პეტრიწონში (მაკედონია) (*იგულისხმება ძველი მაკედონია. უძველესი სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდ-აღმ. ნაწილში. მაკედონიის სამეფო. ძვ.წ.V -ძვ.წ.II.საუკუნეებში.თ.ბ.*) იქ ასწავლიდნენ თეოლოგიას, რიტორიკას, ფილოსოფიას და ა.შ. თუკი გავითვალისწინებთ, რომ აკადემიის რექტორს ისეთივე პატივს მიაგებდნენ, როგორც კანცლერს, ადვილად წარმოსადგენია, თუ რა ავტორიტეტით სარგებლობდა იმ ეპოქაში მეცნიერება. ერთი სიტყვით, XII საუკუნე საქართველოსთვის იყო რენესანსის ხანა, რომელიც ევროპას მხოლოდ XV საუკუნეში დაუდგა.

ეროვნულმა ზნეობრიობამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ამ ეპოქის დოკუმენტები გვამცნობენ, რომ დავით აღმაშენებლის მეფობისას ყველგან *"წესრიგი, კანონი და პატიოსნება"* სუფევდა, თამარის მეფობის პერიოდში კი *"არ არსებობდნენ ქურდები და კრიმინალები"*. უნდა აღინიშნოს, რომ თამარის ეპოქაში აიკრძალა სიკვდილით დასჯა და დასჯა სხეულის დაზიანებით. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მუსლიმანთა და ქრისტიანთა შორის საუკუნოვანი ომების მიუხედავად (ქართველები რწმენის მხურვალე დამცველები იყვნენ), მაჰმადიანთა რელიგიას პატივს სცემდნენ და მათი დევნის არცერთი შემთხვევა არ აღუნუსხავს მემატიანეს არც ქრისტიანთა და არც ებრაელთა მხრიდან.

ყველაფერი საქართველოს კიდევ უფრო მეტ წინსვლას მოასწავებდა. კულტურის განვითარებაც იმედის მომცემი იყო. საქართველოს დიდებამ დასავლეთამდეც მიაღწია. რომის პაპმა თამარის ვაჟს, ლაშა-გიორგის, გაუგზავნა წერილი, რომელშიც სთხოვდა, ქართულ არმიას მონაწილეობა მიეღო V ჯვაროსნულ ომში. მეფემ დიდი პატივით მიიღო ეს თხოვნა და მაშინვე შეუდგა სამზადისს. თუმცა მოულოდნელმა მოვლენებმა სრულიად შეცვალა საქართველოს ბედი.

4. მონღოლების შემოსევა და საქართველოს დანაწევრება

1221 წელს საქართველოს მონღოლთა ურდოები შემოესიენ. ქართველებმა მედგარი წინააღმდეგობა გასწიეს, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქმნენ, დანებებოდნენ ბევრად უფრო მრავალრიცხოვან მტერს. გამარჯვების მოპოვებით გათამამებულმა მონღოლებმა უკან დაიხიეს, მაგრამ ათი წლის შემდეგ კვლავ დაბრუნდნენ და სისხლისმღვრელი ომების შედეგად დაიკავეს დასავლეთ საქართველო, თუმცაღა აღმოსავლეთში ვერ შეაღწიეს. მათი იქ ყოფნა საქართველოსთვის დამღუპველი იყო. ბრძოლების დროს დაინგრა თბილისი (ტფილისი) და მრავალი სხვა ქალაქი. მტერმა ჯერ გაძარცვა, ხოლო შემდეგ გადაწვა ყველაზე მნიშვნელოვანი ეკლესიები და სასახლეები, გაიძარცვა უამრავი ფასდაუდებელი ძეგლი, განადგურდა ხელნაწერები და ხელოვნების ნიმუშები. უმძიმესი ხარკი დაედო მოსახლეობის ყველა ფენას: მიწათმფლობელებს, ვაჭრებს, ხელოსნებს, გლეხებს. გადასახადი დაწესდა ყველაფერზე, მიწის უმცირეს ნაკვეთსა თუ პირუტყვზე. მონღოლები დაეპატრონენ მთელ ფულს, რომელიც ხარკის სახით შემოდიოდა. 90 000 ქართველი ჯარისკაცებად გაიწვიეს მონღოლთა ჯარში. ისინი მიჰყავდათ შორეულ ომებში მონაწილეობის მისაღებად. მოსახლეობა, რომლისთვისაც აუტანელი შეიქნა ამგვარი უბედურება, ამდენი ხარკის გადახდა, ქალაქებიდან და სოფლებიდან გაიხიზნა. ყველაზე სავალალო კი, რაც მონღოლების შემოსევამ მოიტანა, მონღოლთა მიერ საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფა იყო.

საქართველომ მონღოლების მძიმე უღელი მხოლოდ XIV საუკუნის I ნახევარში გადააგდო. მეფე გიორგი V ბრწყინვალემ (1356) მონღოლები აღმოსავლეთ საქართველოდან საბოლოოდ განდევნა, საქართველოს მთლიანობა აღადგინა და საქართველოს საზღვრები კასპიის ზღვამდე გადასწია. ქვეყანაში თანდათან წესრიგი მყარდებოდა. სახელმწიფო ნელ-ნელა აღადგენდა ეკონომიკასა და კულტურას. განახლდა ყველაფერი, რაც გადაურჩა ძარცვასა და ნგრევას, მათ შორის – ეკლესიებიც.

XIV საუკუნის ბოლოს, თემურ-ლენგის მმართველობისას, მონღოლებმა შვიდგზის დაიპყრეს საქართველო. თემურ-ლენგმა, რომელიც ქართველების მაჰმადიანურ რწმენაზე მოქცევას ცდილობდა, მათ განსაკუთრებული სისასტიკე დაატეხა. თემურ-ლენგი მრავალრიცხოვანი ომების დროს არსად შეხვედრია იმგვარ წინააღმდეგობას, როგორსაც საქართველოში. ქართული ჯარი ისეთი თავგანწირვით იბრძოდა, რომ მონღოლებს ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი დიდი სისხლის ფასად უჯდებოდათ. სამაგიეროდ, თემურ-ლენგიც არაფერს ზოგავდა – ანგრევდა და მუსრავდა ყოველივეს თავის გზაზე. ქვეყანა დაინგრა. პირისაგან მიწისა აღიგავა ექვსასი ქალაქი და სოფელი, გადაიწვა მრავალი ეკლესია როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში, სადაც მონღოლებმა ამჯერად შეჭრა მოახერხეს.

ომები ოცდახუთ წელს გრძელდებოდა, მაგრამ თემურ-ლენგმა ვერ გატეხა ქართველების წინააღმდეგობა. სიკვდილის წინ მას უთქვამს: "მთელი ჩემი ძალები საქართველოს დაპყრობას შევალიე, თუმცა საქმე ბოლომდე მაინც ვერ მივიყვანე, საქართველო ვერ მოვაქციე ჩემს უღელქვეშ".

თემურ-ლენგის სიკვდილის შემდეგ საქართველო მალე გათავისუფლდა მონღოლებისაგან, მაგრამ ეს შემოსევები ძალიან ძვირად დაუჯდა ქვეყანას. ძლიერ შემცირდა მოსახლეობა, გაღარიბებული ქართველობა დემორალიზებული იყო, ადმინისტრაციული აპარატი – მოშლილი, ხელისუფლება – შესუსტებული. ცალკეული პროვინციები ნელ-ნელა მოწყდნენ ქვეყანას და განცალკევდნენ.

და მაინც, ერთიანობის განცდა ბოლომდე მაინც არ გამქრალიყო. XV საუკუნეში, ალექსანდრესა და კონსტანტინეს მეფობის ხანაში, საქართველომ მოახერხა ერთიანობის აღდგენა. ეს მხოლოდ დროებითი გაერთიანება იყო, თუმცა ძალისხმევას არავინ იშურებდა და იმედიც ცოცხლობდა, რომ ბოლოს და ბოლოს ფეხზე დამდგარი ქვეყანა დაიბრუნებდა თავის ძველ დიდებას.

საუბედუროდ, ვიდრე ეს გაერთიანება მოხდებოდა, საქართველოს საზღვრებს სამხრეთ-დასავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ორი – სპარსეთისა და ოტომანთა – დიდი იმპერია მოუახლოვდა. მათ არ დააყოვნეს საქართველოზე გალაშქრება. ამ ახალი განსაცდელის წინაშე აღმოჩენილი საქართველო დაიყო მრავალ სამთავროდ: აღმოსავლეთით – ქართლისა

და კახეთის სამთავროებად, დასავლეთით – იმერეთის სამთავროდ და სამხრეთით – მესხეთის სამთავროდ. შეუძლებელი აღმოჩნდა ეკლესიის ერთიანობის შენარჩუნებაც – იმერეთს, ქართლს, კახეთსა და მესხეთს თავიანთი კათალიკოსები ჰყავდათ.

5. თურქეთსა და სპარსეთს შორის

სპარსეთი და თურქეთი საქართველოს დაპყრობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. სპარსეთი ქართლსა და კახეთს უმიზნებდა, თურქეთი კი – მესხეთსა და იმერეთს. ბრძოლა, რომლის დროსაც გადამწყვეტი იყო ორი ფაქტორი – დამოუკიდებლობისა და რწმენის დაცვა, თითქმის სამი საუკუნე გაგრძელდა. მტერი ხშირად იჭრებოდა საქართველოს ტერიტორიაზე, ზოგჯერ იპყრობდა კიდეც მას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერასოდეს ახერხებდა ქვეყნის ბოლომდე დამონებას და მოპოვებული გამარჯვების შენარჩუნებას. ქვეყნის შიდა მოწყობა უცვლელი რჩებოდა, სამეფო არსად გაუქმებულა.

XVI საუკუნეში სპარსთა პირველი კამპანია შეაჩერა მეფე სიმონმა (1557-1600). იგი დამორჩილდა, თავი ვასალად ცნო, მაგრამ მალევე აჯანყდა და ომი გამოაცხადა. სპარსეთის შაჰმა სიმონის ადგილას მისი ძმა დავითი დასვა. დავითმა მაჰმადიანობა მიიღო, მაგრამ როდესაც კახეთი თურქებმა დაიპყრეს, სპარსელებმა დავითი გადააყენეს და ტახტი სიმონ მეფეს დაუბრუნეს. სიმონმა მოლაპარაკებები დაიწყო იმერეთთან, იმერეთს კი თურქები აწუხებდნენ. მეფეს, თუნდაც სპარსეთის პროტექტორატის ქვეშ, საქართველოს გაერთიანება ეწადა, მაგრამ ძალიან მალე, მრავალრიცხოვანი ბრძოლების შედეგად, თურქებმა სიმონი დაამარცხეს. მომდევნო წლებში მათი აგრესია უფრო ზომიერი გახდა.

სპარსეთიც აღარ იყო წინანდებურად ძლევამოსილი. კახეთი და ქართლი გაერთიანებაზე ფიქრობდნენ, თანაც სპარსეთის მორჩილებასა და მასთან შერიგებას ცდილობდნენ. ეს სიმშვიდე დიდხანს არ გაგრძელდა. სპარსეთის ტახტზე შაჰ-აბასი ავიდა (1587-1628), საკმაოდ ნიჭიერი ადამიანი, რომელმაც საგრძნობლად გააფართოვა თავისი სამეფო, მრავალგზის დაამარცხა თურქები და მთელი საქართველოს დაპყრობა განიზრახა. საქართველო გრძნობდა გარდაუვალ კატასტროფას. ქართლის მეფე ლუარსაბი და კახეთის მეფე თეიმურაზი მტრის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. ეს გაერთიანება არ მოეწონა შაჰ-აბასს და მათი ვაჟები სპარსეთში მძევლებად მოითხოვა. მეფეებმა უარი შეუთვალეს. მაშინ შაჰ-აბასი შეესია ქართლ-კახეთს და გაანადგურა. ლუარსაბმა და თეიმურაზმა თავი იმერეთს შეაფარეს. შაჰმა დაპირებებით მოახერხა მეფე ლუარსაბის სპარსეთში ჩაყვანა იმ იმედით, რომ ისლამზე მოაქცევდა. ამაოდ! ამიტომ მას წამებაში ამოჰხადა სული. თეიმურაზის დედამ, კახეთის დედოფალმა ქეთევანმა, იგივე ბედი გაიზიარა. მან, მოსალოდნელი წამებისა და სიკვდილის მიუხედავად, არც თავის რწმენას უღალატა და არც თავის ქვეყანას. ქართველი დიდგვაროვნები, რომლებმაც მაჰმადიანობა მიიღეს, შაჰ-აბასმა ქართლ-კახეთის მბრძანებლებად დასვა. იმერეთიდან დაბრუნებულმა მეფე თეიმურაზმა მოახერხა კახეთის ტახტის დაბრუნება. ამიტომ შაჰმა კვლავ შეუტია ამ პროვინციას. მთელი ერთი წლის მანძილზე კახელები მამაცურად იცავდნენ თავს, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდნენ. მტერი სასტიკად გაუსწორდა მათ – გაწეული ბრძოლების სანაცვლოდ 80 000 ქართველი გაჟლიტა და 100 000 სპარსეთში გადაასახლა (მათი შთამომავლები დღემდე იქ ცხოვრობენ, ფერეიდნის პროვინციაში. მათ დაკარგეს რელიგია, მაგრამ შეინარჩუნეს ენა და თავს ქართველებს უწოდებენ).

მიუხედავად უმძიმესი სიტუაციისა, ქართველები არ ურიგდებოდნენ უცხოელთა ბატონობას და განაგრძობდნენ ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. შაჰ-აბასმა ბრძანებით, მთლიანად გაეწყვიტათ მოსახლეობა, საქართველოში კიდევ ახალი ჯარი გაგზავნა. ამის შემდეგ თვითონ ჩაუდგა ჯარს სათავეში, შეესია ქვეყანას და გაანადგურა ყველაფერი, რაც კი მის წინამორბედებს გადაურჩა. სამშობლოდან განდევნილმა თეიმურაზმა მაინც მოახერხა, ქართველ მეომრებს სათავეში ჩადგომოდა და დროებით მაინც გაეერთიანებინა ქართლ-კახეთი, რის შემდეგაც დაატყვევეს. მოხუცი მეფე, რომელმაც რჯულის შეცვლაზე უარი თქვა, საპყრობილეში ჩააგდეს და სიკვდილით დასაჯეს.

დროდადრო სპარსელები საქართველოს მიმართ პოლიტიკას არბილებდნენ, მაგრამ ამას შედეგი არ გამოუღია. ქართველებს ქართლ-კახეთის სათავეში გამაჰმადიანებული მეფეების ხილვა არ სურდათ (სპარსელები მხოლოდ გამაჰმადიანებულ მეფეებს ცნობდნენ). თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგიერთმა გამაჰმადიანებულმა მეფემ შეინარჩუნა გულით ქართველობა და ქრისტიანული რწმენა. მათ შორის იყო ქართლის მეფე ვახტანგ VI (+1737), რომელიც მტკიცედ აღუდგა სპარსთა და თურქთა წინააღმდეგობას და ამით დიდად შეცვალა საქართველოს ცხოვრება.

სპარსთა ბატონობა, მათი გავლენის ზრდა და წეს-ჩვეულებების ქართულ სინამდვილეში შემოჭრა აუტანელს ხდიდა ყოფას. სწორედ ამით აიხსნება, რომ ქართველთა ბრძოლა დროდადრო სუსტდებოდა, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ ისევ ძლიერდებოდა.

ასეთივე უბედურება ტრიალებდა დასავლეთ საქართველოში, რომელსაც თურქეთი შემოსეოდა. თურქებმა ჯერ ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, მესხეთი, დაიპყრეს. მონღოლთა ბატონობის ხანაში ეს მხარე ნახევრად დამოუკიდებელი იყო და ათაბაგები, მესხეთის მმართველები, მისი სრული გამოყოფისათვის ძალას არ იშურებდნენ. თურქთა შემოსევისას მათ დამპყრობელს წინააღმდეგობა თითქმის არ გაუწიეს. თურქებს წინ მხოლოდ იმერეთი აღუდგა, რადგანაც ნათლად ხედავდა საშიშროებას, რომელსაც მესხეთში თურქების შემოსევა გამოიწვევდა. იმერლებს ქართლელებიც დაეხმარნენ. საუბედუროდ, დამპყრობელმა გაიმარჯვა და თურქებმა ყველგან თავიანთი გარნიზონები განალაგეს. ცოტა ხნის შემდეგ მათ ძალიან იოლად დაიპყრეს მესხეთის ტერიტორია და ათაბაგი სრულიად უმტკივნეულოდ მოაქციეს ისლამზე. ამიერიდან ფაშად წოდებულ ათაბაგს თურქები ნიშნავდნენ. დაიწყო ამ მხარის სრული გამაჰმადიანება... [აქ აკლია გვერდი 55. მთარგმნელი].

...შესთავაზა ქართლის ტახტი თეიმურაზ მეორეს, ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის ყველაზე სახელოვან წევრს, კახეთის ტახტი კი – მის ვაჟ ერეკლეს. ქართველთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. კარგა ხნის მანძილზე ქართლ-კახეთის ტახტზე ქრისტიანი არ გამეფებულიყო. მამაცი ქართველების გულში იმედი ჩაისახა. ეს სიმშვიდისა და მდგომარეობის გაუმჯობესების საწინდარი იყო, რასაც გარე მოვლენებმაც შეუწყო ხელი – სპარსეთში ნადირ-შაჰი მოკლეს. ამ მკვლელობით გამოწვეულმა არეულობამ თეიმურაზ მეორესა და ერეკლე მეორეს საშუალება მისცა, ქართლ-კახეთი სპარსელთაგან მთლიანად გაეთავისუფლებინათ. ძალიან მალე მათ ხელში ჩაიგდეს ერევნის სპარსული ნაწილი და განჯის სახანო, რომლებიც თავიანთ ვასალებად აქციეს. 1762 წელს თეიმურაზი გარდაიცვალა. ფაქტობრივად უკვე გაერთიანებული ქართლი და კახეთი იურიდიულადაც გაერთიანდა ერეკლე მეორის მეფობის ქვეშ. ერეკლე დიდად ნიჭიერი ადამიანი და სახელგანთქმული სტრატეგი იყო. ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მან ორმოცზე მეტ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და მათგან ოცდაათი გამარჯვებით დასრულა. მისი გამარჯვებების ამბავმა ევროპამდეც მიაღწია. მეფე ერეკლეს

ყველაზე დიდი საზრუნავი კი დამოუკიდებლობის გამყარება იყო. მესხეთის გასათავისუფლებლად მან თურქეთთან ომი წამოიწყო.

ერეკლეს ბრწყინვალე მეფობის დროს საქართველოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რასაც საგრძნობი გაუმჯობესება მოჰყვა. არაერთი ზომა იქნა მიღებული მოხელეთა მთელი კორპუსის შესაქმნელად, ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი მილიცია, შეიქმნა იარაღის მანუფაქტურა, წამოიწყეს ლითონის დამუშავება, დაიხვეწა ტიპოგრაფიაც, რომელიც საქართველოში მიმდინარე პროცესების გამო გვიან გაიმართა. ეპისკოპოსებმა, კურთხევისას დადებული ფიცის თანახმად, გახსნეს ახალი სკოლები და განათლებაც გავრცელდა. საერო და საეკლესიო პირები ძალას არ იშურებდნენ ზნეობრიობის ასამაღლებლად. დაარსდა და მრავალი ხელნაწერითა თუ წიგნით შეივსო ბიბლიოთეკები. გაჩნდა აზრი ფეოდალურ წყობაზე დაფუძნებული ადმინისტრაციული მმართველობის ახალი სისტემით შეცვლის აუცილებლობის შესახებ. დიდგვაროვანთა კლასი ამ ეპოქაში ორად იყო გაყოფილი: თავადებად და აზნაურებად. პირველნი სრულუფლებიანი ბატონები იყვნენ საკუთარ ტერიტორიაზე, თავიანთ სამფლობელოში ჯარში გაწვეულებს თვითონ ხელმძღვანელობდნენ და თავისუფლდებოდნენ ზოგიერთი სახელმწიფო გადასახადისგან. ამგვარად, თავადთა პრივილეგიების გამო სამეფო და ცენტრალური ხელისუფლება დაკნინებული იყო. აზნაურები მათი ვასალები იყვნენ და საპატიო თანამდებობები ეკავათ. თავადებსაც და აზნაურებსაც ჰყავდათ ყმები: მოსამსახურე პირები და გლეხები. ისინი ბატონებს გადასახადებს უხდიდნენ და სხვადასხვა საქმიანობას ასრულებდნენ.

ჯერ კიდევ XII საუკუნეში ფეოდალთა ძალაუფლება მნიშვნელოვნად შესუსტდა და მათ სახელმწიფო საქმეთა მსვლელობაზე ზეგავლენა დაკარგეს. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციული სისტემის დეზორგანიზაციამ, მონღოლთა, თურქთა და სპარსელთა შემოსევებმა, რაც ხშირად აიძულებდა პროვინციებს პატარ-პატარა ომებში ჩართულიყვნენ, ხელი შეუწყო დიდგვაროვანი ოჯახების პრესტიჟის ზრდას. გარკვეულწილად, პასუხისმგებლობა მეფეებსაც ეკისრებოდათ – ფინანსური შეჭირვების დროს ისინი დახმარებისთვის ყმებს მიმართავდნენ ხოლმე.

ფეოდალიზმის მავნე გავლენას გონიერი ადამიანები კარგად იაზრებდნენ და ცდილობდნენ, გამოესწორებინათ მდგომარეობა, განსაკუთრებით, XVIII

საუკუნის II ნახევარში. თუმცა ყველაზე დაუზოგავად მეფე ერეკლე II შეებრძოლა. XVIII საუკუნის ბოლოს დასავლურ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდა სამთავრობო და ადმინისტრაციული სისტემის რეკონსტრუქციის სრული გეგმა. გამოჩნდნენ ახლებურად მოაზროვნე სახელმწიფო მოღვაწეები, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო ძველი ტიპის თავადებთან.

ამ ეპოქაში იმერეთში მეფობდა სოლომონ I, ერეკლე მეფის ღირსეული თანამედროვე, თურქთა დაუძინებელი მტერი. მეფე სოლომონი მრავალგზის აუჯანყდა თურქებს და მოახერხა, მთლიანად გაეთავისუფლებინა თავისი ქვეყანა. ერთიანობისაკენ მეფე სოლომონიც მიისწრაფოდა და, მიუხედავად იმისა, რომ მან ვერ მოახერხა, მთლიანად დაემორჩილებინა ზოგიერთი გამოყოფილი პროვინცია, გურიამ, სამეგრელომ და აფხაზეთმა მაინც აღიარეს მისი უპირატესობა. მალე საქართველოს ყველა მეფე და დიდი თავადი ერეკლე მეფის ირგვლივ გაერთიანდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სპარსელთა და თურქთა ბატონობისა, XVIII და განსაკუთრებით, XIX საუკუნეში საქართველოში დიდი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული სამუშაოები ჩატარდა. XVIII საუკუნის II ნახევრიდან საქართველო ერთმნიშვნელოვნად გაერთიანებისკენ მიისწრაფოდა. პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრება ამის ყველა ნიშანს ავლენდა. მშვიდობიანი ვითარების პირობებში, ორსაუკუნენახევრიანი უწყვეტი ომებით დასუსტებული სახელმწიფოს ძლიერების აღდგენა შესაძლებელი იქნებოდა.

6. რუსეთთან დაახლოება და რუსების ბატონობა

მუსლიმანების გარემოცვაში მყოფი ქვეყანა მხოლოდ პოლიტიკურად დაზარალდა. ქართველი ხალხი, მცხოვრები აზიისა და ევროპის გასაყარზე, თავისი კულტურით, ტრადიციებით თუ სულიერებით აღმოსავლურზე მეტად დასავლურია და ევროპისაკენ მიდრეკილი. ბიზანტიის დაცემის შემდეგ ევროპასა და საქართველოს შორის პირდაპირი სავაჭრო ურთიერთობები შეწყდა. ქართველები ამ კონტაქტის აღდგენას მუდმივად ცდილობდნენ, განსაკუთრებით კი – XVIII საუკუნეში. თუმცა, ამ ეპოქაში მიმდინარე მოვლენების გამო, ეს ვეღარ მოხერხდა. შეუძლებელი შეიქნა ევროპასთან რეგულარული კავშირების დამყარება და, მით უმეტეს, რაიმე დახმარების მიღება სპარსელებისა და თურქების აგრესიის შესაჩერებლად. არსებულმა მდგომარეობამ ძალაუნებურად უბიძგა საქართველოს რუსეთისკენ, როგორც ერთმორწმუნე ქვეყნისკენ. ერთგვარი კავშირი ამ ორ ქვეყანას შორის უწინაც არსებობდა, თუმცა მას რეალური შედეგი არ მოჰყოლია. XVIII საუკუნეში დაიწყო რუსეთის მიერ სამხრეთის ექსპანსია, რამაც იგი სპარსეთთან და თურქეთთან ომში ჩაითრია, ამან კი რუსეთისა და საქართველოს ინტერესები გადაკვეთა. რუსეთს ხელს აძლევდა, დაყრდნობოდა პატარა, მაგრამ მამაც და მაღალი დონის კულტურის მქონე ქართველ ერს. საქართველო, თავის მხრივ, ფიქრობდა, რომ გამოიყენებდა დიდ რუსეთთან მეკავშირეობას საუკუნოვანი მტრის აგრესიის შესაჩერებლად და, ამავდროულად, ევროპასაც დაუახლოვდებოდა.

1783 წელს მეფე ერეკლე II-მ და ეკატერინე II დიდმა ხელი მოაწერეს "სამეგობრო-სამეკავშირეო და პროტექტორატის" ტრაქტატს, რომლის მიხედვითაც ქართლ-კახეთის სამეფო ინარჩუნებდა სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას შიდა პოლიტიკურ საქმეებში, ხოლო საგარეო პოლიტიკა საქართველოს რუსეთთან უნდა შეეთანხმებინა. ომის შემთხვევაში ორივე მხარე ურთიერთდახმარების ვალდებულებას კისრულობდა და ა.შ. რუსეთმა არც ერთი პირობა არ შეასრულა. მან პატარა შენაერთი გაუგზავნა ერეკლეს, რომელიც მალევე უკან გაიწვია, თუმცა რუსეთისა და საქართველოს შეკავშირებამ დიდი მღელვარება გამოიწვია მუსულ-

მანურ ქვეყნებში. შედეგად, აღა მაჰმად ხანის უმძლავრესი ჯარი შეესია ქართლ-კახეთს და გაანადგურა იგი, თბილისი კი გადაწვა (1795).

ეს მარცხი ხელს აძლევდა რუსეთს – სპარსეთისა და თურქეთის მიერ უკიდურესად დასუსტებული საქართველოს ხელში ჩაგდება იოლდებოდა.

ამის შემდეგ ერეკლე II მალე გარდაიცვალა. მისი ვაჟი, გიორგი XII, შეეცადა, აღედგინა ურთიერთობა სპარსეთთან და თურქეთთან, მაგრამ შიშობდა, რომ ეს სიმშვიდე დიდხანს არ გასტანდა. ამიტომაც, მიუხედავად ანტირუსული განწყობისა, რომელიც ერეკლეს მეფობისას გაცხადდა, მეფე გიორგიმ განაახლა მოლაპარაკებები რუსეთთან. საუბედუროდ, მისი სიკვდილის გამო, მოლაპარაკებები ბოლომდე ვერ მივიდა. ამ დროს რუსეთმა, დამხმარე სამხედრო ძალების გაგზავნის საბაბით, სამხედრო ნაწილები თბილისში შეიყვანა და ყველა ღონე იხმარა, რომ გიორგის ვაჟი დავითი ტახტზე არ ასულიყო. 1801 წელს რუსეთმა ქართლი და კახეთი ანექსირებულად გამოაცხადა, ტახტის მემკვიდრე და სამეფო ოჯახის სხვა წევრები რუსეთში გადაასახლა, საქართველოს გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწეები დაატყვევა და ამ ქვეყნის სახელმწიფოებრიობა ნელ-ნელა სრულიად წაშალა. ამგვარმა მზაკვრობამ და ძალადობამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. აჯანყდნენ მთის მაცხოვრებლები, მათ სხვანიც აჰყვნენ. გაუთავებელი ამბოხი ოცდაათ წელს გრძელდებოდა და უკანასკნელი აჯანყება 1832 წელს ჩაახშვეს.

რუსეთმა ქართლისა და კახეთის გავლით საჯარისო ნაწილები დასავლეთ საქართველოში შეიყვანა და იმერეთის მეფე სოლომონ II-ს პაქტზე ხელის მოწერა მოსთხოვა. რუსეთის მეფე სოლომონს არ ენდობოდა, ამიტომაც ის, მოლაპარაკებების გაგრძელების საბაბით, თბილისში მოიხმეს და იქ დაატყვევეს. ერთგული პირების დახმარებით, მეფე გაიქცა, თურქეთში გადავიდა, იქიდან კი იმერეთში დაბრუნდა. ხალხი რუსეთთან საბრძოლველად სოლომონის გვერდით დადგა. საუბედუროდ, მისი სიმამაცე გამარჯვებით არ დაგვირგვინდა. დამარცხებულმა მეფემ თავი თურქეთს შეაფარა და ტრაპიზონში გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ რუსეთმა მთელი დასავლეთ საქართველო დაიპყრო.

ქვეყნის სრული ოკუპაციის შემდეგ რუსეთი საქართველოს რუსიფიკაციას შეუდგა. იგი ანგარიშს არც საქართველოს ეკლესიას უწევდა, რომელიც

V საუკუნიდან დამოუკიდებელი იყო. ქართულმა ეკლესიამ ხომ მაჰმადიანების ძალადობისასაც კი შეძლო ავტოკეფალიის შენარჩუნება. ეკლესიის წინამძღვარი, კათალიკოსი, რუსეთში გადაასახლეს. მის ადგილას რუსი ეგზარხოსი დაჯდა და ქართული ეკლესია რუსეთის ბიუროკრატიულ სინოდს დაუმოჩილა.

დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები და სამღვდელოება ამ გადაწყვეტილებას წინ აღუდგნენ, მაგრამ რუსეთის მთავრობამ ორი მიტროპოლიტი დააპატიმრა, ერთ-ერთი მათგანი (ქუთაისის მიტროპოლიტი დოსითეოზი) მოკლა, ხოლო მეორე (ექვთიმე, გელათის მიტროპოლიტი) – ციმბირში გადაასახლა. ამ სიმხეცემ იმერეთის ამბოხი გამოიწვია.

ყველა ადმინისტრაციულ სახელმწიფო დაწესებულებაში რუსი მოხელეები დაინიშნენ. თუკი შემთხვევით რაღაცნაირად რომელიმე თანამდებობაზე ქართველი აღმოჩნდებოდა, ის მხოლოდ და მხოლოდ რენეგატი იყო. ადმინისტრაციებში, სასამართლოში, სკოლებსა და ზოგჯერ ეკლესიებშიც ქართული ენა რუსულმა შეცვალა. ქართველ მოწაფეს სჯიდნენ, თუკი ის მშობლიურ ენას გამოიყენებდა ან ქართულ წიგნს წაიკითხავდა. მათ ეკრძალებოდათ სიარული ქართულ თეატრში. ქართველი ბავშვისთვის არ იყო ადვილი სკოლაში შესვლა. ქართველებს ოცნებად ჰქონდა, დაეარსებინათ უნივერსიტეტი, თუნდაც რუსული, მაგრამ – უნივერსიტეტი. ეს ოცნება არ განხორციელდა. ქართული გაზეთების გამოცემა მკაცრად იყო რეგლამენტირებული და უმკაცრეს ცენზურას გადიოდა. "საქართველო" – ამ სიტყვის გამოყენებაც კი იკრძალებოდა. აკრძალული იყო თეატრში საქართველოს ისტორიის ამსახველი პიესების დადგმა. რუსეთის მიერ დაპყრობილ მესხეთში ისჯებოდა გამუსულმანებულ ქართველებში ქართული დამწერლობის პროპაგანდა. ქართული ეკლესიისა და სამეფო ოჯახის ქონება რუსულ სალაროში ჩაიკეტა და ფუნქციონერებს ხმარდებოდა. ქართველი გლეხები იტანჯებოდნენ დასამუშავებელი მიწების ნაკლებობით, მთავრობამ კი დაარსა ბანკი, რომლის მიზანიც იყო ქართული მიწების შეძენა და რუსებისათვის დარიგება. რუსმა მთავრობამ თურქეთისთვის წართმეული ჯავახეთიდან განდევნა ადგილობრივი ქართული მოსახლეობა და მათი მიწები უცხოელებს დაურიგა. ყველანარიად ცდილობდნენ, დაებრკოლებინათ საქართველოში წარმოების განვითარება.

თავდაპირველად ქართველი ხალხი თავის აღშფოთებას რუსთა ბატონობის წინააღმდეგ ამბოხით გამოხატავდა, მაგრამ ეს მეთოდი უზარმაზარი

იმპერიის წინააღმდეგ საბრძოლველად არაეფექტური გამოდგა. ამიტომ ის უხმაურო ბრძოლამ შეცვალა. ქართული ეროვნული ცნობიერების გამოსაფხიზლებლად სხვაგვარი ძალისხმევა იყო საჭირო. წიგნები თუ ჟურნალ-გაზეთები, სკოლები, თეატრი – ეს იყო მოქმედების არეალი ქართული სულის დასამკვიდრებლად. ქართველებმა დააარსეს მუზეუმები, სადაც დაგროვდა ძველი წიგნები და ხელნაწერები, ხელოვნების ნიმუშები, ანტიკური ხანის ისტორიულ-არქეოლოგიური ნიმუშები. ბუნებით ფხიზელმა ქართველმა ერმა ისარგებლა შედარებითი სიმშვიდით და ეკონომიკურად უფრო მოძლიერდა.

გაჩნდნენ ეროვნული იდეის ახალი დამცველები. განათლებულმა ახალგაზრდობამ ფართოდ გაავრცელა ევროპული ლიბერალური იდეები. 1850-დან 1860 წლამდე ეროვნულმა იდეამ ახალი აღმავლობა განიცადა და ცვლილებები სოციალურ ცხოვრებაზეც აისახა. XIX საუკუნის დასასრული ეროვნული სულის აღდგენის ეპოქა იყო. გაჩნდა იმედი პოლიტიკური აღორძინებისა. თუკი წინათ ეროვნულ შეტევით ძალისხმევას ლიტერატურული ხასიათი ჰქონდა და მხოლოდ ვიწრო წრეებით შემოიფარგლებოდა, ახლა სოციალური, ეკონომიკური, ეროვნული და პოლიტიკური ბრძოლის მიზნებით შეიქმნა რევოლუციური პარტიები. ამ მოძრაობამ ღრმად შეაღწია უბრალო ფენებში და ამ სულისკვეთებით მთელი ერი განაწყო.

1905 წლის რუსეთის რევოლუციაში ქართველებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

1914 წელს, როდესაც I მსოფლიო ომი დაიწყო, ქართველ ერს გაუჩნდა იმედი, რომ სიტუაცია მთელ რუსეთში და საქართველოშიც შეიცვლებოდა. ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა თავიანთ მოვალეობად ჩათვალეს, საერთო ძალებით ემოქმედათ. დაარსდა კომიტეტი, რომლის ავტორიტეტიც, განსაკუთრებით, 1917 წლის რევოლუციის დაწყებასთან ერთად გაიზარდა. რევოლუციის წაქეზებითა და ხელმძღვანელობით, 1917 წლის ნოემბერში მოიწვიეს პოლიტიკურ პარტიათა და ეკონომიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისა და მთელი საქართველოს კეთილისმყოფელთა ასამბლეა. მან ჩაატარა... (აკლია გვ. 64 – მთარგმნ.).

ლიტერატურა და ხელოვნება

1. ლიტერატურა

საქართველოს რამდენიმე პროვინციამ შეინარჩუნა თავისი დიალექტები (აფხაზური, სვანური, ლაზურ-მეგრული), მაგრამ ოფიციალური და სალიტერატურო ენა ყველა ქართველისათვის ყოველთვის იყო და არის ქართული. არსებობს ორი სახის ანბანი – საეკლესიო (სწორად გამოწერილი ნიშნები) და საერო (მრგვლოვანი ნიშნები). ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ საერო ანბანი საეკლესიოდანაა წარმოშობილი, სხვანი კი ვარაუდობენ, რომ საერო ანბანი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა (ამ ცნობას გვაწვდიან ქართული მემატიანეები). თუმცა, როდესაც საქართველომ ქრისტიანობა მიიღო, სამღვდელოებამ არ მოისურვა წარმართული ანბანის გადმოღება და შემოიღო ახალი, საეკლესიო, ანბანი. აღმოჩენილ ხელნაწერთაგან ყველაზე ძველი, რომელმაც შემოგვინახა საერო ანბანის ასოები, თარიღდება XI საუკუნით. დღეს ამ ანბანს აღარც საბეჭდად გამოიყენებენ და აღარც მიმოწერისას.

მიუხედავად იმისა, რომ თუნდაც ფრაგმენტულად, შემორჩენილი არ არის არც ერთი ნაწარმოები, ზოგიერთ ხელნაწერში დაცული მინიშნება გავიფქრებინებს, რომ ქართული ლიტერატურა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა. ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრეული ლიტერატურული ძეგლი V და VI საუკუნეებით თარიღდება. ამ ლიტერატურულ დოკუმენტებში აღწერილი მოვლენები რელიგიური ხასიათისაა.

გაუთავებელი თავდასხმებისა და სასტიკი ომების გამო, რომლებიც საქართველომ გადაიტანა, შემოგვრჩა ამ ნაწარმოებათა უმცირესი (სპეციალისტთა აზრით, მეასედი) ნაწილი. მონასტრებში საიდუმლოდ გადანახული რელიგიური დოკუმენტების უმრავლესობა გადაარჩინა იმან, რომ ისინი ჩაკეტილი ჰქონდათ მტრისთვის მიუწვდომელ ადგილებში. საერო ლიტერატურა კი ინახებოდა სასახლეებსა და სახლებში, რომლებიც უმოწყალოდ განადგურდა და გაიძარცვა მტრის მიერ.

ითვლება, რომ ქართული ლიტერატურა იწყება ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად. ახალმა რელიგიამ, ცხადია, წარმოშვა სასულიერო წიგნების, განსაკუთრებით, წირვა-ლოცვისათვის საჭირო ლიტერატურის,

თარგმნის საჭიროება. V საუკუნის დასაწყისში ქართული სახარებისა და ეკ-ლესიის წმინდა მამების ცხოვრების თარგმანი უკვე არსებობდა.

ღვთის სიტყვამ (ქრისტეს ქადაგებამ) საქართველოში, უპირველეს ყოვ-ლისა, სირიიდან და იერუსალიმიდან შემოაღწია. უძველეს ლიტერატურას აღმოსავლური ქრისტიანობის გავლენის კვალი ამჩნევია. სწრაფად იმატა ნათარგმნი ლიტერატურის რიცხვმა. მალევე გაჩნდა ორიგინალური ლიტე-რატურა – წმინდანთა ცხოვრებანი, შესრულებული დახვეწილ სტილში ("შუ-შანიკის წამება", V საუკუნე; "ევსტათი მცხეთელის მარტვილობა", VI საუკუ-ნე). გამოჩნდნენ ქართველი მქადაგებლებიც. მათი ქადაგება, გამსჭვალული ღრმა რწმენითა და ეროვნული სულისკვეთებით, მთელ საქართველოში გავრცელდა. საქართველომ მჭიდრო კონტაქტები დაამყარა ბიზანტიასთან, საქართველოსა და საზღვარგარეთ დაარსებულ ქართულ მონასტრებში კი ფართო ლიტერატურული საქმიანობა გაჩაღდა. ქართული ლიტერატურა მდიდრდებოდა მაშინდელი ცივილიზებული ერების საუკეთესო ნაწარმო-ებებით. ქართული თარგმანის წყალობით დღემდე შემონახულია მრავალი ისეთი თხზულება, რომლის ორიგინალური ვერსიაც დაკარგულია. გვაქვს X საუკუნის ორიგინალური კომენტარები წმინდა წერილებისა, სამეცნიე-რო ნაწარმოებები, საჭირბოროტო საეკლესიო საკითხების შემსწავლელი და ისტორიული თზულებები, ასევე ქრისტიანული ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები – "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", რომელიც მერჩულეს ეკუთვნის და წმინდანის სამაგალითო ცხოვრებას ასახავს.

ქართულმა ლიტერატურამ თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს XI საუკუნეში მიაღწია. განსაკუთრებით ფასდაუდებელია ამ ეპოქის მწერ-ლების – ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, ეფრემ მცირის, იოანე პეტ-რიწის, არსენ იყალთოელის – ღვაწლი. ექვთიმე მთაწმინდელის (+1028) კო-ლოსალური შრომის შედეგია, რომ არსებობს ორიგინალური თარგმანები. მან თვითონ თარგმნა უამრავი ნაწარმოები და თან დაურთო კომენტარე-ბი. მისი დამსახურებაა, რომ გვაქვს ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი "სიბრძნე ბალავარისა" (Barlaam et Josaphat). ამ ნაწარმოებმა იერუსალიმი-დან საქართველოში VII საუკუნეში შეაღწია და ფართოდ გავრცელდა. მოგ-ვიანებით ამ ქართული ვერსიის თარგმნის გზით შეიქმნა ყველა ევროპული ვერსია, ისლანდიურიც კი. ექვთიმეს მოსწავლე და ბიოგრაფი გიორგი მთაწ-მინდელი (+1066), უზარმაზარი ერუდიციისა და უნივერსალური ცოდნის მწერალი, თავისი მასწავლებლის საქმის ღირსეული გამგრძელებელია. ქარ-



თული ლიტერატურა მანაც არაერთი თარგმანითა და ორიგინალური ნაწარმოებით გაამდიდრა. ეფრემ მცირე (+1100) იყო გამორჩეული ფილოსოფოსი და ისტორიკოსი, რომელმაც ისტორიული ცნობები მეცნიერულად დაამუშავა. მის კალამს ეკუთვნის შემდეგი ნაწარმოებები: "მოქცევაი ქართლისაი" (საქართველოს მოქცევის მიზეზები) და "ბერძნული მითოლოგია". ის იყო საქართველოში ნეოპლატონიზმის გამავრცელებელი. არსენ იყალთოელი XI-XII საუკუნეების ერთ-ერთი გამორჩეული ერუდიტთაგანია. სწორედ მან დააარსა სახელგანთქმული იყალთოს აკადემია. არსენ იყალთოელმა დაგვიტოვა არაერთი თეოლოგიური ნაშრომი, რომელშიც უკვე გამოსჭვივის საერო იდეებიც. ეს მას იოანე პეტრიწთან აახლოებს. იოანე პეტრიწი უდიდესი თეოლოგი, ფილოსოფოსი, გრამატიკოსი და რიტორი იყო. მან ქართულად თარგმნა პლატონის, არისტოტელეს, ნეოპლატონიკოსების ნაშრომები, დაურთო კომენტარები და მნიშვნელოვანი განმარტებები. გარდა ამისა, პეტრიწის კალამს ეკუთვნის ორიგინალური ტრაქტატებიც.

ზემოთ ჩამოთვლილი მწერლები არ წარმოადგენდნენ რაღაც განყენებულ ჯგუფს. არსებობდა ლიტერატურული წრეები, რომლებიც დაინტერესებული იყო ცივილიზებული სამყაროსათვის მნიშვნელოვანი ფილოსოფიური და ლიტერატურული საკითხებით. ქართულმა ენამ სრულყოფილების მწვერვალს მიაღწია. წინათ მწერლები უჩიოდნენ გამოხატვის ფორმათა სიმწირეს, ახლა კი, შეიძლება ითქვას, ზუსტი ექსპრესიით ქართული ბერძნულსა და ლათინურს უთანაბრდებოდა. ქართულ ენაზე ყველანაირი იდეისა თუ აბსტრაქტული ცნების გამოხატვა დაუბრკოლებლად შეიძლებოდა.

საქართველოს მხოლოდ ქრისტიან ერებთან როდი ჰქონდა კულტურული და ლიტერატურული კავშირები. ისტორიის ხანგრძლივ გზაზე მას ბევრი მეზობელი ჰყავდა. საქართველო დიდად იყო დაინტერესებული მაჰმადიანური კულტურითაც. აქ, არცთუ იშვიათად, კარგად იცნობდნენ სპარსულ და არაბულ ლიტერატურას. ამ ერების არაერთი ნაწარმოები (ლიტერატურული, ფილოსოფიური, ისტორიული, სამედიცინო) ითარგმნა ქართულად. სწორედ ეს დაეხმარა ქართველებს, რომ თავიდან აეცილებინათ სხვა ქრისტიანული ქვეყნებისთვის დამახასითებელი რელიგიური შეუწყნარებლობა და იზოლაცია. ქართველმა შემოქმედებმა იგრძნეს თავისუფლების ქროლვა. სპარსული პოეზიის შედევრები, ფირდოუსის "შაჰ ნამე", "ვისრამიანი", ნიზამის პოემები, ცნობილი ინდო-არაბული პოემა "ქილილა და დამანა", "ათას ერთი ღამე" თუ სხვა ნაწარმოებები ქართველთა საყვარელ საკითხავად იქცა. პოეზიისა და ელინისტური კულტურის სიყვარულმა ბიძგი მისცა ძველბერძნულ პოეტურ თხზულებათა თარგმნას. უცხოური ლიტერატურისა და პოეზიის ცოდნამ ფართოდ გაუხსნა გზა ქართველთა შემოქმედებით გენიას. თავდაპირველად გამოჩნდნენ მიმბაძველები, რომლებმაც თავისებურად გადააკეთეს უცხოური ნაწარმოებები (მაგალითად, "ამირანდარეჯანიანი"), შემდეგ კი გაჩნდნენ ის ავტორებიც, რომლებიც ორიგინალურ ტექსტებს ქმნიდნენ.

ქართული ვერსიფიკაციის პირველი მცდელობა XI საუკუნით თარიღდება და ეს რელიგიური პოეზიაა. თუმცა პოეზიის ჭეშმარიტი აღმავლობა XII საუკუნეში დაიწყო. ამ დროს ცნობილ პოეტთა მთელი პლეადა ამშვენებდა ქართულ პარნასს. სამწუხაროდ, მათ უმრავლესობას მეტწილად გვარებით ვიცნობთ. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ სამი მათგანის ნაწრმოებებმა: შავთელის "აბდულ-მესიანმა", ჩახრუხაძის "თამარიანმა" და რუსთაველის "ვეფხისტყაოსანმა". თუმცა ეს სამი ავტორიც კი საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ განვითრების რა სიმაღლეებს მიაღწია იმ ეპოქაში ქართულმა ენამ და ლიტერატურამ.

"აბდულ-მესიანში" თავმოყრილია დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ოდები, "თამარიანი" კი თამარ მეფის ქებაა. ამ ნაწარმოებებში ხოტბაშესხმულია სხვადასხვა ისტორიული ეპიზოდები, საქართველოს პოლიტიკური ძლიერება, კეთილდღეობა, სიმდიდრე, მეფეთა ზნეობრიობა, ქართველ მეომართა გმირობა და შესანიშნავადაა წარმოჩენილი სახელმწიფოსა თუ საზოგადოების ცხოვრება. ამ ეპოქის ავტორები ვერსიფიკაციის ნამდვილი ვირტუოზები არიან. მათი რითმა შთამბეჭდავია და მუსიკალური, მხატვრულ-ლიტერატურული სახეები კი – ფერადოვანი და ექსპრესიული. ისინი არაბულ-სპარსული და ელინისტური კულტურის ღრმა ცოდნას ამჟღავნებენ, ამავე დროს კი კარგად აცნობიერებენ ეროვნული აზროვნების სიდიადეს.

შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანმა" წარუშლელი კვალი დაამჩნია ქართულ ცნობიერებას. ის, გარკვეული თვალსაზრისით, ქართველთათვის მეორე სახარებად იქცა. შეიძლება ითქვას, რომ განსაცდელით სავსე ისტორიის მანძილზე ქართველები სწორედ ამ ნაწარმოებში ჰპოვებდნენ სიმშვიდეს, რწმენის სიმტკიცესა და ძალას სულიერი სიმხნევისა თუ ზნეობრიობის შესანარჩუნებლად. დიდგვაროვნები თავიანთ ქალიშვილებს მზითევში

სახარებასთან ერთად ამ ფასდაუდებელ ნაწარმოებს ატანდნენ. ბევრმა, უმეტესად ქალებმა, ეს ნაწარმოები ზეპირად იცის. "ვეფხისტყაოსანი" ყოველი ქართველის თაყვანისცემის საგანია – დიდგვაროვნისა თუ უბრალო გლეხის. ფრაზები ამ ნაწარმოებიდან ხალხში ანდაზებადაა გავრცელებული. პერსონაჟთა სახელებს არქმევენ შვილებს. დაბოლოს, ესაა უნიკალური შემთხვევა მსოფლიო ლიტერატურაში, როდესაც ქართველი ხალხი "ვეფხისტყაოსნის" არაერთ თავისებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. ამგვარად, არსებობს უამრავი ხალხური ვარიანტი "ვეფხისტყაოსნისა".

რა არის მიზეზი იმისა, რომ "ვეფხისტყაოსანი" ამდენად ეძვირფასება ქართველ ხალხს?

უპირველეს ყოვლისა, ამას განაპირობებს ნაწარმოების პოეტური მხარე, რომელსაც ავტორი შესავალში ასე განმარტავს:

"შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,

საღმრთო, საღრმთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი."

ყურადღებას იქცევს ასევე პოემის მხატვრულობა, სიუჟეტური ხაზი, რომელიც თანდათან ვითარდება, სახეთა სიზუსტე, სულის მოძრაობის სიფაქიზე, მდიდარი ენა, ოსტატურად დაწერილი დიალოგები, ჰარმონიული პწკარები, მსუყე რითმები.

"ვეფხისტყაოსანი", ექვსიათასპწკარიანი რომანტიკული ეპოპეა, ერთი შეხედვით, სპარსულ ნაწარმოებებს ჰგავს, თანაც მოქმედება არაბეთსა და ინდოეთში ვითარდება. პოეტმა ეს შეგნებულად გააკეთა: მან დაწერა პოემა თამარ მეფის სადიდებად, მაგრამ როგორც მისი ქვეშევრდომი, ამის გამოაშკარავებას მოერიდა. და მაინც, "ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟები ქართველები არიან სულით, ზნეობითა და გაგებით. ამ ნაწარმოების მთავარი თემა სიყვარულია, რომელიც, ავტორის აზრით, ღვთივბოძებულია და მისგან შთაგონებული. სიყვარული ის ძალაა, რომელიც ყოველგვარ ბოროტებას ამარცხებს და ძმობის, ურთიერთთავგანწირვის, ერთგულების, სიმამაცისა თუ გმირობის საფუძველია. ერთი სიტყვით, ეს არის კეთილშობილება. მთელი პოემა თავიდან ბოლომდე საყვარელი ქალის ხოტბაა, მის მიმართ განცდილი აღფრთოვანების გამოხატვა.

ქალისა და მამაკაცის სიყვარული შუა საუკუნეების ნაწარმოებთა გმირების სიყვარულს ემსგავსება.

"ვეფხისტყაოსანი" მთლიანადაა ნათარგმნი არაერთ უცხო ენაზე – ინგლისურად, გერმანულად, უნგრულად და რუსულად, ფრაგმენტული თარგმანი კი სხვა ენებზეც არსებობს ("ვეფხისტყაოსნის" თარგმანთა რიცხვს მალე ფრანგულიც შეემატება).

რუსთაველის გენია საყოველთაოდ აღიარებულია და მას მსოფლიო ლიტერატურის კორიფეებს შორის მოიხსენიებენ.

მკითხველმა კარგად იცის, თუ რა კატასტროფა დაატყდა საქართველოს XIII საუკუნეში. იმ პირობებში ძალზე რთული იყო არათუ ლიტერატურის განვითარება, არამედ არსებულის შენარჩუნებაც. მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაში თითქოს დაიშრიტა შემოქმედებითი შთაგონება. ამ ეპოქის ნაწარმოებთა შორის გამორჩეულია "რუსუდანიანი" – ერთი იდეით გაერთიანებული და ძალიან ლამაზი ენით დაწერილი 12 ზღაპარი. ნაწარმოებში აღწერილია ის უბედურებები, რომლებიც საქართველოს მონღოლთა ბატონობამ დაატეხა. ავტორი შთამბეჭდავად გვიხატავს ამ ეპოქის საქართველოს ყოფის სურათებს.

ქართული ლიტერატურის რენესანსი XVI საუკუნის II ნახევარში იწყება და სრულ აღმავლობას XVII-XVIII საუკუნეებში აღწევს. ქართველებმა, თითქოს დაკარგული დროის ანაზღაურება სურდათ, დიდი მონდომება გამოიჩინეს ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი – ლიტერატურაში. დაიწყო ძველი თხზულებებისა და ნაწარმოებების მოძიება და შეგროვება. ხანდახან საჭირო იყო ამა თუ იმ ნაწარმოების აღდგენა, ხანაც – ახალი თარგმანის შესრულება დაკარგულის ჩასანაცვლებლად.

სხვა ნაწარმოებებთან ერთად ხელახლა ითარგმნა "შაჰ ნამე", თავიდან შესრულდა და შეივსო "ათას ერთი ღამის" თარგმანი. დიდი ყურადღება ექცეოდა საზოგადოდ მთარგმნელობით საქმიანობას. ითარგმნებოდა სპარსულიდან, არაბულიდან, ბერძნულიდან, სომხურიდან, თურქულიდან. ვინაიდან საქართველო მთლიანად იყო მოწყვეტილი ევროპას, ჭირდა ევროპული ნაწარმოებების გადმოთარგმნა. გაჩნდა მოდა სპარსული ნაწარმოებების მიბაძვისა. ჰბაძავდნენ შოთა რუსთაველსაც. დაიწერა "ვეფხისტყაოსნის"

გაგრძელება. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. XVII საუკუნიდან მოყოლებული, შეიქმნა მდიდარი ორიგინალური პროზაული თუ პოეტური ლიტერატურა – ეპიკური და ისტორიული პოემები, რომანტიკული და ლირიკული პოეზია. ამ ეპოქის ლიტერატურა მთლიანად გამსჭვალულია ეროვნული სულისკვეთებით. პოემებში, რომლებშიც პატრიოტული თემატიკა ჭარბობს, ხატავენ ქართველ გმირებს და აღწერენ საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს ეპიზოდებს. ამ ეპოქის ლიტერატურისთვის დამახასიათებელია ელეგიური ტონალობა, ღრმა ნაღველი, განსაკუთრებით, ლირიკულ პოეზიაში. ეს აიხსნება იმ პოლიტიკური სირთულეებით, რომლებიც საქართველოს თავს დაატყდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდის მთელი ლიტერატურა ერთგვარი მისტიციზმით განიმსჭვალა. თავისი ქვეყნის ჭირ-ვარამის გამზიარებელი მწერალი შეტრიალდა რელიგიისკენ და თავისი მკითხველის დამშვიდება სცადა იმით, რომ გამოუცხადა: ბოროტება და ძალადობა საბოლოოდ დამარცხდება, სამართლიანობა და სათნოება კი გაიმარჯვებს.

ამ ეპოქის ყველაზე აღსანიშნავი ნაწარმოებებია: ფაშვიბერტყაძის "შაჰნავაზიანი", თბილისის მიტროპოლიტის "დიდმოურავიანი", ტყლაშაძის "კათალიკოს ბაქარიანი", მეფე თეიმურაზ I-ის "ქეთევან დედოფლის წამება" და მეფე არჩილის "თეიმურაზიანი". ამ პოემებში აღწერილია XVII და XVIII საუკუნეების საქართველოში არსებული სიტუაცია. ზემოთ დასახელებულ ავტორთაგან ორის, მეფე თეიმურაზ I-ისა (+1663) და არჩილის (+1712), პოეზია განსაკუთრებული ლირიკულობით გამოირჩევა. მათ გვერდით შეიძლება დავასახელოთ მეფე ვახტანგ VI (+1737), თეიმურაზ II (+1762), მამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი (1787), ბესარიონ გაბაშვილი (+1791), საიათ-ნოვა (+1795). მათ დაგვიტოვეს არა მარტო ლირიკული პოეზიის ნიმუშები, არამედ სხვა სტილის ნაწარმოებები და თარგმანებიც. ბარათაშვილმა შეადგინა პოეზიის ერთგვარი სახელმძღვანელო, სადაც განსაზღვრა პოეზიის დანიშნულება (მისი დიდაქტიკური მნიშვნელობა) და, შესაბამისი მაგალითების მოხმობით, განიხილა ვერსიფიკაციის სხვადასხვა ფორმა. ჩამოთვლილ პოეტთა თხზულებების უმეტესობას დღეს მხოლოდ ლიტერატურის ისტორიისთვის თუ აქვს მნიშვნელობა, თუმცა კვლავაც სიამოვნებით ვკითხულობთ გურამიშვილისა და გაბაშვილის უჭკნობი სილამაზით აღბეჭდილ პოეტურ ნაწარმოებებს. ზოგიერთი მათგანი სასკოლო ანთოლოგიაში მოხვდა, ზოგიერთი კი სიმღერად იქცა. გურამიშვილის პოეზიის ძირითადი თემებია სამშობლოს სიყვარული, ამქვეყნიური ცხოვრების ამაოება, უზენაესისკენ

სწრაფვა, გაბაშვილის პოეზია კი უფრო სატირულ-ეროტიკულია.

რენესანსის ეპოქის ნარატიული, ისტორიულ-გეოგრაფიული, ფილოსოფიური და სამეცნიერო ლიტერატურა სხვაგვარი განხილვის საგანია. სულხან-საბა ორბელიანმა (+1725) შექმნა იგავების უზადო კრებული "სიბრძნე სიცრუისა". მანვე შეადგინა ქართული ენის ლექსიკონი და აღწერა თავისი მოგზაურობა ევროპაში (სხვადა სხვა ამბავთა შორის მოთხრობილია მისი ვიზიტი ლუი XIV-ის კარზე). ისტორიული, ფილოსოფიური თუ თეოლოგიური ხასიათის არაერთი თხზულება და გრამატიკის სახელმძღვანელო დაგვიტოვა კათალიკოსმა ანტონ I-მა (+1788), დიდი ნიჭიერებისა და უნივერსალური ერუდიციის ადამიანმა. საქართველოს ისტორია ქრისტიანობის შემოსვლიდან 1703 წლამდე შეადგინა ფარსადან გორგიჯანიძემ, XVII-XVIII საუკუნეების მოვლენები აღწერეს სეხნია ჭეიძემ და პაპუნა ორბელიანმა, ხოლო მეფე ერეკლე II-ის ქრონიკების შემდგენელი კი ომან ხერხეულიძეა.

ამავე ყაიდის იყო ვახტანგ VI-ის თხზულებანი, რომლებიც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. ვახტანგ VI-მ შეაგროვა "ქართლის ცხოვრების" ხელნაწერი ქრონიკები, შეიტანა შესწორებები მეცნიერთაგან დაკომპლექტებული კომისიის დახმარებით და შეავსო ისინი სხვა წყაროებში მოძიებული დამატებითი ინფორმაციით. "ქართლის ცხოვრებაში" აღწერილია პერიოდი XIV საუკუნემდე. სხვადასხვა მონაკვეთი სხვადასხვა ეპოქაშია დაწერილი. იმ ნაწილების შესახებ, რომლებიც X საუკუნის წინა პერიოდზე მოგვითხრობს, ღირებული ცნობები არ გაგვაჩნია. გვიანდელ ეპოქას კი თანამედროვენი აღწერენ. მდიდარ დოკუმენტურ მასალას გვთავაზობს ქართველ წმინდანთა ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები. VIII-IX საუკუნეების ისტორიულ თხზულებათა შორის უნდა აღვნიშნოთ "მოქცევაი ქართლისაი" და "სიგელ-გუჯრების" სახელით დაჯგუფებული მრავალი სხვა დოკუმენტი.

ვახტანგის ვაჟმა, ვახუშტიმ, შეავსო მამის დანატოვარი – კრიტიკულად გადაამუშავა "ქართლის ცხოვრება" და დაწერა საქართველოს სრული ისტორია 1744 წლამდე. ვახუშტისავე კალამს ეკუთვნის საქართველოს გეოგრაფიული აღწერა, თითქოსდა დღეს დაწერილი უაღესად თანამედროვე ნაწარმოები.

ვახტანგ VI-მ შეაგროვა არსებული კანონები, დაუმატა მისი მეფობის დროს მიღებულიც და შეადგინა "ვახტანგ მეექვსის კოდექსი". სულ ახლა-

ხანს ის ფრანგულად ითარგმნა და, როგორც მნიშვნელოვანმა იურიდიულმა და პოლიტიკურმა დოკუმენტმა, დიდი ინტერესი გამოიწვია.

ამავე ეპოქაში ჩნდება ახალი ლიტერატურული ჟანრები – მემუარები და მოგზაურობები. გამოჩნდა "კალმასობის" სახელწოდებით ცნობილი ერთგვარი ენციკლოპედია: ისტორიული, გეოგრაფიული, ფიზიკური, ანთროპოლოგიური, ლიტერატურული და სხვა ტიპის ცნობებით აღჭურვილი კრებული. XVIII საუკუნის ბოლოს იქმნებოდა დრამატურგიული ნაწარმოებებიც. ერეკლე II-ის კარზე იდგმებოდა თეატრალური პიესები. გარდა იმისა, რომ იქმნებოდა ორიგინალური ნაწარმოებები, ითარგმნებოდა უცხოენოვანი პიესებიც, მაგალითად, რასინის "იფიგენია".

ნაყოფიერ საქმიანობას XVII საუკუნის საქართველოში ხელი შეუშალა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში რუსეთის გამოჩენამ და გაბატონებამ.

ამ მოვლენით გამოწვეულმა ეროვნულმა მღელვარებამ გამოძახილი ჰპოვა ლიტერატურაში – XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში პოეტთა ერთი ჯგუფი უჩივის რუსების სივერაგეს და მისტირის დაკარგულ თავისუფლებას.

უცხო ქვეყნის ბატონობამ, რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ ვერ შეაჩერა ქართველთა ლიტერატურული მოღვაწეობა. იმდენად ძლიერი იყო ტრადიციები და კავშირი წარსულთან, რომ ვერანაირმა ძალამ ვერ მოახერხა მათი გაწყვეტა. სხვა მხრივ, ამ პროცესებმა საქართველოსთვის სარგებელიც მოიტანა: გაიხსნა გზა დასავლეთისაკენ. XIX საუკუნის დიდი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846) ევროპული განათლების ადამიანი იყო. მის პოეზიაში მოჩანს ძველი საქართველო, მაგრამ პოეტისთვის არც ახალი მოტივებია უცხო. მას "ქართველი ანაკრეონტი" შეარქვეს. სიყვარული და სილამაზე – აი, მისი პოეზიის მთავარი თემები. თუმცა ალექსანდრე ჭავჭავაძის ელეგიები სავსეა ღრმა ნაღველით.

XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ასახულია ევროპული ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ყველა ტენდენცია, თუმცა გასაოცარი ის არის, რომ არის ერთი საერთო მოტივი, რომელიც ნებისმიერი ტიპის ნაწარმოებს თან სდევს – ეს ეროვნული მოტივია. მწერლები გამოხატავენ სამშობლოს სიყვარულსა და სწრაფვას თავისუფლებისაკენ. ვერ ნახავთ ვერც ერთ პოეტს, რომელიც ამ გრძნობით არ იყოს განმსჭვალული.

განსაკუთრებული ლირიზმით არის აღბეჭდილი ნიკოლოზ ბარათაშვილის (+1845) პოეზია. ბარათაშვილი ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა. მისი ელეგიური, გარკვეული თვალსაზრისით, ბაირონისეული პოეზიით ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა. გრიგოლ ორბელიანი (+1883), ეპიკურელი პოეტი, ამავე დროს გარდასული დროების მაქებარია. იშვიათი ნიჭიერების რომანტიკოსი პოეტია ვახტანგ ორბელიანიც (+1890). გამოირჩევიან მამია გურიელი და რაფიელ ერისთავი (+1901), რომელმაც არაერთი ლექსი მიუძღვნა გლეხებს. განსაკუთრებული ადგილი უნდა მიეჩინოთ ძმებ რაზიკაშვილებს, რომლებიც წარმოშობით საქართველოს მთიანი რეგიონიდან (ფშავიდან და ხევსურეთიდან) არიან. ვაჟა-ფშაველას ფსევდონიმით ცნობილმა უაღრესად მასშტაბურმა პოეტმა ლუკა რაზიკაშვილმა (+1915) თავის შემოქმედებაში სული შთაბერა ყველაფერს, რაც კი ბუნებაში არსებობს. მასთან მოქმედებენ და ლაპარაკობენ მთები, კლდეები, ხეები, ბალახები, ცხოველები. პოეტი ამას იმგვარი ოსტატობით აკეთებს, რომ ყოველი ნაწარმოების ბოლოს მკითხველი თითქოს იჯერებს – საგნებს მართლაც შეუძლიათ აზროვნება და ლაპარაკი.

ილია ჭავჭავაძე (+1907) და აკაკი წერეთელი (+1915) XIX საუკუნის ქართული მწერლობის კორიფეებად არიან მიჩნეულნი. უაღრესად მრავალფეროვანი იყო მათი მოღვაწეობა. ილია ჭავჭავაძე, დიდი ჟურნალისტი, ამავე დროს რომანების ავტორი და ლირიკული პოეტიც იყო (მისი პოემა "განდეგილი" ნათარგმნია ინგლისურად). აკაკი წერეთელი ქართველი ხალხისთვის მათი მისწრაფებების და იმედების განსახიერებაა. მისი არაერთი ნაწარმოები ხალხში პოპულარული სიმღერების სახით გავრცელდა. აკაკი წერეთლის კალამს ეკუთვნის პოემები, ნოველები, ლექსები, დრამატული ლექსები.

რომანისტებსა და პროზაიკოსებს შორის უნდა ვახსენოთ შემდეგი მწერლები: ლავრენტი არდაზიანი, ავტორი რომანისა "მეჯღანუაშვილი"; დანიელ ჭონქაძე, რომელმაც ცოცხლად ასახა ქართველი გლეხების ყოფა ბატონყმობის დროს; გრიგოლ რჩეულიშვილი, ავტორი ისტორიული რომანებისა; ალექსანდრე ყაზბეგი, რომელმაც ნიჭიერად აღწერა ქართველ მთიელთა გმირული ბრძოლა რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ; გიორგი წერეთელი (+1900), ბრწყინვალე მთხრობელი, რომელიც დაინტერესებული იყო დასავლეთ საქართველოს ტიპურ ხასიათებითა და ცხოვრებით; ნიკო ლომოური და სოფრომ მგალობლიშვილი, რომლებიც აღწერდნენ სოფლის მაცხოვრებელთა ყოფას; ეგნატე ნინოშვილი, რომლის თხზულებებშიც გადმოცე-

მულია ახალი ტიპის გლეხის აზროვნება; დიდი იუმორისტი დავით კლდიაშვილი; ნოველისტი და ფსიქოლოგი შიო არაგვისპირელი. XX საუკუნის დასაწყისში სხვა ნიჭიერი მწერლები და პოეტები გამოვიდნენ ასპარეზზე. მათ შორის იყვნენ ა. აბაშელი, კ. გამსახურდია, ი. გრიშაშვილი, ა. შანშიაშვილი, გ. ტაბიძე, ტ ტაბიძე, კ. ჭიჭინაძე, ასევე პროზაიკოსები – ნ. ლორთქიფანიძე, მ. ჯავახიშვილი, ლ. ქიაჩელი და სხვანი.

1850 წელს დაარსდა მუდმივმოქმედი ქართული თეატრი და გაჩნდა მოთხოვნა დრამატულ ნაწარმოებებზე. შეიქმნა კიდევაც კომედიები თუ სხვა ტიპის დრამატული თხზულებები, ითარგმნა ევროპელ ავტორთა პიესები. დრამატურგთა შორის უნდა დავასახელოთ გ. ერისთავი (+1864), ანტონოვი, აქვსენტი ცაგარელი. დიმიტრი ყიფიანი, ივანე მაჩაბელი, ივანე მაჭავარიანი და სხვები, რომლებმაც თარგმნეს სოფოკლე, შექსპირი, მოლიერი, იბსენი, შილერი, ჰაუპტმანი, ლესინგი, სარდუ და ა.შ. ეს უცხოენოვანი ავტორები იმდენად გაითავისეს ქართველებმა, რომ პატარა მიყრუებულ დარბაზში, სადაც "ოტელო" და "ოიდიპოს მეფე" იდგმებოდა, ტევა არ იყო

საქართველოში უნივერსიტეტის არარსებობის გამო ნაკლებად იქმნებოდა სამეცნიერო ლიტერატურა. ყველა, ვინც კი დაკავებული იყო სამეცნიერო საქმიანობით, იძულებული გახდა რუსეთში დასახლებულიყო. თუმცა ამ ეპოქამ მაინც შემოგვინახა თარხნიშვილის (პროფესორი ფიზიოლოგიის დარგში), მელიქიშვილისა და პეტრიაშვილის (ქიმიკოსები) საყოველთაოდ ცნობილი სახელები. ისტორია და არქეოლოგია იყო ის მეცნიერებები, რომლებიც ყველაზე უკეთ განვითარდა ამ პერიოდის საქართველოში. ამ სფეროებში ჩატარებულმა ფუნდამენტურმა კვლევებმა დიდად შეუწყო ხელი ზემოხსენებული დარგების წინსვლას. ამ თვალსაზრისით, თავი ისახელეს დიმიტრი ბაქრაძემ, ალექსანდრე ცაგარელმა, ნიკო მარმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, ივანე ჯავახიშვილმა.

იმ მწიგნობართა შორის, რომლებიც XIX საუკუნის I ნახევრის რელიგიურ ლიტერატურას ქმნიდნენ, გამორჩეულნი იყვნენ ანტონ ჭყონდიდელი და დავით მესხიშვილი, დიდი ერუდიტი და თელავის სემინარიის რექტორი. ისინი მოღვაწეობას XVIII საუკუნის ბოლოს შეუდგნენ. XIX საუკუნის II ნახევარში კი ასპარეზზე გამოვიდნენ ქუთაისის ეპისკოპოსი გაბრიელი, რომლის ქადაგებანიც ითარგმნა ინგლისურად და ეპისკოპოსი კირიონი, 1917 წელს ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ქართული ეკლესიის კათალიკოსი. კირიონმა შექმნა მნიშვნელოვანი ისტორიული ნაწარმოებები ქართული ეკლესიის შესახებ. პერიოდული გამოცემები საქართველოში 1818 წლიდან გამოჩნდა, თუმცა თანამედროვე გაგებით ნამდვილი პოლიტიკური გაზეთი მხოლოდ 1865 წელს დაიბეჭდა. ეს იყო გაზეთი "დროება", რომელსაც სერგი მესხი რედაქტორობდა. საქართველოში არაფერი ისე არ იდევნებოდა, როგორც პერიოდული გამოცემები. მიუხედავად დრაკონული კანონებისა, რომლებსაც ქართული პრესა ექვემდებარებოდა, ქართული ჟურნალ-გაზეთები ღირსეულად მიიწევდნენ დასახული მიზნისაკენ, ახერხებდნენ, გაეცხადებინათ თავიანთი ტენდენციები და ამგვარად გაევრცელებინათ ეროვნული, პოლიტიკური და სოციალური იდეები. დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე ქართულ პრესას ნამდვილი აღმავლობის ნახა დაუდგა.

უნდა აღინიშნოს ქართველთა ხალხური საუნჯეც: ზღაპრები და პროზაული ლეგენდები, ეპიკური და ლირიკული ლექსები, ანდაზები. ზეპირსიტყვიერება მარად ცოცხალია და ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით ხალხურ დღესასწაულებზე, ნათლად ჩანს, თუ როგორ ეჯიბრებიან გლეხები ერთმანეთს ლექსთა თხზვაში. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული ლეგენდები არაერთგზის ისესხეს სხვა ხალხებმა, თუნდაც "თქმულება პრომეთეზე", რომელსაც საფუძვლად ქართული ლეგენდა უდევს.

2. ხელოვნება

არქიტექტურის, საეკლესიო ფრესკების, ლითონით მოჩარჩოებული ხატებისა და ოქროვარაყიანი ხელნაწერების არსებობა საქართველოში მაღალგანვითრებული ხელოვნების არსებობას ადასტურებს. არქიტექტურულ ძეგლთაგან დღემდე მხოლოდ ეკლესიები შემორჩა. სასახლეები, ხიდები, თავშესაფრები, საავადმყოფოები და სხვა საზოგადოებრივი შენობები ისევე, როგორც კერძო პირთა საცხოვრისები, გაუთავებელი შემოსევებისა და ომების გამო, თითქმის გაქრა.

მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, საქართველო მდიდარია ეკლესია-მონასტრებით. მათში თვალნათლივ ვლინდება, თუ როგორ ვითარდებოდა არქიტექტურის ხელოვნება. IV საუკუნიდან მოყოლებული, შეგვიძლია, თვალი გავადევნოთ და დავაკვირდეთ გზას, რომელიც განვლო ქართული არქიტექტურის განვითრებამ. გარკვეულწილად, სწორედ ამან განაპირობა საქართველოში საზოგადოდ ხელოვნების განვითარება. არქიტექტურულ ძეგლთგან ზოგიერთი, მხატვრული თვალსაზრისით, იმდენად სრულყოფილია, რომ შეიძლებოდა სამართლიანად მოგვეთავსებინა მსოფლიო შედევრების გვერდით.

ქართული ხუროთმოძღვრება ისევე, როგორც დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანული ერებისა, თავდაპირველად ბიზანტიურის მიბაძვით იქმნებოდა. ბიზანტიური ხელოვნება, თავის მხრივ, ბერძნული და აღმოსავლური ხელოვნების ნაზავია. საქართველომ, რომელმაც თავადაც განიცადა აღმოსავლეთის გავლენა, საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა ხელოვნების ისტორიაში. აქ ერთმანეთს შეერწყა განსხვავებული არქიტექტურული ელემენტები და შეიქმნა დამოუკიდებელი, თავისთავადი სტილი და ფორმები.

ქართული არქიტექტურის ისტორიაში გამოირჩევა ორი მნიშვნელოვანი ეპოქა. პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ IV-VII საუკუნეები, როდესაც ქართული ბაზილიკები სპეციფიკურად ქართულმა გუმბათოვანმა შენობებმა შეცვალა. შეიქმნა ამ ტიპის მნიშვნელოვანი არქიტექტურული ნიმუშები. მათ შორის ყველაზე გამორჩეულია მცხეთის ჯვარი.

ღვთისმშობლის ხატი, ტიხრული მინანქარი, ხობის მონასტრიდან (მეათე საუკუნე)

არაბთა შემოსევამ შეაჩერა ქართველ არქიტექტორთა შემოქმედებითი საქმიანობა, რომელიც მხოლოდ IX საუკუნეში განახლდა. XI-XII საუკუნეებში ქართულმა არქიტექტურამ მიაღწია განვითარების მწვერვალს და შეიქმნა ქართული შედევრები.

აღმავლობის ხანა ქართულ ხუროთმოძღვრებას მოგვიანებითაც ჰქონდა XVI-XVII საუკუნეებში, მაგრამ უწინდელი სიდიადისთვის მას აღარ მიუღწევია.

ქართული არქიტექტურის დამახასიათებელი ნიშანია კონუსისებრი გუმბათი. ბიზანტიური გუმბათი სფერულია. გუმბათი დგას ყელზე და კონუსის სიმაღლე თანაბარია ყელის სიმაღლისა. მოგვიანებით ყელი ხდება მრავალკუთხა, კონუსი კი, შესაბამისად – მრავალწახნაგა, რაც ძეგლს ცაში ატყორცნილის იერს სძენს. გუმბათის ფორმის შეცვლამ ბიზანტიური სტილის ბევრი სხვა ელემენტის შეცვლაც გამოიწვია. გაქრა სახურავის თაღის დახრილობა. ორფერდიანმა სახურავმა, რომელიც თავზე ადგას ფასადს, მოგვცა ფრონტონის ტიპური ფორმა. რაც უფრო ატყორცნილია გუმბათი, მით უფრო მაღალია ფრონტონები და მკვეთრია ზედა კუთხე. სწორედ შენობის სხვადასხვა ნაწილს შორის დამყარებული ეს ჰარმონია ქმნის ქართული არქიტექტურის სილამაზეს. ამ ცვლილებების შედეგად, ქართულმა არქიტექტურამ შექმნა ბიზანტიურისგან სრულიად განსხვავებული ორიგინალური ფასადი და უფრო რომაულს დაუახლოვდა. ქართულ ფასადს, როგორც წესი, აქვს სამი ნაწილი – ზედა ცენტრალური ფრონტონი ორი გვერდითა ფრთით. ფრონტონი და მისი ფრთები ერთმანეთისაგან გამოყოფილია თაღოვანი ჩარჩოთი. საზოგადოდ, თაღი სამია, მაგრამ ხანდახან თაღების რაოდენობა ხუთს აღწევს. ჩარჩოები მიემართება ქვევიდან სახურავამდე. ქართული არქიტექტურის ორნამენტები ძირითადად მრავალფეროვანია და ერთმანეთში გადახლართული. ორნამენტს სხვაგან არსად მიუღწევია ასეთ სრულყოფილებისთვის. ეს დეკორი იმდენად მიესადაგება ქართულ არქიტექტურას, რომ მას ხელოვნებაში თავისი სახელწოდება აქვს მინიჭებული. ის სრულ ჰარმონიაშია ნაგებობასთან და ამშვენებს მის სხვადასხვა ნაწილს, ასევე შესაბამისობაშია ანტიკური ხელოვნების პრინციპებთან და სრულ წინააღმდეგობაში ისლამურ-აღმოსავლურ ორნამენტებთან.

თითქმის ყველა ქართული ეკლესიის ინტერიერი დაფარულია წმინდა წერილის სცენებისა და პერსონაჟების ამსახველი ფრესკებით. აქა-იქ მოი-

მედალიონები მოციქულებისა და ღვთისმშობლის გამოსახულებით, ტიხრული მინანქარი ხახულის ხატზე, გელათის მონასტერი. მეთორმეტე საუკუნე

პოვება მეფეთა პორტრეტები (თამარ მეფის ფრესკა ბეთანიაში) და სამოქალაქო ცხოვრების ამსახველი სიუჟეტები. ფრესკები თავდაპირველი სახით ძალიან იშვიათადაა შემონახული და თუკი შემონახულია, ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ მნახველზე მაინც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. ისინი, ერთი შეხედვით, ბიზანტიურ ფრესკებს მოგვაგონებენ, მაგრამ სინამდვილეში თვითმყოფადი ეროვნული შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენენ. მათი შემქმნელების შთაგონების წყაროს, შესაბამისად, აღმოსავლური და დასავლური ქმნილებები წარმოადგენდა. მათ ერთმანეთს შეუთანხმეს აღმოსავლური და დასავლური ტიპის ელემენტები, თემატიკა კი დამოუკიდებლად დაამუშავს და საკუთარი მეთოდოლოგიით მიუდგნენ. ქართული ნახატი მარტივია. გამოსახვის ძირითად ხერხად ქართველი შემოქმედი კონტურს იყენებს. ფერთა გამა მრავალფეროვანია და ბრტყლად დევს. მიუხედავად ამისა, დეკორაცია უდიდეს გამომსახველობით ძალას იძენს. აქ არ იგრძნობა თავშეკავება ან ყოყმანი. ჰარმონია, რომელიც ნამუშევრიდან მოდის, ხშირად მუსიკალურ აკორდებს გვაგონებს. დეკორაციულ კომპოზიციას, დაცლილს ყოველნაირი სიყალბისგან, აღტაცებაში მოჰყავს მნახველი. ქართული მონუმენტური ფერწერის შესწავლა ალბათ გამოდგებოდა იმის საჩვენებლად, თუ რა ადგილი უკავია აღმოსავლეთს შუა საუკუნეების ევროპული ხელოვნების განვითარებაში.

საქართველოში დიდად იყო გავრცელებული მინანქრის ხელოვნება. არაერთი ქართული ნიმუში ბიზანტიურ სტილშია შესრულებული. გელათის საეკლესიო საცავის დათვალიერებაც კი საკმარისია საიმისოდ, რომ ჩავწვდეთ ქართული ხელოვნების ფორმათა სიმდიდრეს. მაშინ, როცა ევროპული მუზეუმები ვერ დაიკვეხნიან ბიზანტიური მინანქრის სიუხვით, საქართველოში მათი რაოდენობა ძალიან დიდია. მხოლოდ ვენეციის წმინდა მარკოზის ბაზილიკის საცავი თუ გაუწევს მეტოქეობას გელათის საცავს თავისი სიმდიდრით. ასევე უხვადაა წმინდად ქართული ტიპის მინანქრები. მისი უზადო შესრულებითა და ფერთა ბრწყინვალებით, ფერებთა შეხამებით, ფიგურათა გამომსახველობითი ძალით, პერსონაჟთა ტანსაცმლის ნაკეცების ზედმიწევნითი გადმოცემითა და მათი ორნამენტებით ქართული მინანქარი შეიძლება ბიზანტიური ხელოვნების შედევრთა გვერდით მოვიხსენიოთ.

უფაქიზესად შესრულებული ხელნაწერთა მინიატურები, წიგნების არშიები, ფიგურები, ასომთავრულები აგრეთვე ადასტურებენ ქართული ფერწერის განვითარების უმაღლეს დონეს.

თუმცა საქართველოში ყველაზე დიდი პატივით სარგებლობდა ჭედური ხელოვნება, რომელიც ყველაზე უკეთ იყო განვითარებული და XII საუკუნეში დიდ სრულყოფილებას მიაღწია. სწორედ ამ ეპოქაში მოღვაწეობდნენ ჭედური ხელოვნების დიდოსტატები ბექა და ბეშქენ ოპიზრები. ბიზანტიაშიც კი არ მოიპოვება მათ ქმნილებათა სადარი ნიმუშები. ჭედური ხატები, ჯვრები, ხელნაწერთა გარეკანები, ჭურჭელი, მოსართავები შეუდარებელი ტექნიკისა და ხელოვნების არსებობაზე მიუთითებენ.

XIX საუკუნეში ჩნდება ახალი ფერწერა, რომელსაც მსგავსი სიმაღლეებისათვის აღარ მიუღწევია. ამ ეპოქის მხატვართაგან მხოლოდ რამდენიმეს სახელია მნიშვნელოვანი (გაბაშვილი და სხვანი). ფერწერის აღმავლობა XIX საუკუნის დასაწყისიდანვე დაიწყო და მასში ასახვა ჰპოვა ევროპული ხელოვნების არაერთმა ტენდენციამ. თუმცა, მიუხედავად ამისა, იყვნენ მხატვრები, რომლებიც ძველი ქართული მხატვრობის ტრადიციების აღორძინებას ცდილობდნენ. ამ ჟანრის წარმომადგენელთა შორის უნდა დავასახელოთ ხალხის წიაღიდან გამოსული მხატვარი ფიროსმანაშვილი, რომლის ტილოები ერთდროულად ფრანგი პრიმიტივისტის, რუსოს, ნაწარმოებებსაც მოგვაგონებს და ძველებურ ფრესკებსაც. უნდა ვახსენოთ გუდიაშვილიც, ფიროსმანაშვილის გამგრძელებელი. მის მხატვრობაში შეიმჩნევა მიდრეკილება დეკორატიულობისკენ. შთაგონების წყაროს გუდიაშვილისთვისაც ძველი ქართული ფრესკები, უფრო მეტად კი, ქართული მინიატურები წარმოადგენს.

უნდა გავიხსენოთ [დიმიტრი] შევარდნაძეც. მას განსაკუთრებული ადგილი უკავია დეკორატიული ხელოვნების ისტორიაში. მოქანდაკეთაგან აღსანიშნავია [იაკობ] ნიკოლაძე, როდენის მოწაფე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ისტორია აღსავსეა ტრაგიკული და სასტიკი მოვლენებით, ქართველი ხალხი ყოველთვის გამორჩეულად მუსიკალური იყო. მისი ცხოვრების ყოველ მოვლენას, ბედნიერსა თუ უბედურს, როგორც საზოგადოებრივ, ასევე პირად ცხოვრებაში თან ახლდა სიმღერა და მუსიკა – მგზავრობასა თუ შრომაში, ავადმყოფობისას და, თქვენ წარმოიდგინეთ, სიკვდილის შემთხვევაშიც კი.

ქართული ხალხური სიმღერები მდიდარია, ძალიან მრავალფეროვანი და პოლიფონიური, ძირითადად სამხმიანი. ეს განსაკუთრებული ნიჭი ქარ-

თველ ერს უხსოვარი დროიდან მოსდგამს. ესა თუ ის მუსიკალური ფორმა და ელემენტი, რომელიც ევროპამ მოგვიანებით შეიმუშავა, ქართულ სიმღერას დიდი ხნით ადრე ჰქონდა. რელიგიური სიმღერები, რომლებსაც ქართველების მხრიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ასევე პოლიფონიურია. X საუკუნეში მუსიკის დიდმა მცოდნემ, იოანე მტბევარმა, აღნუსხა და შეკრიბა ყველა არსებული საგალობელი.

XIX საუკუნეში ერთგვარი განახლება განიცადა ქართულმა მუსიკამ. ქართულ კულტურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვოკალურ ხელოვნებას. იქმნება რომანსები, დუეტები თუ ოპერები, რომლებიც ძირითადად ქართული ხალხური მუსიკის მოტივებითაა შთაგონებული. გამოჩენილი კომპოზიტორები არიან ფალიაშვილი, არაყიშვილი, სულხანიშვილი და ბალანჩივაძე.

ქართული ეროვნული მუსიკალური ინსტრუმენტებია სტვირი და გუდასტვირი, რომელიც შოტლანდიურ და ბრეტონულ გუდასტვირს ჩამოჰგავს, ასევე – ჩონგური და ფანდური, სიმებიანი ინსტრუმენტები, რომლებიც გიტარასა და მანდოლინას მოგვაგონებენ. მათი აკომპანიმენტით სრულდებოდა მელოდიური სიმღერები, განსაკუთრებით კი იავნანა. ასევე არსებობს დაირა, დოლი, ვიოლინოს მსგავსი ჭიანური, სალამური – მწყემსის ფლეიტა და დუდუკი, ჰობოისმაგვარი ინსტრუმენტი.

დამოუკიდებელი (საქართველოს) რესპუბლიკა

დამოუკიდებლობის აღდგენა

საქართველო 1917 წელს

1917 წლის რევოლუციამ და ცარიზმის გაუქმებამ რუსეთში საშუალება მისცა საქართველოს, გადაეგდო უღელი, რომელიც მას დიდხანს, უფრო ზუსტად კი, 117 წლის მანძილზე, ამძიმებდა და აღედგინა დამოუკიდებლობა.

კავკასიის ხალხებმა რევოლუციის პირველი დღეებიდანვე სრულიად კავკასიის ტერიტორიაზე გააუქმეს მეფისნაცვლის ადმინისტრაცია და რუსული ბიუროკრატიული რეჟიმი. მთელი ძალაუფლება გადაეცა რევოლუციურ საბჭოებსა და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს, რომელთაც უნდა ემართათ ქვეყანა.

ამიერკავკასიის რევოლუციურმა საბჭოებმა შეადგინეს თავიანთი ცენტრალური ორგანო, რომელიც მდებარეობდა ტიფლისში და რომლის მიზანიც ამ საბჭოების გაერთიანება და მათი მოქმედების კოორდინირება იყო. ამიერკავკასიის ცენტრალურ ორგანოს სათავეში ედგა თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი.

მეფისნაცვალის ადმინისტრაციის შესაცვლელად პეტროგრადის დროებითმა მთავრობამ ხუთი წევრისგან დაკომპლექტებული "სპეციალური კომიტეტი" გამოგზავნა. მათი პრეროგატივა მთავრობის დაკომპლექტება იყო. ამ კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდა ორი ქართველი (ა. ჩხენკელი და კ. აბაშიძე), ერთი სომეხი, ერთი აზერბაიჯანელი და ერთი რუსი (თავმჯდომარე).

"ამიერკავკასიის სპეციალური კომიტეტის" საქმიანობა ითვალისწინებდა ახალი ადმინისტრაციის შექმნასა და ხელმძღვანელობას, ასევე პეტროგრადის გარდამავალი მთავრობის ორგანოს წარმომადგენლობას. სინამდვილეში, ამ კომიტეტის არსებობა ძალიან ეფემერული იყო, რადგანაც რეალური ძალაუფლება ცენტრალურ და რეგიონალურ რევოლუციურ საბ-

ჭოებს ჰქონდათ და, როგორც საქართველოს მაგალითიდანაც ჩანს, სწორედ ისინი ხელმძღვანელობდნენ ქვეყნის საქმიანობას.

თებერვლის რევოლუციიდან რვა თვის შემდეგ, ოქტომბერში, ბოლშევიკებმა, წინასწარ მომზადებული სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, ხელთ ჩაიგდეს ძალაუფლება. დაიწყო სამოქალაქო ომი და რუსეთის უზარმაზარი ტერიტორია ანარქიამ მოიცვა. მოვლენები იმგვარად განვითარდა, რომ რუსეთს მოწყდა კავკასია და გაწყდა კავშირი რუსეთსა და ამიერკავკასიის ერებს შორის.

კავკასიის რევოლუციურმა ორგანიზაციებმა არ ცნეს ბოლშევიკური სახელმწიფო გადატრიალება და უარი თქვეს, დაქვემდებარებოდნენ ბოლშევიკებს.

მიუხედავად ამისა, ქვეყანას სამოქალაქო ომის ტალღა და რუსული ანარქია ემუქრებოდა. ბოლშევიკური პროპაგანდის გავლენით დემორალიზებული 500 000 რუსი ჯარისკაცი თურქეთის საზღვართან იდგა, რაც სიტუაციას მეტად ძაბავდა. ისინი თურქებზე ჰყიდდნენ ან საჩუქრად გასცემდნენ საკვებს, იარაღსა და აღჭურვილობას. დისციპლინა მოშლილი იყო, ჯარისკაცები არ იცავდნენ წესრიგს და ცდილობდნენ, ამიერკავკასიის გავ-

ლით რუსეთში დაბრუნებულიყვნენ. თურქული ჯარის ხელმძღვანელობას დიდად ახარებდა მტრის ამგვარი დეზორგანიზაცია. ის ჩასაფრებული ელოდა მომენტს, რომ შეჭრილიყო ამიერკავკასიის ტერიტორიაზე.

ამ პირობებში საქართველოს მოქმედებისა და თავდაცვისთვის აუცილებლად სჭირდებოდა პოლიტიკური ორგანიზება.

ამიერკავკასიის რევოლუციური საბჭოების ინიციატივით, 1917 წლის 11 ნოემბერს დაიშალა "სპეციალური კომიტეტი". ის შეცვალა ახალმა ორგანიზაციამ – ამიერკავკასიურმა კომისარიატმა, რომლის სათავეშიც იდგა ე. გეგეჭკორი. ამიერიდან ამ კომისარიატის ადგილსამყოფელი იყო ამიერკავკასია და მის შემადგენლობაში შედიოდნენ ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები და რუსები. ის არსებობდა პეტროგრადის მთავრობისაგან დამოუკიდებლად და წარმოადგენდა ქვეყნის კანონიერ მთავრობას. გარდა ამ ცენტრალური ხელისუფლებისა, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა თავიანთ ქვეყნებში შექმნეს ეროვნული საბჭოები, რათა დაეკმაყოფილებინათ შესაბამისი ეროვნული საჭიროებანი.

1917 წლის 22 ნოემბერს ეროვნულ კონგრესზე, საერთო შეთანხმებით პოლიტიკურ პარტიებთან, მუნიციპალიტეტებთან, მუშათა პროფკავშირებთან, მუშათა და გლეხთა საბჭოებთან თუ სხვებთან, დაინიშნა საქართველოს ეროვნული საბჭო.

თავდაპირველად, ეროვნული საბჭოები შეუდგნენ ეროვნული საჯარისო შენაერთების შექმნას, რაც განსაკუთრებულად არეულ ვითარებაში ძალიან რთული აღმოჩნდა. ერთი მხრივ, რუსულმა ბოლშევიკურმა არმიამ მიატოვა კავკასიის ფრონტი და ჯარისკაცები არაორგანიზებულად დაუბრუნდნენ თავიანთ სახლებს. მეორე მხრივ, ტიფლისის ყაზარმებში დაბანაკებულ რუსულ შენაერთებსაც შეყროდა ე.წ. ბოლშევიკური ეპიდემია. მოვლენების ამგვარმა განვითარებამ უბიძგა ბოლშევიკ მეთაურებს, აემოქმედებინათ მთელი ძალა და ესარგებლათ სიტუაციით. ისინი ტიფლისს კონტრრევოლუციის ბუდედ მიიჩნევდნენ და მოუწოდებდნენ ბოლშევიკურ ჯარებს, ალყაში მოექციათ და ძალადობრივად დაეკავებინათ ქალაქი.

ამგვარად, საქართველოს დედაქალაქი ისევე, როგორც ზოგიერთი პროვინცია, სრული განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. თბილისს არ

შეეძლო, უცხო მტრული ძალებისთვის დაეპირისპირებინა საკუთარი თავდაცვა. სიტყვა ხალხს ეკუთვნოდა: თუკი უმოქმედოდ იქნებოდნენ და არ აღუდგებოდნენ დამპყრობლებს, ქვეყანა ანარქიის მსხვერპლი გახდებოდა და რუსულ სამოქალაქო ომში ჩაიძირებოდა.

ამ მიზეზით, ტიფლისის მუშათა რევოლუციური საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა "არსენალს" საჭირო საომარი აღჭურვილობა მოსთხოვა, მაგრამ მას რუსი ბოლშევიკი ჯარისკაცები იცავდნენ. მათ კატეგორიული მოთხოვნის შესრულებაზე უარი განაცხადეს. მაშინ კომიტეტმა 1917 წლის 12 დეკემბერს "არსენალის" შენობა ძალით დაიკავა. ამგვარად, ქვეყანას მიეცა საშუალება, შეიარაღებულიყო და თავი დაეცვა.

მუშათა მიერ დაკომპლექტებულ საჯარისო ნაწილებს სახალხო გვარდია დაერქვა. სახალხო გვარდიები, ტიფლისის მაგალითით, საქართველოს ყველა კუთხეში შეიქმნა.

ამიერკავკასიის კომისარიატები და რევოლუციური ორგანიზაციები შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ძალებს არ იშურებდნენ, რომ ლოკალური პოსტრევოლუციური მოვლენებისთვის ნორმალური მსვლელობა მიეცათ. მათ შედარებით მოკლე ვადაში აიძულეს რუსული ჯარები, დაეტოვებინათ კავკასიის ფრონტი და ისინი ჩრდილოეთისაკენ გარეკეს.

სწორედ ამ დროს რუსეთს ანარქია და სამოქალაქო ომი ანადგურებდა, საბჭოების დიქტატურა კი უსასტიკეს ფორმას იღებდა.

დამფუძნებელი ასამბლეის უხეშმა დაშლამ პეტროგრადში 1918 წლის 5 იანვარს მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენა ახლად ჩასახულ დემოკრატიას. ამის შემდეგ ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა რევოლუციური საბჭოების ცენტრალურმა ორგანომ გაწყვიტა უკანასკნელი ძაფი, რომელიც რუსეთსა და მთელ რევოლუციურ დემოკრატიას ამ დრომდე ერთმანეთთან აკავშირებდა.

რუსეთის დამფუძნებელმა ასამბლეამ მხოლოდ ერთი დღე იარსება. ბოლშევიკთა დაშლის შემდეგ ასამბლეა ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხების შემადგენლობით სამჯერ გაიზარდა და, არჩევნებში მიღებული ხმების პროპორციულად, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიული სიები-

დან შეივსო. ამგვარად შედგენილმა ასამბლეამ საკანონმდებლო ფუნქციები შეიძინა. ამგვარად შეიქმნა ამიერკავკასიის სეიმი, რომლის თავმჯდომარე იყო ნ. ჩხეიძე.

სეიმზე რატიფიკაცია გაიარა არაერთმა კანონმა, მათ შორის, დეკრეტმა იმ კანონის შესახებ, რომელიც კომისარიატის მიერ იყო მიღებული. დეკრეტი შეეხებოდა დიდგვაროვანთა პრივილეგიების გაუქმებას. ამავე დროს, მოხდა სახელმწიფოს, ეკლესიისა და მსხვილი მფლობელების ქონების კონფისკაცია წვრილი გლეხობის სასარგებლოდ. ეს კანონი შემდგომში მხოლოდ საქართველოში ამოქმედდა.

ჯერ კიდევ ამიერკავკასიის სეიმის შექმნამდე ქართველმა თავადაზნაურობამ კ. აფხაზის მეთაურობით ერს სრულიად უსაზღაუროდ დაუთმო მთელი თავისი კორპორაციული მოძრავი თუ უძრავი ქონება.

მეორე უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე გაფანტული და უცხო ქვეყნებში გასახლებული ქართველი მეცნიერების საქართველოში თავმოყრა. თებერვლის რევოლუციამ საშუალება მისცა მათ, სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. 1918 წლის იანვრის თვეში, მათი და პროფესორ ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით, დაარსდა ტიფლისის პირველი უნივერსიტეტი. სადაც არსებობდა ხუთი ფაკულტეტი და ირიცხებოდა 3 000 სტუდენტი გახსნისთანავე.

1918 წლის იანვარში საბჭოთა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში წამოიწყო მოლაპარაკებები, რომლებიც იმ ხანად გამარჯვებულ გაგრიასთან სამშვიდობო შეთანხმებით დაგვირგვინდა. ბრესტ-ლიტოვსკში ამიერკავკასიაც იყო მიწვეული, მაგრამ მან მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ამ მოლაპარაკებების შედეგად მიღებული ხელშეკრულებით (1918 წლის 19 თებერვალი) შეგულიანებულმა რუსეთმა თურქეთს დაუთმო ბათუმის, ყარსისა და არდაგანის პროვინციები თავისი ქალაქებითურით. ამიერკავკასიის მთავრობამ მხოლოდ ამის შემდეგ გააპროტესტა ეს უპრეცედენტო ღალატი, მისი უფლებების უხეში დარღვევა და შესაბამის წარმომადგენლობებთან მოლაპარაკების წამოწყებას შეეცადა.

1918 წლის 12 მარტს ტრაპიზონში თურქეთსა და ამიერკავკასიას შორის პირველი სამშვიდობო კონფერენცია გაიხსნა. თურქეთის დელეგაციას

საზღვაო ძალების მინისტრი რეუფ-ბეი ხელმძღვანელობდა, ამიერკავკაიასას კი – საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ჩხენკელი.

სწორედ ამ მოლაპარაკებების დროს ბაქოს ყაზარმებში დაბანაკებულმა გარნიზონმა და მუშებმა ხელთ იგდეს აზერბაიჯანის დედაქალაქი. ბაქოს საბჭოთა კომისარიატის ხელმძღვანელმა შაუმიანმა განაცხადა, რომ ის მთლიანად მოსკოვის ბრძანებებს ექვემდებარებოდა.

მიუხედავად კონფერენციის მიერ ჩატარებული სამუშაოებისა, თურქებმა სამხედრო ოპერაციები არ შეწყვიტეს. ამგვარად, ბათუმისა და ყარსის შესასვლელთან აღმოჩენილნი, მარტის ბოლოს ისინი არდაგანს იკავებდნენ. ამ ფაქტის გამო, კონფერენციამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა და უსარგებლო გახდა. შედეგად, ამიერკავკაიის სეიმმა გამოითხოვა თავისი დელეგაცია.

ამგვარად, სიტუაცია კრიტიკული იყო. ქვეყანას აღმოსავლეთიდან ბოლშევიკების არმია ემუქრებოდა, სამხრეთიდან – თურქეთი. საუბედუროდ, მტერთან დასაპირისპირებლად მას საკმაო ძალა არ გააჩნდა, სახელდახელოდ შექმნილი რამდენიმე ეროვნული სამხედრო შენაერთი სუსტი აღმოჩნდა, რომ თურქეთის რეგულარული არმიისთვის წინააღმდეგობა გაეწია.

ამიერკავკასიის სრული დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1918 წლის 22 აპრილს) სეიმმა მტკიცედ გადაწყვიტა, განეახლებინა სამშვიდობო მოლაპარაკებები თურქეთთან.

ახალმა მთავრობამ ჩხენკელის წინამძღოლობით უცხოეთის ქვეყნების მეთაურებს ახალი ამიერკავკასიური სახელმწიფოს შექმნის შესახებ შეტყობინება გაუგზავნა. იგი მაშინვე ცნო თურქეთის ხელისუფლებამ, რამაც ხელი შეუწყო ორ ქვეყანას შორის გარდამავალი სამშვიდობო რეჟიმის დამყარებას. სიტუაცია ხელსაყრელი იყო შეწყვეტილი მოლაპარაკებების განსაახლებლად. 1918 წლის 11 მაისს ბათუმში მეორე სამშვიდობო კონფერენცია გაიხსნა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც კონფერენციას დამკვირვებლის სტატუსით ესწრებოდა თურქეთის მოკავშირე გერმანია გენერალ ფონ ლოსოვის მეთაურობით. თურქეთმა პირველივე სხდომაზე წამოაყენა თავისი სამშვიდობო პირობები, რომლებიც ბევრად სცილდებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მიღწეულ შეთანხმებას. კერძოდ, ის მოითხოვდა ქართული პროვინციების, მესხეთისა და ჯავახეთის, გაუქმებას და სომხეთის მიწების

ერთ მესამედს. თურქეთის მხრიდან ამ მოთხოვნების წამოყენებას, ცხადია, ხელი შეუწყო ამიერკავკასიის ოპოზიციის მიერ შექმნილმა სიტუაციამ. ამგვარად ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება მოქმედებაში უნდა მოსულიყო.

გერმანული დელეგაცია, რომელიც გადაჭარბებულად მიიჩნევდა თურქეთის მიერ წამოყენებულ პირობას, შეეცადა მოკავშირეებთან ამ მოთხოვნის შესაცვლელად ეშუამდგომლა, მაგრამ მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

ამ ხანებში ამიერკავკასიაში სიტუაცია უაღრესად ტრაგიკული იყო: აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოს რუსები დაპატრონებოდნენ, აზერბაიჯანის მეორე დიდ ქალაქს განჯას კი – ანვერ ფაშას ძმა ნური ფაშა. თურქები, რომლებიც სომხეთში ალექსანდროპოლს და საქართველოში ახალციხეს შეესოდნენ, ერევანსა და ტიფლისს ემუქრებოდნენ. სხვათა შორის, საბჭოთა ჯარები პერიოდულად თავს ესხმოდნენ აფხაზეთს, შავი ზღვის ქართულ სანაპირო ზოლს, აქ კი მათ თურქებიც უერთდებოდნენ. ეს კრიტიკული სიტუაცია კიდევ უფრო რთულდებოდა, ვინაიდან არ იყო თანხმობა თვით ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის. ამიერკავკასიის სეიმზე აზერბაიჯანის მხარე აცხადებდა, რომ ვინაიდან მისი დედაქალაქი ბაქო რუსების მიერ იყო დაპყრობილი, ისინი ვერ ხედავდნენ აუცილებლობას, დაეცვათ ამიერკავკასია თურქებისგან, თავიანთი ძმებისგან. სომხები კი, ვინაიდან ქვეყნის დიდი ნაწილი თურქებს ჰქონდათ დაპყრობილი, უარს აცხადებდნენ ებრძოლათ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბაქოს გასათავისუფლებლად. ამგვარად, ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთიანობა დაშლილი იყო. მასში შემავალმა ერებმა გადაწყვიტეს, საკუთარი თავისთვის თვითონ მიეხედათ და ქვეყნის დაცვაზე თავად ეზრუნათ.

შედეგად, 1918 წლის 26 მაისს სეიმმა თავი დაშლილად გამოაცხადა საყოველთაო გადაწყვეტილებით, რომელიც ასე ჩამოყალიბდა: "რამეთუ დამოუკიდებელი ამიერკავკასიის რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალმა ხალხებმა გამოთქვეს სრულიად განსხვავებული მოსაზრებები ომისა და მშვიდობის შესახებ, გარდა ამისა, არ არსებობს ავტორიტეტული ძალაუფლება, რომელიც წარსდგება სრულიად ამიერკავკასიის სახელით, ამიერკავკასიის სეიმი თავს დაშლილად აცხადებს და იხსნის ყველანაირ უფლებამოსილებას".

დამოუკიდებელი საქართველო (რესპუბლიკა) და მისი საწყისები

სეიმის დაშლის დღესვე, 1918 წლის 26 მაისს, შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს შეკრება. მან ერთხმად დაუჭირა მხარი პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას მიერ წარმოდგენილ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

არც აზერბაიჯანმა და სომხეთმა დააყოვნეს. მათ დაუყოვნებლივ მიბაძეს საქართველოს. ორი დღის შემდეგ, 1918 წლის 28 მაისს, ორივე ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

26 მაისის აქტით საქართველო გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მოქალაქისთვის იყო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის გარანტი, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, რელიგიური აღმსარებლობისა და სოციალური წარმომავლობისა.

დამფუძნებელი კრების (ასამბლეის) მოწვევამდე ხელისუფლება დარჩა პარლამენტისა (ეროვნული საბჭო ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლებისგან შედგებოდა) და გარდამავალი მთავრობის ხელში, რომელიც ანგარიშვალდებული იყო ამ უკანასკნელის წინაშე.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობის სათავეში იყო მთავრობის თავმჯდომარე ნ. რამიშვილი. ძალიან მალე ის შეცვალა ნოე ჟორდანიამ. ეს იყო კოალიციური მთავრობა, რომელიც გარდა კომუნისტებისა, ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებისგან შედგებოდა.

ბათუმის სამშვიდობო კონფერენციაზე, რომელმაც ვერ მიაღწია შეთანხმებას, ამიერკავკასიის სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებს შორის გამართული მოლაპარაკებების დროს, თურქეთის დელეგაციამ ამიერკავკასიის დელეგაციას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღეს ულტიმატუმი წაუყენა. ამ ულტიმატუმის თანახმად, საქართველოს სამ დღეში უნდა მიეღო ახალი სამშვიდობო პირობები, წინააღმდეგ

შემთხვევაში, თურქეთი საქართველოს ომს უცხადებდა. სინამდვილეში, საომარი მდგომარეობა უკვე არსებობდა. თურქები წინ მიიწევდნენ და ახალ-ახალ პოზიციებს იკავებდნენ.

ამიერკავკასიის რესპუბლიკა უკვე დაშლილად იყო გამოცხადებული, ამიტომ ეს ულტიმატუმი ეხებოდა არა ამიერკავკასიის რესპუბლიკას, არამედ მის სანაცვლოდ წარმოქმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს.

საქართველოს ჰყავდა ახლად შექმნილი პატარა არმია, რომელმაც თურქეთის ჯარი ქუთაისისკენ გარეკა და წარმატება მოიპოვა. მიუხედავად ამისა, ეს არმია მაინც არ იყო იმდენად მრავალრიცხოვანი, რომ მას რამდენიმე ფრონტზე ერთდროულად შეძლებოდა მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ამიტომ საქართველო იძულებული შეიქნა, დათანხმებოდა თურქული მხარის პირობებს. თუმცა, ეს ხელშეკრულება საქართველოს მხრიდან არ იქნა რატიფიცირებული.

დამოუკიდებლობის გამოცხადება საქართველოს თურქული აგრესიის შეჩერების საშუალებას აძლევდა. გერმანია გამოეხმაურა მის მოწოდებას, რადგან არ აწყობდა ამიერკავკასიაში თურქების შემოჭრა. თურქული ფაქტორი ხელს შეუშლიდა გერმანული ნაწილების მესოპოტამიაში გადაადგილებას, ეს კი მათ ინგლისელების წინააღმდეგ დასაპირისპირებლად სჭირდებოდათ. ბათუმის მოლაპარაკებებისას გერმანიის დელეგაციამ საქართველოს განუცხადა მზადყოფნა, დახმარებოდა თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში იმ პირობით, თუკი საქართველო მის ტერიტორიაზე გერმანიის ჯარებს შეუშვებდა. ამ დროს თურქეთი აცხადებდა, რომ რესპუბლიკის რკინიგზა მის განკარგულებაში იყო და მას თავისუფლად შეეძლო გადაეყვანა საჯარისო ნაწილები და გადაეტანა საბრძოლო აღჭურვილობა. ამით ის თავს ქვეყნის სრულუფლებიან ბატონად აცხადებდა.

იმისათვის, რომ გერმანიას თურქებთან დაპირისპირება შეძლებოდა, 26 მაისს ფოთში გერმანიისა და საქართველოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს კონვენციას, რითაც გერმანელებს ენიჭებოდათ უფლება, გაეკონტროლებინათ საქართველოს რკინიგზა მის საშინაო საქმეებში ჩარევის გარეშე.

ნოე ჟორდანია

ამ ხელშეკრულების თანახმად, გერმანიისა და საქართველოს ჯარისკაცებმა ხელში ჩაიგდეს რკინიგზა საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში და წინ აღუდგნენ თურქების წინსვლას. თურქებს არ აღმოაჩნდათ საკმარისი ძალები გერმანელებთან დასაპირისპირებლად და ამიტომ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები შეაჩერეს. გერმანული არმია საქართველოში დაახლოებით ექვს თვეს (1918 წლის ივნისი-დეკემბერი) დარჩა.

გერმანიის ჯარების თავის ტერიტორიაზე შემოშვებით საქართველომ მოახერხა თურქული აგრესიის შეჩერება, მაგრამ ეს საქართველოსთვის არცთუ უხიფათო გამოდგა: ჯერ ერთი, გერმანელებმა დაიწყეს ქვეყნის შიდა ადმინისტრირებაში ჩარევა და, გარდა ამისა, საქართველო ჩათრეულ იქნა ცენტრალური ხელისუფლების კონფლიქტში. საქართველოს ხელისუფლებამ წარმატებით მოახერხა ამ ორმაგი საშიშროების თავიდან აცილება.

მსოფლიო ომი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კიდევ ხუთ თვეს გაგრძელდა. ამან ახალი სახელმწიფოს ორგანიზებისთვის ფრიად არასასურველი პირობები შექმნა. და მაინც, მთავრობამ ნაწილობრივ მოახერხა, შეესრულებინა თავისი უმთავრესი მიზანი: აღედგინა ნორმალური ურთიერთობა თურქეთის მხარესთან. მართალია, ბათუმი კვლავ თურქების ხელში რჩებოდა, მაგრამ საქართველოს მთავრობას საფუძვლიანი მიზეზები ჰქონდა ეფიქრა, რომ ეს დროებითი მოვლენა იყო და მალე ეს ნაწილი დედასამშობლოს დაუბრუნდებოდა. იმედი მართლაც მალე გამართლდა. მუდროს ზავით (1918 წლის ნოემბერი) გამარჯვებულმა მოკავშირეებმა აიძულეს თურქეთი, გასულიყო ამიერკავკასიიდან და 1914 წლის საზღვრებს დაბრუნებოდა. ამავე წლის ბოლოს, მოკავშირეების მსგავსად, გერმანელებმაც დატოვეს საქართველოს ტერიტორია.

სამაგიეროდ, ამ დროს კავკასიაში შემოსვლა დაიწყეს ინგლისელებმა, რომლებიც დროებით ნელ-ნელა იკავებდნენ თურქებისაგან განთავისუფლებულ ბათუმს. საქართველომ ინგლისელების მიმართ იგივე ხაზი გაატარა, რაც გერმანელების მიმართ – მან არ დათმო ნეიტრალიტეტი და საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველომ უკუაგდო აზრი გერმანელი ჯარისკაცების მიმართ რეპრესიული ზომების გატარების შესახებ. ისინი მალე თავიანთ ქვეყანაში უნდა დაბრუნებულიყვნენ. ასევე კატეგორიული უარი განაცხადა თანამშრომლობაზე, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთში

ინტერვენციასა და თეთრი გენერლების – ალექსეევისა და დენიკინის დახმარებას. ეს უკანასკნელნი საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ხმალამოღებული მოწინააღმდეგეები იყვნენ.

საქართველოს ტერიტორია, რომელიც ინგლისელებმა 1919 წელს გაწმინდეს, 1920 წლის ზაფხულში, ამჯერად უკვე ინგლისელების მიერ, კვლავ ოკუპირებულ იქნა. რევოლუციის დაწყებიდან 1918 წლის მაისამდე რევოლუციური ორგანიზაციები ფლობდნენ სიტუაციას საქართველოში იმდენად, რომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთად ისინი წარმოადგენდნენ მყარ დასაყრდენს ახალი სახელმწიფოს შესაქმნელად. ცხადია, ეს ორგანიზაციები არაფრით მოგაგონებდნენ საბჭოთა რუსეთს (რუსულ საბჭოებს). ისინი განმსჭვალულნი იყვნენ იდეით, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო უნდა დაეფუძნოს ხალხის თავისუფალ ნებას. მათ აგრეთვე იცოდნენ, რომ ისინი წარმოადგენდნენ დამატებით ორგანოებს, გამიზნულს დემოკრატიული და სახალხო რეჟიმის დასამყარებლად. ისინი ცხოვრებაში ატარებდნენ ამ პრინციპებს, რათა საშუალება მიეცათ ხალხისთვის, გამოეხატათ თავიანთი ნება, საყოველთაო კენჭისყრით აერჩიათ წარმომადგენლები და შეექმნათ ეროვნული ინსტიტუციები საკუთარი ცხოვრების სამართავად. თანდათანობით იქმნებოდა ინსტიტუციები, რომლებიც ამავდროულად რევოლუციური ორგანიზაციების ფუნქციებს იძენდნენ. ამგვარად, სახალხო გვარდია, ამ ორგანიზაციების მიერ შექმნილი უნიშვნელოვანესი შეიარაღებული ძალა, რომელიც აღმასრულებელ კომიტეტს ემორჩილებოდა, მთავრობის დაქვემდებარებაში გადავიდა. შემდგომში, სპეციალური კანონის საფუძველზე, მთავრობამ ის რესპუბლიკის რეგულარულ არმიას დაუქვემდებარა. რევოლუციურ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, ძალების გასაერთიანებლად და საკუთარ ხელში მოსაქცევად საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე აირჩიეს ნოე ჟორდანია, სოციალ-დემოკრატიული პარტიის, რევოლუციური საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე (1918 წლის ივნისი). მისი ავტორიტეტი საყოველთაოდ აღიარებული იყო.

რევოლუციური სიტუაცია ყოველგვარი ზედმეტი მღელვარების გარეშე შეცვალა კანონიერებამ. დემოკრატიული წესრიგი საყოველთაო თანხმობისა და ნდობის საფუძველზე მყარდებოდა. ეს ცვლილება უნდა ყოფილიყო სანქცირებული დამფუძნებელი კრების მიერ, რომელსაც იურიდიულად რეჟიმის მოწყობა შესაბამისი კონსტიტუციის შექმნით უნდა დაესრულებინა.

საშინაო პოლიტიკა

1919 წლის თებერვალში ჩატარდა დამფუძნებელი კრების (ასამბლეის) არჩევნები. ეს იყო საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული არჩევნები. ყოველ მოქალაქეს, რომელსაც 20 წელი შეუსრულდებოდა, განურჩევლად სქესისა, ჰქონდა უფლება, მიეღო მონაწილეობა კენჭისყრაში. შედეგად, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო ხმათა უმრავლესობა, კომუნისტებმა კი ერთი ხმაც ვერ მოიპოვეს. დეპუტატებად აირჩიეს არა მარტო ქართველები, არამედ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებიც.

საქართველოს დამფუძნებელი კრება შეიკრიბა 1919 წლის 12 მარტს. ნ. ჩხეიძის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ, კრებამ საქართველოს პარლამენტის მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობის აქტის რატიფიკაცია მოახდინა. მან კანონიერად ცნო მთავრობის თავმჯდომარედ ნ. ჟორდანიას არჩევა. კრებამ, ვინაიდან დეპუტატთა უმრავლესობა სოციალ-დემოკრატი იყო, შეადგინა ამ პარტიის წევრებისაგან დაკომპლექტებული ჰომოგენური მთავრობა. რაც შეეხება სხვა პარტიებს, მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოხვდნენ მთავრობის შემადგენლობაში, მათ მიენიჭათ უფლება, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნის ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში.

გარდა საკანონმდებლო უფლებამოსილებისა, პარლამენტს ევალებოდა რეგულარული თუ არარეგულარული არმიის ხელმძღვანელობა. მას ჰქონდა ომის გამოცხადების უფლება, შეეძლო მშვიდობის ხელშეკრულებების რატიფიცირება, უცხო სახელმწიფოებთან სავაჭრო ან სხვა ტიპის გარიგებების დადება. ის კენჭს უყრიდა ბიუჯეტს, აწარმოებდა მოლაპარაკებებს ფულადი სესხების შესახებ, ირჩევდა მთავრობის თავმჯდომარესა და სხვა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებს, აკონტროლებდა აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას და ა.შ.

პარლამენტის მიერ გარკვეული ვადით არჩეული მთავრობის თავმჯდომარე ამავდროულად იყო რესპუბლიკის უზენაესი წარმომადგენელი.

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გერბი

ცარისტული რუსეთი პერიფერიულ ქვეყნებში კვლავ ცენტრალიზაციის პოლიტიკას მისდევდა. თუკი ქალაქს ჰყავდა თავისი მუნიციპალიტეტი შეზღუდული უფლებებით, პროვინციებსა და პატარა დასახლებებს (კომუნებს) მთავრობის მიერ დანიშნული პოლიციის აგენტები მართავდნენ. საქართველოს რესპუბლიკამ აღიარა თვითმართველობის პრინციპი და შეუდგა ადმინისტრაციის დეცენტრალიზაციას. ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოები არჩეული იყო იმავე პრინციპით, რა პრინციპითაც პარლამენტი და სარგებლობდა სრული ავტონომიით სოციალურ-კულტურულ სფეროში. მათ ჰყავდათ თავიანთი პოლიცია. ისინი თავად უძღვებოდნენ კულტურულ-ეკონომიკურ საქმიანობას მათ დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორიის ფარგლებში და ხელმძღვანელობდნენ გარკვეული რაოდენობის საწარმოებს.

დემოკრატიის რეფორმატორული საქმიანობა იურისპრუდენციის სფეროზეც უნდა გავრცელებულიყო. იურისპრუდენცია მოარგეს ნაციონალურ თავისებურებებს და შესაბამისობაში მოიყვანეს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებთან. მოსამართლეებს ირჩევდნენ გარკვეული ვადით. ისინი იყვნენ დამოუკიდებელნი და მათი გამოთხოვნა მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლებოდა. ყველა სახის სისხლის სამართლის დანაშაული ისევე, როგორც პოლიტიკური და პრესის დანაშაული, განიხილებოდა ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოში. პარლამენტის შემადგენლობაში იყო სენატიც, რომელსაც ევალებოდა კანონის აღსრულებისთვის თვალის დევნება და საკასაციო სასამართლოს შემოღება.

რესპუბლიკის ზოგიერთი რეგიონი, გამორჩეული წეს-ჩვეულებებისა და განსხვავებული საცხოვრებელი პირობების გამო, საყოველთაო კანონის განხორციელებისა და ადგილობრივი საქმეების წარმართვისას სრული ავტონომიით სარგებლობდა. ამგვარად, 1918 წლის დასასრულს აფხაზეთმა სრული ავტონომია მიიღო. ამ რეფორმის განხორციელება აჭარაში, საქართველოს გამუსულმანებულ ნაწილში, დაგვიანდა იმ მიზეზით, რომ 1920 წლის ზაფხულამდე ეს რეგიონი ინგლისელებს ჰქონდათ ოკუპირებული.

სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშესაწყობად რესპუბლიკის ეროვნულ უმცირესობებს სრული თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული.

ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს. სახელმწიფოს მხრიდან უპირატესობა არც ერთ რელიგიას არ ენიჭებოდა.

უპირველესი მნიშვნელობის ამოცანა ახალგაზრდა რესპუბლიკისთვის ეროვნული თავდაცვის ორგანიზება იყო. ეროვნულ არმიას საფუძველი ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის ოფიციალურ გამოცხადებამდე ჩაეყარა. ამ პატარა სახელმწიფოში შეუძლებელი იყო იმ ძველი რუსული სამხედრო სისტემის გამოყენება, რომელიც უზარმაზარი იმპერიის ტერიტორიაზე მოქმედებდა და უთვალავ ადამიანურ რესურსს მოიცავდა. საქართველოს უნდა შეექმნა რეგულარული არმია შესაბამისი ახალი თავდაცვითი მეთოდების ბაზაზე. ამ მიზნით დაარსდა სამხედრო სასწავლებელი და გამოიცა სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე. სამხედრო სამსახური სავალდებულო იყო ყოველი ჯანსაღი მამაკაცისათვის. ისინი იღებდნენ შესაბამის სამხედრო ინსტრუქციებს. საარტილერიო, ფეხოსანთა და საავიაციო ძალებთან ერთად, საქართველოს ჰყავდა პირველადი დანიშნულების არარეგულარული ჯარი, მოხალისეთა არმია ანუ სახალხო გვარდია, რომელიც ასევე მხოლოდ სახელმწიფოს სამხედრო მეთაურობას ემორჩილებოდა.

რესპუბლიკას სჭირდებოდა ნაციონალიზაცია და საჯარო ინფრასტრუქტურის განვითარება. ძველი სკოლები ცარისტული რუსიფიკატორული პოლიტიკის ინსტრუმენტებადღა ქცეულიყო. ახალმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მიზნად დაისახა ეროვნული კულტურის განვითარება.

სავალდებულოდ გამოცხადდა უფასო დაწყებითი განათლება. არარაციონალური ცარისტული სისტემისაგან განსხვავებით, საგანმანათლებლო სისტემა ერთი ორგანულ მთლიანობას წარმოადგენდა. პირველდაწყებითი სკოლები უშუალოდ იყო დაკავშირებული საშუალო სკოლებთან და, შესაბამისად, უმაღლეს სასწავლებლებთან.

ოფიციალური სტატისტიკით, ცარისტულ ეპოქასთან შედარებით, 1921 წლის დასაწყისში სკოლების და მოსწავლეთა რაოდენობა გაორმაგდა. ამგვარად, 1915 წელს ითვლიდნენ 864 სკოლას და 80 234 მოწაფეს, ხოლო 1921 წლის დასაწყისში სკოლების რაოდენობამ 1924-ს მიაღწია, მოწაფეთა რაოდენობამ კი – 162 342-ს. გარდა ამისა, სახელმწიფომ დააარსა და დააფინანსა სკოლები ეროვნული უმცირესობებისათვის.

ტიფლისში დაარსდა უმაღლესი პოლიტექნიკური სკოლა და ორი უნივერსიტეტი, მათგან ერთი – კერძო. სახელმწიფო უნივერსიტეტი გახსნის დღეს ითვლიდა 3 000 სტუდენტს. სახელმწიფო, საზღვარგარეთ (საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიასა და იტალიაში) გაგზავნის მიზნით, სტუდენტებს სტიპენდიებითაც უზრუნველყოფდა. აგვარად, სტუდენტებს შეეძლოთ, გაეღრმავებინათ თავიანთი განათლება და დაეხვეწათ სპეციალობაში მიღებული ცოდნა.

სხვა მხრივ, მეცნიერების ფართო პოპულარიზაციის მიზნით, შეიქმნა სახალხო სკოლების ქსელი. ამ სკოლებში სიარული შეეძლო ყველა სოციალური წრის წარმომადგენელს, მათ შორის, ზრდასრულ ადამიანსაც. 1920 წელს ტიფლისსა და სხვა დიდ ქალაქებში 200 ასეთი ტიპის სასწავლებელი არსებობდა.

1920 წლის 1 იანვრისთვის, რომ არაფერი ვთქვათ სახალხო კლუბებზე, სამუსიკო და სახელოვნებო საზოგადოებებზე, რომელთაც ქვეყნის ყველა კუთხეში შეხვდებოდით, ბიბლიოთეკებისა და სამკითხველო დარბაზების რაოდენობა 2 112-ს აღწევდა. გამიზნული იყო ამ რაოდენობის 3 500-მდე გაზრდა.

განათლებას დაწაფებული ახალგაზრდობა დაინტერესებული იყო ფიზიკური განვითარებითაც და მისდევდა სპორტს. ამ დროს დაარსდა სპორტული საზოგადოება "შევარდენი" (სპორტულ აღზრდას საქართველოში ეს საზოგადოება ხელმძღვანელობდა), რომელიც დაარსებისთანავე 4 000 წევრს ითვლიდა.

ზრუნვა საზოგადოებრივ ჰიგიენაზე ითავეს კომპეტენტურმა ხელმძღვანელებმა. წარმოებდა სერიოზული ბრძოლა ტუბერკულოზისა და მალარიის აღმოსაფხვრელად. მოეწყო სანატორიუმები და სამკურნალო დაწესებულებები ამ უბედურებათა დასამარცხებლად.

ადგილობრივმა ადმინისტრაციებმა დააარსეს საავადმყოფოები, აფთიაქები, სამედიცინო ცენტრები ადგილობრივ საჭიროებათათვის. ასეთივე ტემპით მიდიოდა სასოფლო-სამეურნეო და ვეტერინარული განათლებაც. სატელეფონო ქსელმა ერთმანეთთან დააკავშირა ქალაქები და სოფლები. სწრაფად განვითარდა ფოსტა-ტელეგრაფი.

ქვეყანა სარგებლობდა სიტყვისა და პრესის თავისუფლებით. ჟურნალ-გაზეთები იბეჭდებოდა ქართულ და ეროვნულ უმცირესობათა ენებზე (სომხურად, რუსულად და ა.შ.).

1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ (ასამბლეამ) მიიღო ახალი, ძირითადად, დემოკრატიული კონსტიტუცია, ბაზისი კი მას ორ წლის მანძილზე საქართველოს რესპუბლიკის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ მოუმზადა. ის ახალი მუხლები, რომლებიც კონსტიტუციაში შეიტანეს, ხალხს ინიციატივისა და რეფერენდუმის უფლებას ანიჭებდა.

ცხადია, ამგვარ აღმშენებლობას თან ერთვოდა ეკონომიკური წინსვლაც.

ეკონომიკური პოლიტიკა

დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომელმაც მხოლოდ 2 წელიწადს და 9 თვეს იარსება, ვერ მოასწრო, განევითარებინა მთელი თავისი ეროვნული პოტენციალი და მიეღწია სრული ეკონომიკური აღმავლობისთვის. ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია საქართველოში არსებული ზოგადი სიტუაციაც დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტში: მსოფლიო ომი ჯერ არ იყო დამთავრებული. რამდენადაც სრუტეები ჩაკეტილი იყო, საქართველო მოწყვეტილი აღმოჩნდა დიდ ევროპულ და რუსეთის ბაზრებს, რომელთა ეკონომიკაზეც იგი საუკუნეზე მეტხანს იყო დამოკიდებული (რუსეთში სამოქალაქო ომი და ანარქია სუფევდა). ოთხწლიანი სამოქალაქო ომის შემდეგ უკვე მარტო დარჩენილი საქართველო, რომლის რამდენიმე პროვინციაც თურქეთს ჰქონდა დაპყრობილი, კვლავ თურქეთთან ომის მოლოდინში იმყოფებოდა. დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა წარმოიშვა რუსული რევოლუციის შემდეგ, რომელმაც ფუნდამენტურად შეარყია ეკონომიკა მთელი ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე. ამიტომ, ცხადია, ეკონომიკურად საქართველოც ისევე, როგორც ზოგადად ყოფილი რუსული იმპერია, ძალიან დასუსტებული და დაუძლურებული იყო.

ახალი სახელმწიფოს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა, წინ აღდგომოდა რუსეთის მხრიდან "წითლებისა" თუ "თეთრების" გაუთავებელ თავდასხმებს, აღედგინა ომისა და რევოლუციის შედეგად ძლიერ შერყეული ეკონომიკა, დაემყარებინა წესრიგი ქვეყანაში, შემოეღო ეროვნულ და დემოკრატიულ საფუძვლებზე დამყარებული ახალი კანონმდებლობა და შეექმნა ხელსაყრელი პირობები მომავალი ეკონომიკური თუ სოციალური ცხოვრებისთვის.

მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რომელიც ხელს უწყობდა საზოგადოდ წინსვლას, მხოლოდ 1921-1922 წლებში დაიწყო, თუმცა ამ დროისთვის საქართველო უკვე დაპყრობილი ჰყავდა საბჭოეთს.

აგრარული რეფორმა. *ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ ეკონომიკის სფეროში გააკეთა, იყო აგრარული რეფორმა. მის განხორციელებაში არაერთი სახელმწიფო მონაწილეობდა, თუმცა არცთუ წარმატებით.*

როგორც აღინიშნა, საქართველო მდიდარი არ იყო მიწებით, რომლებიც სოფლის მოსახლეობის მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. ამიტომ, საჭირო იყო სწრაფი აგრარული რეფორმა და მისი სწორად წარმართვა. საქართველოს მიწათა დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიასა და საიმპერატორო ოჯახს სხვადასხვა გზით ჰქონდა ხელში ჩაგდებული, მათ ეკუთვნოდა და ამდენად, რუსეთის საგანძურს წარმოადგენდა. საქართველოს თავადაზნაურობის საკუთრებაში მხოლოდ მცირე ნაწილი რჩებოდა. გლეხები, რომლებიც მიწას ამუშავებდნენ, უმძიმეს მდგომარეობაში იყვნენ. ისინი მიწის მფლობელებზე იყვნენ დამოკიდებული. ყოველივე ეს ფეოდალიზმს ჰგავდა (მაგალითად, მიწითსარგებლობის ბეგარას იხდიდნენ მხოლოდ და მხოლოდ ნატურით). მთელი ტერიტორიის ფართი (6 058 000 ჰა) 1917 წელს შემდეგნაირად იყოფოდა: 2 206 000 ჰექტარი ანუ 35,5% ეკუთვნოდა რუსეთის იმპერიას, დანარჩენი 3 852 000 ჰექტარი გადანაწილებული იყო კერძო მფლობელებზე – მათ შორის, 1 876 869 გლეხის (გარდა აჭარის გლეხობისა) მფლობელობაში იყო მხოლოდ 893 019 ჰექტარი. გლეხების არაერთი თაობა ამუშავებდა მიწას, რომელიც მის საკუთრებაში არ იყო და მოსავლის დიდ ნაწილს მიწათმფლობელს აბარებდა, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ყოველივე ამან საფუძვლიანი ბიძგი მისცა რევოლუციურ მოძრაობას და დააბრკოლა სოფლის მეურნეობის განვითარება.

საქართველომ დაიბრუნა დამოუკიდებლობა და მიიღო აგრარული კანონი, რომელიც ძალაში შევიდა და განხორციელდა მომდევნო ორი წლის განმავლობაში. ამ კანონის მიხედვით, მოხდა კონფისკაცია ყველა იმ მიწისა, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთის იმპერიას, ეკლესია-მონასტრებსა და საიმპერატორო ოჯახს. კერძო მფლობელებს ამ კანონმა სარგებლობაში დაუტოვა 7-დან 14 დესიატინამდე (7,6-15,2 ჰა) იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით, რომლებიც ამ მიწაზე მოჰყავდათ. კონფისკაცია არ გულისხმობდა ძველი მფლობელებისთვის ზარალის ანაზღაურებას.

ამგვარად, სახელმწიფომ შეადგინა 3 900 000 ჰექტარის აგრარული ფონდი, რომელიც მოიცავდა ტყეებს, მინდვრებს, საძოვრებს, სახნავ მიწებს

და ა.შ. ტყეები, საძოვრები, წიაღისეული სიმდიდრე და წყალი სახელმწიფო მფლობელობაში დარჩა. მიწების დარჩენილი ნაწილი იმ გლეხებისთვის უნდა დაერიგებინათ, რომელთაც ან საერთოდ არ ჰქონდათ მიწა, ან უმნიშვნელო ნაწილის მფლობელები იყვნენ. სწორედ ამ გლეხების მუშაობა იყო სოფლის მეურნეობის შემოსავლის მთავარი წყარო (1919 წლის 23 იანვრის კანონით). ამ კატეგორიის გლეხებისთვის დარიგებული მიწის ფართი არ აღემატებოდა ძველი მფლობელებისთვის დატოვებული მიწის ფართს. გლეხებმა გადაუხადეს სახელმწიფოს შეძენილი მიწის საფასური, მაგრამ ეს იყო ძალიან მცირე თანხა, მხოლოდ იმდენი, რამდენიც სახელმწიფოს აგრარული რეფორმის გასატარებლად გაღებული ხარჯის ნაწილს აუნაზღაურებდა. სახელმწიფომ, მათი საჭიროებისდა მიხედვით, ტყეებისა და წყლის გარკვეული ნაწილი ადგილობრივ ადმინისტრაციებს (*self-government*) დაუთმო. სხვა მხრივ, გლეხებმა, პირადი საჭიროებისა და სახელმწიფოს მიერ დაწესებული ლიმიტის შესაბამისად, დაიტოვეს ტყეების მოხმარების უფლება.

1921 წლის დასაწყისში აგრარული რეფორმა დასრულებული, მიწა კი დანაწილებული იყო. წვრილი მიწათმოქმედები თავიანთი შრომით მოპოვებული პროდუქციის სრული ბატონ-პატრონები გახდნენ. სოფლის მეურნეობაში ბოლო მოეღო უწესრიგობას. კმაყოფილი გლეხები თავგამოდებით იცავდნენ ახალ რესპუბლიკურ რეჟიმსა და ეროვნულ დამოუკიდებლობას. მინდვრებსა და ყანებში ახალი ენერგიითა და მომავლის რწმენით განახლდა მუშაობა.

ომის დროს შემცირებული ნათესების ფართმა სწრაფად იმატა, სამ წელიწადში თითქმის გაორმაგდა და 1916 წელს – 353 000 ჰექტარს, 1920 წელს კი 621 000 ჰექტარს მიაღწია.

რეფორმა სრულიად შეესატყვისებოდა ქართველი გლეხების მოთხოვნილებებს. ამიტომაც, საქართველოს ოკუპაციის შემდეგაც კი მრავალი წლის მანძილზე მთავრობამ, რომელმაც მიწების სრული ნაციონალიზაცია გამოაცხადა, ამ მიწებს ხელი ვერ ახლო.

ეს გასაგებიც იყო, ვინაიდან საქმე ეხებოდა წვრილ მიწათმოქმედებს და არა მსხვილ მიწათმფლობელებს, რომელთაც თავის დროზე უკვე ჩამოერთვათ მიწები. მოგვიანებით საბჭოთა მთავრობამ ცეცხლითა და მახვილით, გლეხების ოჯახების განადგურებით, მათი ციმბირში გადასახლებით, მაინც

მოახერხა მიწების ნაციონალიზაცია და საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. თუმცა საბჭოთა მთავრობამ გლეხებს პირადი საჭიროებისთვის მიწის პატარა "ნაკვეთებითა" და ბაღებით სარგებლობის უფლება მაინც დაუტოვა.

ინდუსტრია. *ბუნებრივი რესურსებით მდიდარი საქართველო ღარიბია კაპიტალით. საქართველოს (ისევე, როგორც რუსეთის) ეკონომიკის განვითარების ორი მნიშვნელოვანი პირობა იყო კერძო ინიციატივის დაცვა და უცხოური კაპიტალის იმპორტი. ეს საშუალებას მისცემდა სახელმწიფოს, თავიდან აეცილებინა მშრომელთა გადამეტებული ექსპლუატაცია, რომელსაც ადგილი აქვს დღევანდელ საბჭოთა კავშირში.*

არსებული წარმოების გასაუმჯობესებლად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ხელი შეუწყო კერძო ინიციატივას სახელმწიფო ბანკის მიერ კრედიტის გაცემის თაობაზე, ასევე – აქციონერთა საზოგადოებების შექმნას, კერძო ბანკების დაარსებას და ა.შ. ამავე დროს, ვინაიდან კერძო ინიციატივა სუსტად იყო გამოხატული, სახელმწიფომ თვითონ დაიწყო წარმოების ორგანიზება. ამგვარად, ქართული სახელმწიფო ეწეოდა ხე-ტყისა და მინის (ბორჯომი), ქვანახშირის (ტყიბული), ასევე მინერალური წყლების წარმოებას, გარდა ამისა, ჰქონდა რკინიგზის საწარმო და ა.შ. ქალაქები და სოფლები სარგებლობდნენ სახელმწიფოს ფინანსური დახმარებით ადგილობრივი წარმოების გასავითარებლად.

შეიქმნა შერეული საზოგადოებები სახელმწიფოსა და კერძო მეწარმეების მონაწილეობით, მაგალითად, მარგანეცის ექსპორტის საზოგადოება და სხვა.

გარდა ამისა, სახელმწიფო ხელს უწყობდა უცხოური კაპიტალის შემოსვლას კერძო გზებით ("იტალიურ-კავკასიური" და "გერმანულ-კავკასიური" ბანკები, სხვა საწარმო თუ კომერციული საზოგადოებები), მაგრამ თავად აწესებდა პირობებსა და თვითონვე ახორციელებდა კონტროლს. ასევე სახელმწიფოს მონაწილეობით (ტყვარჩელის ქვანახშირის მადნების კონცესიები) დაიდო ხელშეკრულება საფრანგეთთან საქართველოში აბრეშუმის წარმოების განსავითარებლად და ა.შ.

სახელმწიფოს ინიციატივითა და მონაწილეობით დაიწყო მარგანეცის გატანა ექსპორტზე. თუკი წინათ ექსპორტი მრავალი კერძო ექსპორტიორის ხელში იყო, ახლა შეიქმნა დიდი "მარგანეცის საექსპორტო საზოგადოება" ("თემო"). ამგვარად, ქართულმა მარგანეცმა დაიწყო იმ უცხოური ბაზრების დაპყრობა, რომლებიც ომის დროს დაკარგა და წარმოებამ საგრძნობლად იმატა: 1918 წელს აწარმოეს 26 000 ტონა, 1919 წელს – 65 000 ტონა; 1920 წელს – 121 600 ტონა. რაც შეეხება ექსპორტს, 1919 წელს გაიტანეს 39 000 ტონა; 1920 წელს – 171 000 ტონა.

გაიზარდა ქვანახშირის წარმოებაც. ტყიბულის წარმოება 1919 წელს შეადგენდა 36 000 ტონას, 1920 წელს კი – 80 000 ტონას. 1921 წლის დასაწყისში ყველაფერი მზად იყო ტყვარჩელის ქვანახშირის აუზის ექსპლუატაციაში მოსაყვანად.

ძანსულისა და ქვარცხანას რაიონებში განახლდა სპილენძის წარმოებაც, რომელიც ასევე განადგურებული იყო ომის შედეგად.

დაისახა გეგმები ჰიდროენერგო რესურსების ექსპლუატაციისთვის. შეისწავლეს რაიონები, სადაც სავარაუდოდ ნავთობი ან სხვა წიაღისეული მოიპოვებოდა (ეს საბადოები მთლიანად სახელმწიფოს განკარგულებაში იყო). დაიწყო სენაკი-სოხუმის რკინიგზის მშენებლობა, რომელიც წაწილობრივ 1921 წლის დასაწყისში დასრულდა.

ვაჭრობა. *შიდა ვაჭრობა თავისუფალი იყო. რაც შეეხება გარე ვაჭრობას, ერთი მხრივ, რთული იყო ევროპასთან დაკავშირება, სხვა მხრივ კი, აუცილებელი იყო სპეკულაციის აღკვეთა და წვრილი მეწარმეების დაცვა. ამიტომაც, გადაწყდა, სახელმწიფოს მინიჭებოდა მონოპოლია ზოგიერთ საექსპორტო საქონელზე (თამბაქოზე, აბრეშუმის პარკებზე, შალზე და ა.შ.). ეს ხელს უწყობდა პროდუქციის მატებას, მაგალითად, აბრეშუმის წარმოებაში. შეგროვებული აბრეშუმის პარკების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა: 1917 წელს იყო 700 ტონა; 1920 წელს – 840 ტონა; 1921 წელს – 1 415 ტონა.*

რაც შეეხება თამბაქოს პლანტაციებს, მათი რაოდენობა ჯერ კიდევ მცირდებოდა. მიწათმოქმედები ხორბლეულ კულტურას უფრო მომგებიანად მიიჩნევდნენ. ასე იყო მანამ, სანამ უცხოურ ბაზრებთან რეგულარული კავშირი არ დამყარდა.

ვაჭრობის წასახალისებლად დაარსდა სავაჭრო პალატები: ქართული, ფრანგულ-ქართული და გერმანულ-ქართული.

კოოპერატივები. *საშუალო და მუშათა კლასის დასაცავად ხდებოდა კოოპერატიული მოძრაობის ხელშეწყობა. 1919 წელს კოოპერატივების წევრთა რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდებოდა: საკრედიტო კოოპერატივი – 148 367, სამომხმარებლო კოოპერატივი – 127 750. 1920 წელს მხოლოდ სამომხმარებლო კოოპერატივების წევრთა რაოდენობა 368 788-ს აღწევდა, რაც საქართველოს მოსახლეობის 10%-ს შეადგენდა.*

1919 წელს დაარსდა კოოპერატივების ცენტრალური ბანკი.

მუშათა საკითხისთვის. *რესპუბლიკური კონსტიტუციით უზრუნველყოფილი იყო ანუ კონსტიტუციურად განისაზღვრებოდა შრომის უფლება კვირაში 48 საათით და უყწვეტი ყოველკვირეული დასვენება 42 საათის ხანგრძლივობით. აიკრძალა მაღაროებში მუშაობა 16 წლამდე ასაკის მამაკაცებისთვის, 18 წლამდელთათვის – მუშაობა ღამით, ასევე – ქალების მუშაობა. 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა სამუშაო დღე განისაზღვრებოდა 6 საათით დღეში, აკრძალული იყო ქალების მუშაობა დაწესებულებებში, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა შვილოსნობას. განხორციელდა ბევრი სხვა რეფორმაც. არსებობდა თავისუფალი პროფკავშირები ისევე, როგორც გაფიცვის უფლება, კოლექტიური კონტრაქტები, სავალდებულო არბიტრაჟი, სამუშაოს შემოწმება და დამქირავებლისგან დამოუკიდებელი სანიტარული კონტროლი. კონსტიტუცია იყო გარანტია იმისა, რომ სიბერით, ინვალიდობით ან რაიმე სხვა მიზეზით გამოწვეული შრომისუუნარობის შემთხვევაში, ყოველი მშრომელი დაზღვეული იქნებოდა მთლიანად ან ნაწილობრივ და მიიღებდა ხელფასის შესაბამის ფინანსურ დახმარებას.*

შრომის შესახებ კანონის ნებისმიერი დარღვევა ისჯებოდა სისხლის სამართლის კოდექსით.

ტექნიკური განათლება. *ტექნიკური განათლების უზრუნველყოფისა და სრულყოფისათვის დაარსდა ტექნიკური სკოლები, ასევე – სპეციალური ფაკულტეტები უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ამ მიზნით, ევროპაში სასწავლებლად გაიგზავნა 70 ახალგაზრდა. იგეგმებოდა ამდენივეს გაგზავნა ყოველწლიურად სახელმწიფო ხარჯით.*

ფინანსები. *ძველი რუსული ინსტიტუციების გაუქმება და ახალი რესპუბლიკური ინსტიტუციების ჩამოყალიბება, არმიისა და ეროვნული ადმინისტრაციის შექმნა, საჯარო განათლება, ვაჭრობა, წარმოება თუ ახლად დაარსებული ადგილობრივი ადმინისტრაციები უზარმაზარ ხარჯებს მოითხოვდა. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახლად დამთავრებული ომითა და რევოლუციით მატერიალურად დასუსტებულ ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს მხოლოდ საკუთარი რესურსების იმედი თუ ექნებოდა. ამ თვალსაზრისით, საქართველო, რომელსაც გარედან არანაირი დახმარება არ მიუღია, ალბათ გამონაკლისსაც კი წარმოადგენდა.*

მაშასადამე, ფინანსური მდგომარეობა მძიმე იყო. ბიუჯეტის დიდი ნაწილი იფარებოდა ობლიგაციებით (ქაღალდის ფულით). ამ ფინანსური პროცედურისთვის, ცხადია, ევროპის ბევრ უფრო ძველ და დიდ ქვეყანასაც მიუმართავს, მაგრამ საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის ეს ძლიერ შემაფერხებელი გარემოება იყო. ამიტომ, საქართველოს მთავრობამ, როგორც კი შესაძლებლობა მიეცა, დაიწყო კავშირის დამყარება დასავლურ სახელმწიფოებთან და მოახერხა, აეღო სესხი, რათა შეემსუბუქებინა გარდამავალი პერიოდი და დაეძლია ფინანსური სირთულეები (ქვეყნის ოკუპაციის გამო ვერ მოხერხდა ამ სესხის გამოყენება).

ფულის რეფორმა დაგეგმილი იყო 1921 წლის დასაწყისისთვის. ქვეყანაში ყველაფერი მზად იყო ამ რეფორმის განსახორციელებლად.

1921 წლის 1 იანვარს ბრუნვაში იყო 9 მილიარდი ქართული რუბლი. სტრელინგის კურსმა ტიფლისში 11-12 ქართულ რუბლს მიაღწია. ამავე დროს რუსეთში, სადაც საბჭოთა მთავრობა ფარულად ემზადებოდა "ქართველი მშრომელებისათვის გასაბჭოების ბედნიერების მოსატანად", ბრუნვაში იყო 1 168 მილიარდი ობლიგაცია, ფუნტ სტერლინიგის კურსი კი 237 500 საბჭოთა რუბლს აღემატებოდა. ამიტომ, საბჭოთა მოსკოვი, რომელიც საქართველოში დაფუძნებისას ლანძღავდა და ანადგურებდა ყველაფერს, რაც კი საქართველოში მზადდებოდა და საქართველოს დამოუკიდებლობაზე მიანიშნებდა, ურცხვად აყალბებდა ყოველივეს და საქართველოს ოკუპაციიდან ორი წლის შემდეგ კვლავ აგრძელებდა ქართული ფულის მოჭრას დამოუკიდებელი საქართველოს ნიშნითა და დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსთა მინისტრის გაყალბებული ხელმოწერით.

ამგვარი იყო საქართველოს შიდა მდგომარეობა 1921 წლის დასაწყისში, როდესაც საბჭოთა რუსეთმა გადაწყვიტა, ბოლო მოეღო მისი დამოუკიდებლობისთვის.

საგარეო პოლიტიკა

საქართველოს რესპუბლიკამ გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რომ დაემყარებინა ნორმალური და კეთილმეზობლური ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან. მან ყველა ღონე იხმარა, რათა გაერღვია მსოფლიო ომის შედეგად შექმნილი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ბლოკადა და დაახლოებოდა ევროპის ქვეყნებს. ის, ერთი მხრივ, თუკი რთულად გადასაწყვეტი საკითხი წამოიჭრებოდა, მეზობლებთან მორიგებას ხელშეკრულებებისა და ურთიერთდათმობის გზით ამჯობინებდა, სხვა მხრივ კი, ყველანაირად ცდილობდა, მოეგვარებინა ეროვნული კონფლიქტი კავკასიის ფარგლებში, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ამ ხალხებთან მჭიდრო თანამშრომლობა ურთიერთნდობისა და მშვიდობის მოსაპოვებლად.

საქართველომ გაატარა მშვიდობიანი და ერთიანი პოლიტიკა აზერბაიჯანთან და სომხეთთან. ამგვარად, ამიერკავკასიის რესპუბლიკების დაარსებისთანავე დაბეჭდა ობლიგაციები სამივე სახელმწიფოსათვის. ამ ინიციატივის წყალობით, სამმა რესპუბლიკამ გააფორმა სარკინიგზო და ფოსტა-ტელეგრაფის ხელშეკრულება. თუმცა ყოველივე ეს საკმარისი არ იყო სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის. ამიტომ, თანამშრომლობა გაფართოვდა და ამ ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური სფეროებიც მოიცვა.

ამიერკავკასიის ქვეყნების გამყოფი საზღვრების პრობლემის მოგვარება ყველაზე სასწრაფო და ფაქიზი საკითხი იყო. სწორედ ამაზე იყო დამოკიდებული ამ ქვეყნების ურთიერთობა.

პარლამენტის მიერ მიღებულ დამოუკიდებლობის აქტში ვკითხულობთ: "საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს, დაამყაროს მეგობრული ურთიერთობანი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყველა წევრთან, განსაკუთრებით მეზობელ სახელმწიფოებთან და ხალხებთან". საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ დამოუკიდებლობის აქტის კომენტირებისას დაადასტურა ქართველი ხალხის სურვილი, მჭიდროდ და ძმურად ეთანამშრომლათ მეზობლებთან, რომელთაც ის გამოეყო და გამოხატა მომავლის რწმენა. ის იმედოვნებდა, რომ ხელი შეეწყობოდა ამიერკავკასიის ხალხების კონფედერაციულ თანხმიერებას, განმტკიცდებოდა მათი დამოუკიდებლობა და დაცული იქნებოდა უცხო ძალების ინტერვენციისაგან.

1919 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ შესთავაზა სომხეთსა და აზერბაიჯანს, თავიანთი დელეგატები ტიფლისში გაეგზავნათ და ერთად შეესწავლათ სადავო საკითხები – საერთო შეთანხმების საფუძველზე მოეგვარებინათ საზღვრის პრობლემა და აეღოთ ვალდებულება, არ გაეფორმებინათ რაიმე ხელშეკრულება რომელიმე სახელმწიფოსთან კონფერენციის მონაწილე ხალხების საზიანოდ.

1919 წლის თებერვალში საქართველომ გაიმეორა თავისი წინადადება, ვინაიდან ცდილობდა , მოეწყო სამი სახელმწიფოს კონფერენცია სხვადასხვა საკითხების ირგვლივ, მათ შორის, რკინიგზის, საბაჟოს, ფოსტა-ტელეგრაფის და ობლიგაციების ერთობლივი ბეჭდვის შესახებ. თუმცა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებულმა დაძაბულობამ ხელი შეუშალა ამ გეგმის განხორციელებას.

კონფერენცია შეიკრიბა მხოლოდ 1919 წლის მაისის თვეში, სწორედ მაშინ, როდესაც დენიკინის კონტრრევოლუციური ძალები უკვე ამიერკავკასიის მისადგომებთან იდგნენ. მათ უკვე დაეპყროთ ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკა და საქართველოსა და აზერბაიჯანისაკენ მიიწევდნენ. ამგვარ სიტუაციაში კონფერენციამ მაშინვე განიხილა, რა ერთობლივი თავდაცვითი ზომების მიღება იყო შესაძლებელი დამპყრობლის წინააღმდეგ, მაგრამ ყოველივე ეს სომხების განწყობამ შეაფერხა. მათი აზრით, დენიკინი, თურქებთან შედარებით, ნაკლები საფრთხე იყო. ამგვარად, ეს იყო განხეთქილება, რომელმაც თავი იჩინა კონფერენციაზე და რომელმაც აიძულა სომხეთი და აზერბაიჯანი, დაედოთ სამხედრო ხელშეკრულება 1919 წლის 16 ივნისს.

ჩრდილო კავკასიური რესპუბლიკა (მთიელები) ენერგიულად იბრძოდა ორ ფრონტზე, ერთი მხრივ, ბოლშევიკებისა და, მეორე მხრივ, დენიკინის წინააღმდეგ. მთიელები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს სიტუაციას ამიერკავკასიაში. მათ სურდათ, შეერიგებინათ და მოკავშირეებად გაეხადათ ეს სამი ქვეყანა. თავის მხრივ, დამოუკიდებელი საქართველოც შესანიშნავად იაზრებდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მთიელთა დამოუკიდებელი

რესპუბლიკის არსებობას კავკასიის ქედის გადაღმა. ამიტომ, საქართველოს არასდროს გაუშვია ხელიდან შემთხვევა, რომ ენერგიულად გამოეხატა თავისი პროტესტი ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკაში თეთრგვარდიელთა ქმედებების საპასუხოდ. სხვათა შორის, მთიელთა თავისუფლების დასაცავად მათ მოხალისეთა დიდი რაოდენობა შეუერთდა. ამასობაში საქართველოსა და მეზობელ თურქეთს შორის ურთიერთობა გაუმჯობესდა და მათ დიპლომატიური წარმომადგენლობები გაცვალეს.

საქართველომ არ დააყოვნა, შეეთავაზებინა რუსეთისათვის ნორმალური და მეგობრული კავშირის დამყარება. შესთავაზა, დაედოთ ორმხრივი ხელშეკრულება მათთვის საინტერესო ყველა საკითხზე. წინადადება მიღებულ იქნა და 1920 წლის 7 მაისს ორმა ქვეყანამ ხელი მოაწერა მშვიდობის ხელშეკრულებას, რომლის პირველი მუხლი გვაუწყებდა: "ეფუძნება რა ყველა ხალხების უფლებას, გაცხადებულს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მიერ თავისუფალი თვითმართველობის შესახებ, იქამდე, რომ მათ აქვთ უფლება, გამოეყონ იმ ქვეყანას, რომლის ნაწილსაც ისინი შეადგენენ, რუსეთი აღიარებს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს და საკუთარი ნებით აცხადებს უარს იმ სუვერენულ უფლებებზე, რომლებიც ჰქონდა რუსეთს ქართველი ხალხისა და მისი ტერიტორიის მიმართ".

მეორე მუხლში ვკითხულობთ:

"წინამდებარე ხელშეკრულების პირველ მუხლში გაცხადებულ პრინციპზე დაყრდნობით, რუსეთი იღებს ვალდებულებას, უარი თქვას საქართველოს საშინაო საქმეებში ყველანაირ ჩარევაზე".

1920 წლის 20 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკამ და რუსეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკებმა ხელი მოაწერეს სავაჭრო და სატრანსპორტო ხელშეკრულებას.

1919 წლის დასაწყისში საქართველომ ევროპაში ჩხეიძის ხელმძღვანელობით გააგზვნა სპეციალური დელეგაცია, რომლის მიზანი იყო, ახალი სახელმწიფოს იურიდიული აღიარების მიღწევა. დელეგაციამ, რომელმაც წარმატებით იმუშავა ორი წლის მანძილზე ევროპის სხვადასხვა ცენტრში, ვერსალის კონფერენციაზე განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი დაამყარა კავკასიის სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებთან და რევოლუციის შედეგად რუსეთის უღლისაგან განთავისუფლებულ სხვა ერებთან. მათ ერთად იმუშავეს, რათა მიეღწიათ ევროპის ქვეყნების მხრიდან საქართველოს აღიარებისთვის. მცდელობები მხოლოდ დიპლომატიური ზომებით არ შემოიფარგლებოდა, ეს მნიშვნელოვანი პროპაგანდისტული სამუშაოც იყო. ევროპის ქვეყნებს აცნობდნენ ქართველი ერის ისტორიასა და მისწრაფებებს, რათა შეექმნათ შესაბამისი საზოგადოებრივი აზრი და განწყობა. ამის შედეგად, ბევრმა გამოჩენილმა ევროპელმა მოინდომა, წასულიყო და დაეთვალიერებინა დამოუკიდებელი საქართველო, რათა ადგილზე თავადვე შეეფასებინა ქვეყნის შიდა აღმშენებლობისთვის გაწეული ძალისხმევის შედეგები. საქართველოს ეწვივნენ ცნობილი ჟურნალისტები (ჟან მარტენი *Jurnal de Genève*-დან, პ. განტიზონი *Temps*-დან), მეწარმეები, გეოლოგები, დიპლომატები, პოლიტიკური მოღვაწეები და ა.შ. ამ ადამიანებმა, თავიანთ დაკვირვებაზე დაყრდნობით, საქართველოს პოლიტიკურ წრეებში ერთგვარი პოპულარიზაცია გაუწიეს, რამაც გააიოლა ქვეყნის იურიდიული აღიარება.

მართლაც, 1921 წლის 27 იანვარს ანტანტის (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, ბელგია) უზენაესმა საბჭომ დე იურე აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ დროს საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე აღიარებული იყო გერმანიის, თურქეთისა და არგენტინის მიერ. საქართველოს დამოუკიდებლობა დე ფაქტო აღიარეს 1920 წლის იანვარში.

ანტანტის უზენაესი საბჭოს აღიარებამ გავლენა იქონია პოლონეთზე, რუმინეთზე, ავსტრიაზე, მექსიკაზე და ა.შ. ამ სახელმწიფოებმა მაშინვე მოახდინეს თავიანთი დიპლომატიური კორპუსების აკრედიტაცია საქართველოში. საქართველოს მთავრობამ, თავის მხრივ, გაგზავნა დიპლომატიური მისიები პარიზში, ლონდონში, რომში, ბერლინში, ვარშავაში, მოსკოვში, ანკარაში და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები – ბერნში, ვენაში, სტოკჰოლმში, ბუქარესტში, ჰელსინგორსა და ტოკიოში.

1920 წლის დეკემბერში ერთა ლიგის საზოგადოებამ დაიწყო მუშაობა საქართველოს მისაღებად ერთა ლიგაში. მართალია, გაწევრიანებისთვის სავალდებულო კენჭისყრაში, სხვა პრეტენდენტებთან შედარებით, საქართველომ ორჯერ მეტი ხმა მიიღო, მაგრამ მაინც ვერ მოიპოვა ხმების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა. ამიტომ ამ ქვეყნების მიღების საკითხი მომდევნო ასამბლეისთვის გადაიდო. საქართველო, ბალტიის ქვეყნებთან ერთად, ერთა ლიგის ტექნიკურ კომისიებში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს.

საქართველოს ოკუპაცია

1921 წლის დასაწყისში საქართველოში ამგვარი სიტუაცია იყო: ერთსულოვანი მოსახლეობა ქვეყნის შიგნით აღდგენითი სამუშაოებით იყო დაკავებული. რაც შეეხება საგარეო საქმიანობას, ეროვნულმა ხელისუფლებამ მოახერხა, დაემყარებინა ნორმალური ურთიერთობა ყველა სახელმწიფოსთან, მათ შორის, საბჭოთა რუსეთთანაც. ახალი სახელმწიფოს მიზანი იყო შრომა და მშვიდობა.

თუმცა სწორედ ამ დროს, ყველანაირი წინასწარი დიპლომატიური შემზადების, გაფრთხილებისა და ომის გამოცხადების გარეშე, 1921 წლის 11 თებერვალს საბჭოთა არმიის მეთერთმეტე არმიის საჯარისო შენაერთებმა, რომლებიც იმყოფებოდნენ სომხეთში (ის უკვე დაპყრობილი იყო საბჭოელების მიერ), გადალახეს საქართველოს საზღვარი და გეზი ტიფლისისკენ აიღეს. ამგვარად, საბჭოელებმა უხეშად დაარღვიეს სულ რაღაც 7 თვის წინ (1920 წლის 7 მაისს) დადებული ხელშეკრულება, რომელიც საზეიმოდ აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობასა და მისი საზღვრების ხელშეუხებლობას. ამ უსირცხვილო, დანაშაულებრივი დარღვევის შესანიღბად რუსეთმა მთელ მსოფლიოს T.S.F.-ით [ტელეგრაფით] აცნობა: *"ქართველი მუშები და გლეხები აღსდგნენ ბურჟუაზიული და კონტრრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ!"* [1]

[1] საქართველოს ანექსიის შემდეგ საბჭოთა მთავრობამ თვითონვე უარყო ეს გამოგონილი ვერსია და საბჭოთა პრესამ ამაყად აღწერა წითელი არმიის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციები. მაგალითად, საბჭოთა სამხედრო ჟურნალში "მექანიზაცია და მოტორიზაცია" წითელი არმიის მეთერთმეტე შენაერთის საქმიანობის შესახებ წერდა: "საქართველოს განთავისუფლებისათვის XI წითელი არმიის მიერ განხორციელებულ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ნაწილებმა, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ ჯავშნოსანი მატარებლებითა და ავტომობილებით, ასევე საიერიშო ტანკებით... ყველაზე მოკლე ორი გზა მიდიოდა აზერბაიჯანიდან სქართველოსკენ, მენშევიკების ცენტრისკენ, ტიფლისისკენ და ამ ქალაქზე მიყენებულ დარტყმას შეეძლო გადაეწყვიტა ბრძოლის ბედი... ამ ორი მიმართულებით გაგზავნილ ჯარებს დაემატა რკინიგზით 5 ჯავშნოსანი მატარებელი (N 7, N 94, N 5, N 77 და N 61), სამანქანო გზით – ჯავშნოსანი ავტომანქანების ჯგუფი (N 55) და საიერიშო ტანკების ჯგუფები (N 2)... ჯავშნოსანი ავტომანქანების ჯგუფმა (N 55) 1921 წლის 16 თებერვლის ღამეს წარმატებით შეასრულა დაკისრებული დავალება... შესრულებული სამუშაოსთვის მეწინავე ავტომობილის მეთაური ამხანაგი სიდოროვი დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით...16 თებერვალს,

სინამდვილეში ამ სასტიკი აქტით აღშფოთებული მთელი ქართველი ხალხი აღდგა თავისი მიწისა და თავისუფლების დასაცავად.

სომხეთში შეჭრიდან ორი დღის შემდეგ საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დაბანაკებული XI წითელი არმიის ნაწილები გადატყორცნილ იქნა ტიფლისისაკენ. რამდენიმე დღეში IV და IX წითელი არმიები, ჩრდილო კავკასიის ნაწილები, ასევე დაიძრნენ საქართველოსკენ ტიფლისისა და ქუთაისის მიმართულებით. ბოლოს, შავი ზღვის სანაპირო ზოლით ისინი სოხუმისკენ გაემართნენ. ამგვარად დაესხა თავს საბჭოთა რუსეთი საქართველოს სამი არმიით და ერთდროულად ხუთი მხრიდან შეუტია.

გარდა ამისა, რუსეთი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ საქართველოს დაპყრობით. იგი თურქეთს საქართველოს უმნიშვნელოვანეს პროვინციებს – ართვინსა და არდაგანს დაჰპირდა. მისი მიზანი იყო, დაეინტერესებინა თურქეთი, რათა იგი საქართველოს ოკუპაციაში დახმარებოდა. მაშინ, როცა საქართველოს საჯარისო შენაერთები რუსების წინააღმდეგ იბრძოდნენ, თურქეთმა დაიპყრო საქართველოს ნაწილი არდაგანის მხრიდან.

ახლადშექმნილმა ქართულმა ჯარმა მამაცურად იბრძოლა: მრავალჯერ მოიგერია მტრის შემოტევები და ხელთ ჩაიგდო ათასობით რუსი ჯარისკაცი. ომი თვეზე მეტხანს გაგრძელდა. მოსკოვმა მხოლოდ 1921 წლის 18 მარტს მოახერხა, ხელთ ეგდო უკანასკნელი ბასტიონი – ბათუმი. იმავე დღეს, დამფუძნებელი კრების მიერ ხელდასხმულმა ეროვნულმა მთავრობამ, რომელიც უკვე წინა დღეს ბათუმში შეიკრიბა, დატოვა ქვეყანა, რათა დაეცვა საქართველო ცივილიზებული სამყაროს წინაშე.

დღის მანძილზე, გაშლილ ადგილსა და დანგრეულ ხიდზე დაბანაკებულმა ჯავშნოსანმა მატარებლებმა ხელყუმბარებითა და ნაღმსატყორცნებით მრავალგზის მოიგერიეს მტერი, რომელიც რამდენჯერმე დაესხა თავს ჩვენს ნაწილებს. მტრის ჯავშნოსანი მატარებელი შეეცადა, თავს დასხმოდა ჩვენს ფეხოსნებს სალოღლის სიახლოვეს, მაგრამ N 94 ჯავშნოსანი მატარებლის შორს მტყორცნმა ქვემეხებმა ისინი უკუაქციეს. სახალხო გვარდიამ დააღწია რა თავი ალმოდებულ ჯავშნოსან მატარებლებსა და არტილერიას, შეაჩერა ჩვენი ფეხოსნების წინსვლა..." (მეორე სამხედრო სახელმწიფო გამოცემა, 1936 წლის თებერვალი, გვ. 18-23). მაშ, საბჭოელები წერენ რეგულარული არმიის ნაწილებზე, ჯავშნოსან მატარებლებსა და ავტომობილებზე, საიერიშო ტანკებზე და არა "აჯანყებული გლეხებსა და მუშებზე"!

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
ერთა ლიგის მიერ
აღიარებულ საზღვრებში
ტუაფსე
სოჭი
1
არხიზი
ნალჩიკი
გაგრა
ბიჭვინთა
სოხუმი
მესტია
ვლადიკავკაზი
ვედენო
კასპიის ზღვა
ოჩამჩირე
გალი
ზუგდიდი
ონი
სტეფანწმინდა
ბარისახო
ანაკლია
ქუთაისი
შავი ზღვა
ფოთი
ცხინვალი
ლანჩხუთი
ზესტაფონი
თიანეთი
გორი
თელავი
ბათუმი
მცხეთა
საგარეჯო
ახალციხე
თბილისი
გურჯაანი
ბელაქანი
ზაქათალა
რუტული
ხოფა
ბოლნისი
ახალქალაქი
დედოფლისწყარო
კახი
ართვინი
ტრაპიზონი
არტანუჯი
დმანისი
ალავერდი
ლორე
ფარხალი
არტაანი
4
2
3
ყარსი
დილიჯანი
განჯა
სპერი
სევანი
ერზურუმი
ლეგენდა
ერთა ლიგის მიერ დამტკიცებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები
რუსეთ-თურქეთის საოკუპაციო ზონის საზღვრები 1921 წლიდან
საქართველოს დედაქალაქი
სხვა დასახლებები
ერთა ლიგის მიერ დამტკიცებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები
ამჟამად სხვა პოლიტიკური წარმონაქმნის შემადგენლობაში:
1 გადაეცა რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას
2 გადაეცა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას
3 გადაეცა სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას
4 გადაეცა თურქეთს

საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში მოკალათდა. უხეშმა ძალამ ვერ შეძლო, გაენადგურებინა ქართველი ხალხის ურყევი ნება, ებრძოლა ეროვნული თავისუფლების დასაბრუნებლად. ამ უმოწყალო ბრძოლაში სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდა მოსახლეობის ყველა კლასი: მართავდნენ პოლიტიკურ მანიფესტაციებს, უცხადებდნენ ბოიკოტს ბოლშევიკურ ინსტიტუციებს, პოლიტიკურ გაფიცვებს რეგულარული ხასიათი ჰქონდა. ყველაზე სასტიკმა ტერორმაც კი ვერ შეძლო ქვეყნის წინააღმდეგობის გატეხვა. ტერორს მოსახლეობა შეიარაღებული აჯანყებებით პასუხობდა. ასე მოხდა სვანეთში 1922 წელს, ფშავ-ხევსურეთში – 1922 წელს და ა.შ., რაც 1924 წლის აჯანყებით დასრულდა. საუბედუროდ, ეს აჯანყება სასტიკად ჩაახშო საოკუპაციო ხელისუფლებამ. გამარჯვებულებმა კიდევ ერთხელ გადაუხადეს სასტიკი სამაგიერო განიარაღებულ მოსახლეობას და მთელი საქართველო სისხლში ჩაახრჩეს. მიუხედავად ამისა, ხალხის მისწრაფება დამოუკიდებლობისკენ კვლავ ცოცხლობდა და მისი ნება უდრეკი იყო. ბრძოლა გაგრძელდა.

მამაცი ხალხის ბრძოლა თავისი უფლებისა და ეროვნული თავისუფლებისათვის არ დარჩენილა გამოხმაურების გარეშე საზღვარგარეთ. ყველა ცივილიზებულმა ქვეყანამ, მიუხედავად მისი პოლიტიკური ორიენტაციისა, გამოთქვა აღშფოთება მოსკოვის ხელისუფლების მიერ ჩადენილი სისასტიკის გამო: ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის პარლამენტებმა დიდი სიმპათია გამოხატეს საქართველოს მიმართ საერთაშორისო პოლიტიკურ კონგრესზე, ასევე – საერთაშორისო პრესაში. მაგალითად მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის რეზოლუციების ამონარიდებს. ასეთი სრულიად სხვადასხვა ხასიათის რეზოლუცია ასობით იყო, მაგრამ ყოველი მათგანი ზუსტად ასახავდა იმას, თუ როგორი გამოხმაურება ჰქონდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს საერთაშორისო წრეებში.

ერთა საზოგადოების ასოციაციების საერთაშორისო ლიგამ მკაცრად გააპროტესტა საბჭოთა არმიის მიერ საქართველოს ოკუპაცია. ჟენევაში 1921 წლის კონფერენციაზე, რომელიც ამ ოკუპაციის მეორე დღესვე შედგა, ერთა ლიგამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: "კონგრესი გამოთქვამს თავის მღელვარებას და აღშფოთებას იმის გამო, რომ საქართველოში, დემოკრატული წყობის ქვეყანაში, შეიჭრა უცხო ქვეყნის არმია, დაიპყრო ქვეყანა მისი მაცხოვრებლების ნების გარეშე, დააკარგვინა მას დამოუკიდებლობა და თავისუფლება და დაუყოვნებლივ მოითხოვს ერთა საზოგადოების საბჭოსა

და ასამბლეისგან, მიიღოს საჭირო ზომები, რათა საქართველოში ხალხებს მიეცეთ თავისი უფლებების განხორციელების საშუალება".

შემდგომში ერთა ლიგამ მიიღო იმავე შინაარსის კიდევ მრავალი რეზოლუცია პარიზში 1932 წელს, ფოლკესტონში (ინგლისი) – 1934 წელს.

1922 წელს ერთა ლიგამ მესამე ასამბლეაზე ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

"ერთა ლიგა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მდგომარეობას, იწვევს საბჭოს, რათა ყურადღებით მიადევნოს თვალი მსოფლიოს ამ ნაწილში განვითარებულ მოვლენებს და გაუწიოს მას მშვიდობიანი დახმარება საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, როცა კი ამის საშუალება მიეცემა, ამ ქვეყანაში ნორმალურ ვითარების აღდგენის მიზნით".

1924 წელს ერთა ლიგის მეხუთე ასამბლეაზე, საქართველოში განვითარებული ახალი მოვლენების (ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ საყოველთაო აჯანყების) გამო, ერთხმად დაუმატეს შემდეგი რეზოლუცია: "ასამბლეა *გამოხატავს იმედს, რომ საზოგადოების წევრი ქვეყნების მთავრობები, სავარაუდოდ, შეძლებენ, დაესწრონ საბჭოს, რომელიც მათ მიაწოდებს უტყუარ ცნობებს ან შეძლებისდაგვარად გაუწევს დახმარებას, რაც მშვიდობისმომტანი იქნება ამ ქვეყნისათვის".*

1924 წელს გამოქვეყნებულ მანიფესტში მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი ამბობს: "სამოცი *წლის წინ პოლონეთის მიერ თავისუფლების მოთხოვნა ხალხისთვის თავისუფლების მინიჭების სიმბოლო იყო. ეს მოთხოვნა შესრულებულია. დღეს ჩვენ ვმოქმედებთ ინტერნაციონალის ამ პრინციპის მიხედვით და მოვითხოვთ, მიიღოს საქართველომ უფლება, თვითონ მართოს თავისი ბედი, რაც იქნება სიმბოლო ძალადობრივი რეჟიმების მიერ დამონებული ხალხების გათავისუფლებისა".*

"მშვიდობის საერთაშორისო ბიურო" სისტემატურად ინტერესდებოდა საქართველოს სიტუაციით. ამ ორგანიზაციის მიერ მოწყობილ მრავალ საერთაშორისო კონგრესზე არაერთგზის უყარეს კენჭი რეზოლუციებს და მხარი დაუჭირეს საქართველოს ინტერესების აღდგენას. 1936 წელს კარდიფში (ინგლისი) ჩატარებულმა კონგრესმა ერთხმად დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

"XXXI მსოფლიო სამშვიდობო კონგრესი:

ვითვალისწინებთ რა, რომ სსრკ მიღებულ იქნა ერთა ლიგაში ლოკარნოს კონგრესის პირობებით,

ვითვალისწინებთ რა, რომ ერთა ლიგა ეფუძნება თვითმართველობის პრინციპს,

ვითვალისწინებთ რა, რომ ეს პრინციპი უდევს საფუძვლად თვით სსრკ-ის კონსტიტუციას, რომლის მიხედვითაც საქართველოსთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულებით ის უპირობოდ ცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს,

აღვნიშნავთ, რომ ამ ხელშეკრულების დარღვევითა და ამ პრინციპის უგულებელყოფით საქართველო ოკუპირებულია სსრკ-ის მიერ.

აღვნიშნავთ, რომ მშვიდობის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულებისა და საერთაშორისო სამართლის დაცვით, რაც ერთა ლიგის მთავარი მიზანია.

შეგახსენებთ, რომ წინარე რეზოლუციების საფუძველზე ერთა ლიგა მოითხოვდა ზომების მიღებას იმ მოვლენათა აღსაკვეთად, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებებს, აღიარებულს სსრკ-ის მიერ."

XXXII მსოფლიო სამშვიდობო კონგრესმა (პარიზი, 1937 წლის აგვისტო) კიდევ ერთხელ მიმოიხილა საქართველოს სიტუაცია და დაადასტურა მის მიერ მიღებული რეზოლუციები.

ტანჯული ქართველი ხალხის მიმართ კეთილგანწყობა გამოთქვა მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ, ასევე ხალხთა თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა არაერთმა დამცველმა. ეს კი ადასტურებს სამართლიანობას იმ საქმისა, რისთვისაც ქართველი ხალხი იბრძვის აგერ უკვე 16 წელია. საქართველო დიდი იმედით უყურებს მომავალს, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ერი შეკრულია ერთი სურვილით – ბოლომდე იბრძოლოს უცხოური უღლისა და საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. ამასთანავე ის ხედავს, რომ სსრკ-ის სხვა ხალხები, განსაკუთრებით არარუსები (რაც სსრკ-ის მთელი მოსახლეობის ნახევარს წარმოადგენს), მუდმივ კონფლიქტში მყოფნი იმავე

რეჟიმთან, საბჭოთა კავშირის დაშლას ელოდებიან, რათა აღადგინონ თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობა და მოიპოვონ ეროვნული თავისუფლება.

სწორედ ამ მამაცი და ომახიანი განწყობით ელოდება ქართველი ხალხი საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის აღდგენას. ეს დრო აუცილებლად მოვა!

საძიებელი

აბასთუმანი 16, 30
აბაშა 25
აბაშელი ა. 72
აბაშიძე, კ. 82
აბდულ-მესია 65
ათას ერთი ღამე 65, 67
ალაზანი 15, 25
ალაზნის ველი 13
ალგეთი 29
ალექსანდრე, ცაგარელი 72
ალექსეევი 93
ამიერკავკასია 19, 20, 21, 22, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 92, 108, 109
ამირან-დარეჯანიანი 65
ამირანი 12
ანაკლია 31
ანვერ ფაშა 87
ანკარა 111
ანტიოქია 41
ანტონ I 69
ანტონ ჭყონდიდელი 72
ანტონოვი 72
არაბეთი 39, 40, 44, 64, 66, 67, 76
არაგვი, 15
არაქსი 13
არაყიშვილი 80
არგენტინა 111
არგონავტები 29
არდაგანი 86, 113
არდაზიანი, ლავრენტი 71
ართანა 27
ართვინი 113
არისტოტელე 64
არმენია 38
არსენ იყალთოელი 64
არტაგი 38
არჩილი 68
აფხაზეთი 15, 21, 27, 28, 29, 34, 54, 96
აფხაზეთის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკა 34
აფხაზი, კ. 85
აღა მაჰმად ხანი 56
აჭარა 34, 96, 101,
აჭარის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკა, 34
აჭარისწყალი 25
ახალქალაქი 16
ახალციხე 33, 87
ახტალა 30
ბაგრატ მეოთხე 42
ბაგრატ მესამე 42
ბათუმი 14, 16,31, 33, 34, 86, 87, 89, 90, 92, 113
ბაირონი 71
ბალანჩივაძე, მელიტონ 80
ბარათაშვილი, მამუკა 68
ბარათაშვილი, ნიკოლოზ 71
ბატონიშვილი, ვახუშტი 69
ბაქო 19, 27, 86, 87, 88
ბაქრაძე, დიმიტრი 72
ბეთანია 78
ბელგია 111
ბერლინი 111
ბერნი 111
ბზიფი 12, 15
ბიზანტია 19, 39, 41, 55, 62, 74, 76, 78, 79
ბიჩხა-აბახუ 29
ბორჩალო 29
ბორჯომი 33, 103
ბორჯომის ხეობა 13
ბოსფორისა 19
ბრაზილია 25
ბრესტ-ლიტოვსკის ზავი 86, 87
ბუქარესტი 111
გაბაშვილი, ბესარიონ 68
გაბაშვილის 68
გაგრა 12, 31
გაგრია 86
გამსახურდია, კ. 72
განდეგილი 71
განტიზონი, პ. 111
განჯის სახანო, 52
გელათი 26, 27, 45, 57, 78
გელათის აკადემია 42
გერმანია 87, 90, 92, 98, 111,
გიორგი V 47
გიორგი XII 56
გიორგი პირველი 42
გიცლა 12
გოლუბიატნიკოვი დ. 27
გორგიჯანიძე, ფარსადან 69
გორი 16, 33
გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება 62
გრიშაშვილი ი. 72
გუდაუთა, 31
გუდიაშვილი, ლადო 79
გულიენი 28
გუმისტა 25
გურამიშვილი, დავით 68
გურამიშვილი, დავით 68
გურია 26, 27, 28, 34, 54
გურიელი მამია 71
დაგლუდის აუზი 29
დავით აღმაშენებელი 42, 45, 65
დარდანელის სრუტე 19
დარიალის ხეობა 29
დასავლეთ აფრიკა 25
დევდორაკი 27
დენიკინი 93, 109
დიდმოურავიანი 68
დიოსკურია 33
დუშეთის რაიონი 29
ეგნატე ნინოშვილი 72
ევროპა 7, 14, 19, 21, 23, 24, 33, 38, 43, 44, 45, 52, 55, 67, 69, 72, 80, 100, 104, 105, 106, 108, 110,111
ევსტათი მცხეთელის მარტვილობა 62
ეკატერინე II 55
ენგური 15, 29
ეპისკოპოსი გაბრიელი 73
ეპისკოპოსი კირიონი 73
ერევანი 87
ერეკლე II 55, 56, 69, 70
ერეკლე 54
ერზრუმი 20
ერთა ლიგაი 111, 116, 117
ერისთავი გ. 72
ერისთავი, რაფიელ 71
ერწოს ტბა 15
ერწოს ხეობა 29
ეფრემ მცირე 64
ექვთიმე 62
ვაჟა-ფშაველა 71
ვარშავა 111
ვახტანგ VI 68, 69
ვახტანგ მეექვსის კოდექსი 70
ვენა 111
ვენეცია 78
ვერსალის კონფერენცია 110
ვეფხისტყაოსანი 65, 66, 67
ვისრამიანი 64
ვიში 30
ზეკარი 30
ზეკარის თხემი 13
თავრიზი 19
თამარ მეფე 65, 66, 78
თამარიანი 65
თაყაიშვილი, ექვთიმე 72
თბილისი 13, 27, 33, 47, 56, 84
თეიმურაზ I 68
თეიმურაზ I 68
თეიმურაზ II 52, 68
თეიმურაზი 50, 51
თელავი 33
თემურ-ლენგი 48
თიანეთი 29
თრიალეთის ქედი, 13
თურქეთი 4, 11,14, 50, 52, 53, 55, 56, 57, 83, 86, 87, 89, 90, 92, 100, 111,113
თქმულება პრომეთეზე 73
იალბუზი 12
იაპონია, 111
იბერია 38, 39
იბსენი 72
იერუსალიმი 41, 44, 62
ილდოყანი 28
იმერეთთან, 26, 28, 34, 49, 50, 51, 52, 54, 56, 57
ინგლისი 90, 92, 93, 98, 117
ინდოეთი 19, 23, 25, 38, 66
იოანე მტბევარი 80
იოანე პეტრიწი 64
იტალია 23, 25, 28, 98, 111
იფიგენია 70
იყალთო 45
იყალთოს აკადემია 64
კავკასიონი 11, 12, 13, 15
კათალიკოს ბაქარიანი 68
კალმასობა 70
კარდიფი 117
კასპიის ზღვა 11, 12, 14, 19, 20, 31, 42, 47
კახეთი 12, 22, 27, 28, 29, 34, 49, 50, 5, 52, 56
კიმერიელების 37
კისტა 15
კლდიაშვილი, დავით 72
კოდორი 12, 15
კოლხეთი 29, 38
კოლხეთის დაბლობი 13, 15
კურსები, 29
ლაზიკა 38, 39
ლაილა 12
ლაშა-გიორგი 46
ლესინგი 72
ლეჩხუმი 12, 27, 34
ლიახვი 15
ლიხის მთა 13
ლომოური, ნიკო 72
ლონდონი, 111
ლორთქიფანიძე, ნ. 72
ლუარსაბი 50, 51

ლუი XIV 69
მაკედონია 45
მამისონის უღელტეხილი 12
მარი, ნიკო 72
მარტენი ჟან 111
მაჩაბელი, ივანე 72
მაჭავარიანი, ივანე 72
მგალობლიშვილი , სოფრომ 72
მელიქიშვილი, პეტრე 72
მესოპოტამია 90
მესხეთი 34, 87
მესხი, სერგი 73
მესხიშვილი, დავით 72
მზიმთა, 15
მთაწმინდელი გიორგი 62
მთაწმინდელი ექვთიმე 62
მითრიდატესთან 38
მირზაანი 28
მიტროპოლიტი დოსითეოზი 57
მოლიერი 72
მოსკოვი 18, 20, 86, 106, 111, 113, 116
მოქცევაი ქართლისა 64, 69
მუდროს ზავი 92
მუხრანი 13
მუხროვანი 29
მცხეთა 33, 74
ნადარბაზევი 30
ნადირ-შაჰი 52
ნავთლუღი 27
ნამყვამი 12
ნაქალაქევი 30
ნიზამი 64
ნიკოლაძე, იაკობ 79
ნური ფაშა. 87
ოზურგეთი; 33
ოიდიპოს მეფე 72
ოპიზა 41
ოპიზარი, ბექა 79
ოპიზარი, ბეშქენ 79
ორბელიანი, გრიგოლ 71
ორბელიანი, ვახტანგ 71
ორბელიანი, პაპუნა 69
ორფარეთი 28
ოსეთის სამხედრო გზა 12
ოტელო 72
ოტომანთა იმპერია 48
ოქროს ვერძი 29
ოშკი 41
ოჩამჩირე 31
პალისატომის ტბა 15
პარიზი 111, 117
პეტრიაშვილი 72
პეტრიწონი 45
პეტროგრადი 82, 83, 85
პლატონი 64
პომპეუსი 38
პრომეთე 12
ჟორდანია, ნოე 82, 89, 93, 108
რაზიკაშვილი, ლუკა 71
რამიშვილი, ნ. 89
რასინი 70
რაჭა 12, 15, 27, 29, 34
რედუტ-ყალე 28
რეუფ-ბეი 86
რივიერა 15
რიონი 13, 15, 19, 25
როდენი 79
რომი, 111
როსტოვი 20
რუსეთი 4,18, 20, 21, 27, 29, 33, 34, 55, 56, 57, 58, 70, 72, 82, 83, 85, 92, 93, 96, 100, 101, 103, 106, 107,110, 111, 112
რუსთაველი 65, 67
რუსო 79
რუსუდანიანი 67
რჩეულიშვილი, გრიგოლ 71
საგურამო 13
საიათნოვა 68
საკოჭავო 28
სამეგრელო, 26, 34, 54,
სამტრედია 33
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონი, 34
სანკტ-პეტერბურგი 18
სარდუ 72
საფრანგეთი 23, 25, 103, 111
სენაკი 104
სვანეთი 12, 27, 29, 34
სიბრძნე ბალავარისა 62
სიბრძნე სიცრუისა 69
სიმონმა 50
სირია 41, 62
სიღნაღი 33
სოლომონ I 54
სოლომონ II 56
სოლომონ მეფე 56
სომხეთი 11, 12, 19, 21, 87, 89, 108, 109, 112, 113
სოფოკლე 72
სოხუმი 14, 19, 31, 33, 34, 104, 113
სპარსეთი 4, 39, 44, 48, 50, 51, 52, 55, 56
სსრკ 7, 25, 29, 33, 118
სტოკჰოლმი, 111
სულხანიშვილი 80
სულხან-საბა ორბელიანმა 69
სუფსა. 15
ტაბიძე, გ. 72
ტაბიძე, ტ 72
ტაო-კლარჯეთის 41, 42
ტბეთი 41
ტიფლისი 16, 19, 29, 30, 33, 34, 82, 84, 86, 87, 98, 109, 112, 113
ტოკიო 111
ტრაპიზონი 38, 56, 86
ტყვარჩელი 27
ტყიბული 103
ტყლაშაძე 68
უკრაინა 25
უშბა 12
უწერა 30
ფაზისი 19, 33
ფალიაშვილი, ზაქარია 80
ფარავანი 15
ფაშვიბერტყაძე 68
ფერეიდანი 51
ფირდოუსი 64
ფიროსმანაშვილი, ნიკო 79
ფოთი, 15, 31, 33, 34
ფოლკესტონი 117
ფონ ლოსოვი 87
ფონტის მთები. 13
ფშავ-ხევსურეთი 34
ფხოველი 28
ქართლი 12, 13, 28, 34, 48, 49, 50, 51, 52, 56, 69
ქართლის ცხოვრება 69
ქართლ-კახეთის სამეფო 50, 51, 52, 55, 56
ქეთევან დედოფალი 51
ქეთევან დედოფლის წამება 68
ქვარცხანა 27
ქიაჩელი, ლ. 72
ქილილა და დამანა 64
ქობულეთი 13
ქსანი 15
ქუთაისი 13, 16, 33, 34, 73, 90, 113
ყაზბეგი 12, 27, 28
ყაზბეგი, ალექსანდრე 71
ყარსი 86
ყელის ტბა 15
ყვირილა 13, 15, 25
ყიფიანი, დიმიტრი 72
შავთელი 65
შავი ზღვა 11, 13,14, 15, 19, 27, 28, 29, 43, 87
შანშიაშვილი, ა. 72
შატბერდი 41
შაუმიანი 86
შაჰ ნამე 64, 67
შაჰ-აბასი 50, 51
შაჰნავაზიანი 68
შევარდნაძე, დიმიტრი. 79
შექსპირი 72
შვეიცარია 15, 25
შილერი 72
შირაქის ველი 13, 28
შუშანიკის წამება 62
ჩაქვის მთები 13
ჩახრუხაძე 65
ჩხეიძე, ნ. 85
ჩხენკელი, ა. 82, 86
ცაგარელი, აქვსენტი 72
ძიმტა 30
ძმები სიმენსები. 28
წაღვერი 30
წერეთელი, გიორგი 71
წერეთელი, აკაკი 71
წყალტუბო 30
ჭავჭავაძე, ალექსანდრე 70
ჭავჭავაძე, ილია 71
ჭათმა 28
ჭანეთი 38
ჭეიძე, სეხნია 69
ჭიათურა 16, 25, 26, 33
ჭიჭინაძე, კ. 72
ჭონქაძე, დანიელ 71
ხანძთა 41
ხევსურეთი 71
ხერხეულიძე ომან 69
ხმელთაშუა ზღვა 19
ხონი 33
ხრამი 15, 25
ჯავახეთი, 34, 57, 87,
ჯავახიშვილი მ. 72
ჯავახიშვილი, ივანე 72
ჯვარი (მწვერვალი) 12
ჰაუპტმანი 72
ჰელსინგორი 111